

ნიკიტა სტილაზის ანტიმონოვიგიოზიური სიტყვები

(ტექსტები, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები)

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY
NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS

Maia Raphava

ANTI-MONOPHYSITE SPEECHES BY NIKETAS STETHATOS

(Texts, Research, Vocabulary and Indexes)

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY
PUBLISHING HOUSE

Tbilisi
2013

თბილისის სასულიერო აკადემია
ხელნაწერთა მროვნელი ცენტრი

მაია რაფაელა

ნიკოლა სტითაშვილის ანტიმონოზიგიშვილი სიზყვები

(ტექსტები, გამოკვლევა, ღექსიკონი და საძიებლები)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა

თბილისი
2013

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია XI ს-ის თვალსაჩინო ბიზანტიული დავთისტეტყველის, ნიკიტა სტითატის სომხური მონოფიზიტობის წინააღმდევ მიმართული ხუთი პოლემიკური სიტყვა, რომელთა ქართული თარგმანი შესრულებულია წმ. არსენ იყალთოელის მიერ. ნიკიტა სტითატის შრომა საყურადღებოა და მნიშვნელოვანი საღვთისტეტყველო-ლიტურგიკული და საეკლესიო-ისტორიული ფაქტების განხილვის თვალსაზრისით.

წმ. არსენ იყალთოელის თარგმანის ენა და სტილი გელათის სკოლის ენობრივი და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ნორმებით ხასიათდება. ტექსტს გამოცემაში ახლავს ლექსკონი და საძიებლება.

შრომა სანქტერესოა როგორც ქართველოლოგიასა და ბიზანტინოლოგიაში მომუშავე მკვლევართათვის, ასევე სარწმუნოებრივ-საღვთისტეტყველო კუთხით ძველი ქართული მწერლობის საკითხებით დანტერესუებულ პირთათვის.

In this edition there are presented a prominent Byzantine theologian of XI c., Nicetas Stethatos' five polemical speeches, directed against Armenian monophysitism. The Georgian translation of this work is made by St. Arsen of Ikaltho. The Georgian translations of St. Arsen of Ikaltho, compared with Greek manuscripts, containing the original version, kept the text close to protograph. The Nicetas Stethatos' work besides theological-polemical content, is worthwhile and important for considering liturgical issues and historical-ecclesiastical facts as well.

The language and style of the Georgian translation, made by St. Arsen of Ikaltho, corresponds to the linguistic and literary-translating standards of the Gelathi school.

The printed version of St. Arsen of Ikaltho's translated text has research, glossary and check-list.

This work is very important and interesting for researchers, working in Kartvelian studies and Byzantiology, theology and Georgian literature.

რედაქტორი:

პროტოპრესტი გიორგი ზვიადაძე

ფილოლოგის დოქტორი

Editor:

Protopresbyter Giorgi Zviadadze

Doctor of Philology

რეცენზენტი:

ედიშერ ჭელიძე

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

Reviewer:

Edisher Chelidze

Doctor of Philological Sciences



ნინასიტება
მართლი ქართული მართლი და მართლი გამოცხადების
მიზანი ანთონი

წინასიტება

ძველ ქართულ მწერლობაში დასტურდება XI საუკუნის თვალსაჩინო პიზან-ტიელი თეოდორისა და მწერლის, ნიკიტა სტითატის (ლათინური წყაროებით Nicetas Pectoratus) რამდენიმე თხზულება. ნიკიტა სტითატი (1015-1090წ.) იყო სტუდიის მონასტრის სუცესმონაზონი კონსტანტინოპოლიში. იგი იყო სვიმეონ ახალი-ღვთისმეტებულის მოწაფე, მისი მისტიკურ-საღვთისმეტყველო იდეალების ერთგული მიმდევარი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ბიზანტიის საეკლესიო წრეებსა და დასავლეთის ეკლესიას შორის გრიალებულ დისკუსიაში, როდესაც აღმოსავლეთის მართლმადიდებლებს დიდერობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიქაელ კერულარიოსი, ხოლო დასავლეთის ეკლესიის წარმომადგენელებს – კარდინალი პუმბერტი¹ და რაც, საბოლოო ჯამში, 1054წ.-ის სქიზმით დამთავრდა.

ნიკიტა სტითატის თხზულებები მწერლობის სხვადასხვა დარგს (პოლემიკა, ასკეტიკა, ჰაგიოგრაფია, ლიტურგიკა, ლეთისმეტყველება, ეპისტოლები) განეკუთვნება. მისი შრომები კარგად არის ცნობილი მკვლევართათვის². რამდენიმე მათგანი გამოქვეყნებულია.³ ზოგ ნაწარმოებს შეცდომით მიაწერდნენ ნიკიტა სტითატს.⁴ განსაკუთრებით ცნობილი გახდა ნიკიტა სტითატი ლათინთა წინააღმდეგ მიმართული თხზულებების წყალობით. ერთ-ერთი მათგანია *Libellus contra Latinos*.⁵ ეს იყო სანადასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების სქიზმისა (1054 წ.). პოლიტიკური მოსაზრებების გამო იმპერატორი კონსტანტინე მონომახი ცდილობდა დისკუსიის მშენდოიან კალაპოტში გადართვას, პაპ ლეონ IX-სთან უნიას. ნიკიტა სტითატის ანტილათინურმა თხზულებამ იმპერატორის უქმაყოფილება გამოიწვია. მან უბრძანა ნიკიტა სტითატს, საჯაროდ დაეწევა თავისი თხზულება პაპის ლეგატის, კარდინალ პუმბერტის დასწრებით და ამით უარესო ნაშრომში გამოთქმული ანტილათინური ბრალდებით⁶. კარდინალმა საპასუხო წერილი დაწერა: „აპასუხი ანუ უარყოფა ნი-

1 Michel 1930.

2 PG 120, col.843-850; Demetarakopoulos 1866 : 5-8; Disdier : 481-483; Beck 1959 : 535-538; Nicétas Stéthatos 1961 : 56-515; Solignac : 225-226.

3 Nicétas Stéthatos 1961 : 56-515; Hergenröther 1869 : 84-138.

4 რაფაელ 1997: 45-49. რაფაელ, ჩიკვატია 2009 : 236-294.

5 PL CXLIII, col.973-984. Solignac 1981 : 225.

6 PL CXLIII, col. 1001; Лебедев 1902: 351.



კიტას თხზულებისა“?⁷ მათ შორის პოლემიკა რამდენიმე სადაც საკითხს ეხებოდა, რომელიც არსებობდა XI-ს-ში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის.

ნიკიტა სტითატის ანტილათინურ თხზულებებთან თემატიკის თვალსაზრისით დიდ სიახლოეს ავლენს მისი სხვა პოლემიკური თხზულება, რომელიც სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ არის მიმართული. ნიკიტა სტითატის თხზულების მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქტორიო იმ საღვთისმეტყველო საკითხებისა და საეკლესიო პრაქტიკის შესახებ არსებულ დისკუსიაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI-ს-ის ბიზანტიის იმპერიაში სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ.

სტითატის ეს პოლემიკური ნაწარმოები საკმაოდ პოპულარული იყო. ამ თხზულებით სარგებლობდნენ დასავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან პოლემიკის დროს. მას მთელი რიგი თემატური პარალელები გააჩნია დათინთა წინააღმდეგ მიმართულ თხზულებასთან.⁸ ნიკიტა სტითატის თხზულებას არის დასესხებული ორი ნაწარმოები უცომო პურის (მწამი) თემაზე, რომელთაგან ერთი ფსევდო-ათანასეს სახელს ატარებს⁹, ხოლო მეორე – ფსევდო-იოანე დამასკელისას¹⁰. ამ ფსევდო სახელებს ამოფარებული ნაწარმოებების ისტორია და ხელნაწერთა ტრადიცია ჯერ კიდევ არ არის გარკვეული.¹¹ მიუხედავად ასეთი პოპულარობისა, სომები მონოფიზიტებისადმი მიმართული ნიკიტა სტითატის სიტყვები ჯერ კიდევ ფაქტიურად შეუსწავლელია.

7 PL CXLIII, col. 983-1000.

8 Michel 1930: t.II.

9 PG 28, col. 1327.

10 PG 94, col. 414.

11 Nicétas Stéthatos 1961: 11.



I. ნიკიტა სტიფატის ანტიმონიფიზიტური სიტყვების ბერძნული ორიგინალი

სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული ნიკიტა სტიოთატის თხეულების ბერძნული ორიგინალის ტექსტი სრულად ჯერჯერობით გამოცემული არ არის. ბერძნული ტექსტი გამოსაცემად მომზადებული აქვს იღუმენ დიონისიოსს (შლენოვს). მან 2008 წელს გამოაქვეყნა ნიკიტა სტიოთატის პირველი სიტყვა, ხოლო 2010 წელს – მეორე და მესამე სიტყვები.¹² ბერძნული კრიტიკული ტექსტები მის მიერ გამოსაცემად მომზადებულია შემდეგი ბერძნული ხელნაწერების მიხედვით: M - Mosquensis 232 (443), ff. 171-190 – მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, ყოფილი სინოდალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი, XII ს-ისა¹³; B – Vindobonensis teol. 58, ff. 119v - 124 v, XVI ს-ის I ნახევარი, V¹ – Vaticanus. gr.1151, ff. 62 v - 69r, (XIII-XIVსს.); V² – Vaticanus.gr.1105, ff. 143 v – 152 v (1523წ.). ბერძნულ ტექსტებს გამოცემაში დართული აქვს რუსული თარგმანი, გამომცემლის მოკლე შესავალი და შენიშვნები. აღნიშნული სამი სიტყვის ბერძნული ორიგინალის ტექსტებთან ერთად პარალელურად გამოცემულია ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილი ქართული თარგმანის ტექსტები კრიტიკული აპარატითურთ¹⁴.

ნიკიტა სტიოთატის თხეულების პირველი სიტყვა დადასტურებულია ვინდობანის ერთ-ერთ ბერძნულ ხელნაწერში.¹⁵ ასევე ვატიკანის ერთ-ერთი ხელნაწერი შეიცავს მეოთხე სიტყვის ტექსტს.¹⁶ მკვლევართა მიერ გამოთქმულია აზრი, რომ ნიკიტა სტიოთატის ანტიმონიფიზიტურ სიტყვებს უნდა უკავშირდებოდეს ერთი ნაწარმოები, რომელიც იოსებ პერგენროებერს აქვს გამოცემული.¹⁷ ვარაუდობენ, რომ ეს უნდა იყოს სომებთა წინააღმდეგ დაწერილი მე-5 სიტყვა.¹⁸

12 Преп. Никита Стифат 2008: 39-104; Преп. Никита Стифат 2010: 66-100.

13 ხელნაწერი ეტრატია, იგი ათონის მთის ივერთა მონასტრის კუთვნილება ყოფილა, რასაც მოწმობს მინაწერი ხელნაწერის ზედა აშიაზე: twn ſbhrwn. ამასთან დაკავშირებით იხ. Фонкич 1977. ხელნაწერი ათონის მონასტრიდან მოსკოვში ჩაუტანია არსენი სუხანვეს XVII საუკუნეში. ეს ცნობა მოგაქვს იღუმენ დიონისიოსის დასახელებული გამოცემიდან. იხ. Преп. Никита Стифат, Первое обличительное слово против Армян, 39-104.

14 Преп. Никита Стифат 2008: 39-104.

15 Demetrapoulos 1866: t. 1, z.

16 Преп. Никита Стифат 2008: 52-53.

17 Hergenröther 1869: 139-154.

18 Nicétas Stéthatos 1961 : 11.



ნიკიტა სტიოთატის თხელების ბერძნული ორიგინალის ტექსტი 4 სიტყვის მოცულობით დაცულია მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის № 232 (443) ხელნაწერში, დანარჩენ სამ ზემოთ დასახელებულ ნუსხაში, მხოლოდ პირველი სიტყვა დასტურდება.

ბერძნულ ტექსტში სიტყვების დასათაურება ასეთია:

1. Νικήτα εὐτελοὺς μωναχὸν καὶ πρεσβυτέρου μωνῆς τῶν Στουδίων, τοῦ Στηθάτου: Λόγος επήλιτευτικὸς τρώτος κατὰ τὴς βλασφήμου τῶν Ἀρμενίων αἰρέσεως (171 v – 177).

2. Τοῦ αὐτοῦ κατὰ τὴς βλασφήμου τῶν Ἀρμενίων αἰρέσεως επήλιτευτικὸς λόγος δεύτερος (177 – 183 v).

3. Τοῦ αὐτοῦ επήλιτευτικὸς τρίτος τὴς δόξης τῶν Ἀρμενίων περὶ τοῦ τρισαγίου (183 v – 185 v).

4. Τοῦ αὐτοῦ επήλιτευτικὸς τέταρτος τὴς τῶν Ἀρμενίων ὑψάλου αἰρέσεως (185v – 190v).¹⁹

ამრიგად, ბერძნულ ხელნაწერებში წარმოდგენილი არ არის ნიკიტა სტიოთატის ანტიმონოფიზიტური თხელების სრული შედგენილობა. არის თუ არა პერგენროიტერის მიერ გამოცემული ტექსტი ანტისომხური მონოფიზიტური თხელების ნაწილი, თუ იგი დამოუკიდებელი ნაწარმოებია? და საერთოდ, როგორ არის ავტორისეული ტექსტი წარმოდგენილი ბერძნულ ხელნაწერებში, ხომ არ გვაქვს საქმე შემდეგი დროის რედაქტორ-გადამწერთა მიერ სახეცვლილ ტექსტთან?

ამ და სხვა კიოხებებზე სრულ და უტყუარ პასუხს იძლევა ნიკიტა სტიოთატის თხელების წმ. არსენ იყალთოელის ქართული თარგმანი.

II. წმ. არსენ იყალთოელის ქართული თარგმანი და მისი შემცველი ხელნაწერები

სანამ უშეადოდ ნიკიტა სტიოთატის ანტისომხური მონოფიზიტური სიტყვების არსენისეულ თარგმანს განვიხილავდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე წმ. არსენის მიერ თარგმნილია სტიოთატის სხვა თხელებებიც, კერძოდ, მისი საღვთისმეტყველო შრომები და ეპისტოლები. ყველა მათგანი შესულია წმ. არსენ იყალთოელის კრებულ „დოგმატიკონში“

19 Систематическое описание рукописей Московской синодальной (патриаршей) библиотеки арх. Владимира, М. 1894.



შემდეგი თანმიმდევრობით:²⁰

1. ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტიოატი-სად ხუთი სიტყვა სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ 256r -264v.

2. მისივე, ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრი-სად საონოებათა აღსავალთათვეს. ევსების მონაზონსა ნიკიტა მონაზონი 264v -265r.

3. ნიკიტას ხარტოფილაკსა და სუნკელოსსა კორონიდსა ნიკიტა უნდოვ მონაზონი და ხუცესი სტუდიელთა მონასტრისად სტიოატი 265r-v.

4. ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტიოა-ტისად სიტყუად სულისათვეს 265v-271v.

5. მისივე, სამოთხისათვეს 271v-276v.

6. ნიკიტა ხარტოფილაკსა და სუნკელოსსა კორონიდსა ნიკიტა უნდოვ მონაზონი და ხუცესი სტუდიელთა მონასტრისად სტიოატი 276v-277r.

7. ნიკიტა მონაზონი სტიოატი ნიკიტას ხარტოფილაკსა და სუნკელოს-სა კორონიდსა 277r-v.

8. ნიკიტა უნდოვ მონაზონი და ხუცესი სტუდიელთა მონასტრისად სტიოატი ბასილის მესიბრძნებსა 277v -281r.

9. მისივე, ბასილის მიმართ მონაზონისა, ბასილის მონაზონსა ნიკიტა მონაზონი 286v-287v.²¹

ნიკიტა სტიოატის სომხეთი მონოფიზიტების წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური ოხულების ქართული ოარგმანის ტექსტი დაცულია „დოგ-მატიკონის“⁹ ხელნაწერში: S 1463 (XII-XIII), 256r – 264 v; A 65 (1188 – 1210 წ.), 114r – 137r; A 205 (XIII), 162v – 185 v; K 23 (XIII), 239 v – 269r; K 15 (XVII), 189v- 221r; H 601 (1746 წ.), 188 – 233; A 1086 (XVIII), 103 v – 128r; Q 50 (1777 წ.), 87 v – 115v; A 64 (1751 წ.), 114 v – 137r.

წმ. არსენის ქართული ოარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოყენებული გვაქვს ხუთი ხელნაწერი. ესენია:

1. S 1463 (XII-XIIIსს). ეს კრებული კარგად არის ცნობილი სამეც-ნიერო ლიტერატურაში. მისი შედგენილობა და რედაქციები სპეციალუ-რად არის შესწავლილი ივანე ლოლაშვილის მიერ.²² S 1463 ხელნაწერი,

~~~~~

20 გუთიოთებთ „დოგმატიკონის“ უძველესი ნუსხის, S 1463-ის (XII-XIIIსს.) მიხედვით.

21 ჩამოთვლილთაგან მე-2,3,4,5 ოხულებების ქართული ოარგმანები შესწავლი-ლია მაია კასრამის მიერ, რომელმაც ქართველობრივისა და ბიზანტინისტიკისთვის თანაბრად საინტერესო და მნიშვნელოვანი დაპვირვებების საფუძველზე დაიცვა დი-სერტაცია პარიზის სორბონის უნივერსიტეტის უმაღლესი სწავლების პრაქტიკულ სკოლაში (EPHE).

22 ლოლაშვილი 1978 : 104-144.



როგორც „დოგმატიკონის“ ყველაზე ადრეული და სრული ნუსხა, შედარებულია „დოგმატიკონის“ შემცველ დანარჩენ ხელნაწერებთან, რის საფუძველზეც გაკათებულია კრებულის შედგენილობის ამსახველი ცხრილი ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით<sup>23</sup>. S 1463 ხელნაწერის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის არსებობის გამო აქ მის აღწერილობაზე არ შევჩერდებით.

2. A 205(XIIIს.). ეტრატი, ოაგ-ბოლო ნაკლული. ხელნაწერი დაწერილია ორი განსხვავებული ხელით,პირველი ხელი – 1r-141v,მეორე ხელი – 145r-257v. ნაწერია ნუსხა-ხუცურით.<sup>24</sup> ხელნაწერი შეიცავს „დოგმატიკონს“, მაგრამ არასრული სახით. ხელნაწერი „დოგმატიკონის“ სხვა ნუსხებისაგან გამოირჩევა იმით,რომ მასში მეორე ადგილას, სხვა ნუსხებში არსებული წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ და „გარდამოცემის“ ნაცვლად, მოთავსებულია წმ. ეპიფანე კვიპრეპისკოპოსის „პასუხი ეპისტოლისათ“ (145r-150v) და მასალიანელთა წვალების შესახებ ორი სტატია (151r-152v).<sup>25</sup> ხელნაწერში ასევე დასტურდება „დოგმატიკონის“ ოხზულებებიდან ცალკეული ოვების დამოუკიდებელ ნაწარმოებად გატანის ფაქტები. მაგ.: „საზღვარი წმიდისა და მსოფლიოსა კრებისათ“ (190v -192v) წარმოადგენს „გამოკრებანი წამებათანის“ ერთ თავს (შდრ. S 1463, 168v). „მისივე, აკაკის მართლისაგან მელიტინელთა ეპისკოპოსისა“ არის „თოთოსახეთა თავთა, ესე იგი არს, გამოიძიეთ კითხულთა აღჭსნად ქრისტეს მიმართისა კეთილადმსახურებისათვს“ ნაწარმოების ერთი თავი (შდრ. S 1463, 211v).

1. H 601 ( 1746v.). 267 ფ., ქადალდი, ნუსხური. გადამწერნი: ნიკოლოზ, სიონის დეკანოზის, შვილი, მღვდელი იოანე და იასე. დამკვეთი: მეფე თეიმურაზ II.<sup>26</sup> ხელნაწერი წარმოადგენს „დოგმატიკონს“, მაგრამ S1463-ისგან განსხვავებით, ისევე, როგორც A 205-ში, დასტურდება წმ. ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათოთქს“ (149-169) და ცალკეულ თხზულებათა თავების დამოუკიდებელ ნაწარმოებად გატანის ფაქტები.

2. A 65 (1188-1210 წვ.). 214 ფ., ნუსხური. 194r-211v, მხედრული. ცურცლუ-

~~~~~

23 ჩიქვატია 2003 : 81-85.

24 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა), I თბილისი, 1980, 8-13.

25 წმ. ეპიფანე კვიპრელის თხზულებისა და მასალიანელთა წვალების შესახებ A 205 ხელნაწერში იხ. რაფაგა 1986 : 39-51. მახარაშვილი 1987 : 106-113. მახარაშვილი 2012 : 48. მახარაშვილი 2002 : 166-170.

26 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექციისა), II, თბილისი, 1951 წ., 54-59.



ბი დაზიანებულია და რესტავრირებული.²⁷ ხელნაწერი „დოგმატიკონის“ თხელებების გარდა შეიცავს სხვადასხვა საღვთისმეტყველო-ეგზეგურ-ასტროლოგიური შინაარსის თხელებას.

3. ქუთ. 23 (XIIIს.). 458 ფ. ეტრატი, ნუსხური, ნაკლული²⁸. ხელნაწერი „დოგმატიკონის“ კრებულია, თუმცა თხელებათა თანმიმდევრობა არ ემთხვევა S 1463-ის თანმიმდევრობას. ამ ხელნაწერშიც დასტურდება „დოგმატიკონის“ ცალპეულ თხელებათა თავების დამოუკიდებელ ნაწარმოებებად გატანის ფაქტები. ქუთ. 23 ხელნაწერი „დოგმატიკონის“ ნუსხებს შორის გამოირჩევა თავისი გამართული ტექსტებით, ხშირად იგი უფრო სწორ წაკითხვებს გვთავაზობს, ვიდრე S 1463.

ნიკიტა სტიოთატის ჩვენოვის საინტერესო ანტისომხურ-მონოფიზიტური თხელება „დოგმატიკონის“ S 1463 ნუსხაში წინ უძღვის ნიკიტა სტიოთატის დანარჩენ ზემოაღნიშნულ თხელებებს. „დოგმატიკონის“ ნუსხებში წმ. არსენის ქართული თარგმანი 5 სიტყვის სახით არის წარმოდგენილი. თოთოეული სიტყვა დანომრილია და შემდეგი დასათაურება აქვს:²⁹

1. „ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა, სტიოთატისავ – სიტყვა პირველი განსაქიქებელი მგმობრისა მის წვალებისა სომეხთავსავ“ (256 r – 258 r).

2. „მისივე, დასამხობელად მგმობრისა წვალებისა სომეხთავსა, განსაქიქებელი მეორე“ (258 r – 260v).

3. „მისივე, განსაქიქებელი გ [3] უმადიდებლობისა სომეხთავსა, სამწმიდაობისათვეს“ (260 v- 261 r).

4. „მისივე, განსაქიქებელი მეოთხე წვალებისა სომეხთავსავ“ (261 r – 262 v).

5. „მისივე, განსაქიქებელი მეხუთე წვალებისა სომეხთავსავ და უცომოვსათვეს“ (262 v – 264 v).

ქართული თარგმანი საყურადღებოა როგორც შედგენილობით, ისე ტექსტობრივი წაკითხვებითაც, რაც გლინდება ბერძნულ ორიგინალთან შედარებით არსებულ მთელ რიგ განსხვავებებსა და თავისებურებებში.

სანამ ბერძნულ ორიგინალთან ტექსტობრივი შედარების შედეგებს წარმოვადგენდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ წმ. არსენ იყალთოელის ქარ-

27 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი საკლებიო მუზეუმის (A) კოლექციისა), I, თბილისი, 1973, 224-230.

28 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის აღწერილობა, ტ. I, თბილისი, 1953, 104-108.

29 აქც და შემდგაც ნიკიტა სტიოთატის ტექსტების ქართულ თარგმანებს ვუთოთებთ S 1463 ხელნაწერის მიხედვით.



თული თარგმანი თითქმის თანამედროვეა თხზულების პერძნული ორიგინალისა. თარგმანს, ალბათ, 4-5 ათეული წელი აშორებს თრიგინალის შექმნის დროს. რას ვეყრდნობით ამ მოსაზრების გამოთქმისას?

წმ. არსენ იყალთოელის თარგმანს ქართულ ხელნაწერებში ახლავს ანდერძ-მინაწერი შემდეგი შინაარსისა: „ლოცვა-ყავთ, მამანო და მმანო, არსენისთვის თარგმანისა და დავითისთვის პეტრიწონელისა, მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გარდმოუქართულებიან ე ეს თავნი სომეხთა განმაქიქებელნი. საუკუნომცა არს გსენებად არ-სენისი, ამინ“ (S 1463, 264v I).

ეს ანდერძ-მინაწერი მრავალმხრივ არის საყურადღებო: 1. სომეხი მო-ნოფიზიტების საწინააღმდეგო პოლემიკური თხზულების მთარგმნელი არის არსენი. ამ სახელით „დოგმატიკონში“ არა ერთგზის იხსენიება წმ. არსენ იყალთოელი. 2. თხზულება თარგმნილია ბერძნულიდან. 3. წმ. არ-სენს თხზულება უთარგმნია დავით პეტრიწონელის დაკვეთით. 4. თხზუ-ლება შედგება ხუთი სიტყვისაგან.

დავით პეტრიწონელის მიერ სომხური მონოფიზიტობის საწინააღ-მდეგო თხზულების თარგმნის დაკვეთა უაღრესად საინტერესო ფაქტია სხვადასხვა თვალსაზრისით.

პირველი – ხერხდება წმ. არსენის მიერ ნიკიტა სტიოთატის თხზულე-ბის თარგმნის მიახლოებითი ქრონოლოგიის დადგენა. დავით პეტრიწო-ნელი პეტრიწონის მონასტრის ბერია, ე. ი. მის თხოვნას ნიკიტა სტი-ოთატის თხზულების თარგმნის შესახებ ადგილი ექნებოდა პეტრიწონის ქართველოა მონასტრის დაარსების შემდეგ, ანუ 1083 წლის შემდეგ. და-ვით პეტრიწონელს წმ. არსენ იყალთოელისათვის შეიძლება მიემართა წმ. არსენის შავ მთაზე ყოფნისას (XI ს-ის 80-90-იან წლები), ასევე მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგაც. ასეა თუ ისე, 1083 წლამდე ამ ფა-ქტს ადგილი არ ექნებოდა. წმ. არსენს თხზულება ნათარგმნი აქვს 1083 წლის შემდეგ.

მეორე – რითი უნდა ყოფილიყო განპირობებული დავით პეტრიწონე-ლის დაკვეთა, წმ. არსენს ეთარგმნა სომხური მონოფიზიტობის წინააღ-მდეგ მიმართული პოლემიკური თხზულება?

ამ ფაქტთან დაკავშირებით სომეხ მკვლევარ ვ. არუოთუნოვა-ფიდანიანს გამოთქმული აქვს შემდეგი მოსაზრება: ის ფაქტი, რომ პეტრიწონელი ბერი დავითი წმ. არსენ იყალთოელს ათარგმნინებს სომეხი მონოფიზი-ტების წინააღმდეგ მიმართულ თხზულებას, მეტყველებს იმის შესახებ,



რომ პეტრიწონის მონასტერი სომხური აღმსარებლობისა იყო.³⁰

სინამდვილეში, „დოგმატიკონის“ ანდერძ-მინაწერის ეს ცნობა იმაზე მეტყველებს, რომ პეტრიწონის მონასტერი ქართული იყო. მონასტერი სომები ქალკედონიტების გამგებლობაში რომ ყოფილიყო, ერთი, თუნდაც რამდენიმე, ქართველი მართლმადიდებელი ბერის ცდა ყოველგვარ შედეგს იქნებოდა მოკლებული. როგორც ჩანს, პეტრიწონის მონასტერი ქართული ქალკედონური აღმსარებლობის იყო და სომებს ქალკედონიტებს გაუჩნდათ სურვილი მისი დაპატრონებისა. ქართველი დავით პეტრიწონელი მონასტრის სხვა ბერებთან ერთად ცდილობს, წინ აღუდგეს მონასტერში მათ შედწევას და ამ მიზნით საჭიროდ მიაჩნია, ხელო ჰქონდეს მათი სარწმუნოების მამხილებელი შრომა.

ანტისომხური, ანტიქალკედონიტურ-მონოფიზიტური პოლემიკა, ისევე, როგორც ზოგადად ყოველგვარი ერესის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკა, აჩვენებს მხოლოდ იმ დოგმატურ-პოლემიკურ, განმარტებითი სახის დავებს, რომელთა მიზანი იყო საკუთრივ თრთოდოქსის განმტკიცება, მისი მაცხოვნებლობის მტკიცება და სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ესა თუ ის პოლემიკური თრთოდოქსული თხზულება ან მისი თარგმანი მაინცადამაინც იმ ეთნიკურ გარემოში შეიქმნა, სადაც ესა თუ ის ერესი არ სებობდა.

გარდა ამისა, თუკი პეტრიწონის მონასტერი ქალკედონიტი სომხებისა იყო, სრულიად გაუგებარი რჩება, რატომ დაავალა დავით პეტრიწონელმა წმ. არსებ იყალთოელს ანტისომხური თხზულების ქართველი თხზულება ან მისი თარგმანი, განა უფრო უპრიანი არ იქნებოდა, თხზულება სომხურ ენაზე ეთარგმნაო?

III. ნიკიტა სტითატის ანტიმონფიზიტური სიტყვების თემატიკა

ნიკიტა სტითატის სიტყვების თემატიკა იმ საკითხებით არის შემოფარგლული, რაც აქტუალური იყო XI ს-ის შუა წლებისათვის ბიზანტიურ მართლმადიდებლურ აღმსარებლობასა და სომხურ მონოფიზიტობას შორის გამართულ დისკუსიაში.

30 Արյունովա-Ֆիդանյան 1908.



უპირველესად უნდა ითქვას, რომ ნიკიტა სტიოატის თხზულება პოლე-
მიკის წარმოების მაღალი პროფესიონალიზმის ნიმუშია და განვითარე-
ბული სქოლასტიკური აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს. აღსანიშნავია,
რომ ნიკიტა სტიოატის ეპოქასა (XII.), და შემდგომ ხანაში ძალზე იმდლა-
ვრა პოლემიკის დროს მკვეთრად აგრესიულმა, ურთიერთ შეურაცხმყო-
ველმა ტონმა. დოგმატური და საეკლესიო-ლიტურგიკული საკითხების
გარშემო საქმიანი, არგუმენტირებული დისკუსია ცინიკური, პამყლეტუ-
რი ბრალდებებით შეიცვალა.³¹ მსგავსი პამყლეტებისა და ბრალდებების
ფონზე ნიკიტა სტიოატის 5 სიტყვაში საპოლემიკო საკითხები უაღრესად
გაწონასწორებული ტონით, აკადემიური განათლებით არის წარმოდგენი-
ლი. ნიკიტა სტიოატის თხზულება გამორჩეულია პოლემიკურ თხზულე-
ბათა შორის თავისი სტილისტიკით, რაც ავტორის მიერ მსჯელობების
მაღალ აკადემიურ დონეზე წარმართვასა და სათანადო არგუმენტირებუ-
ლობაში გამოიხატება. ავტორის სტილი კრიტიკულია, იშვიათ შემთხვე-
ვაში სომხური წვალების მისეული შეფასება უაღრესად მკაცრია, მაგრამ
თხზულებაში წარმოებული დისკუსიის ტონი არასდროს სცილდება
საეკლესიო ეთიკის ფარგლებს და არასდროს არაა შეურაცხმყოფელი.
დინჯი აკადემიურობა თავიდან ბოლომდე გასდევს ხუთივე სიტყვას.

ნიკიტა სტიოატის სიტყვების თემატიკა, დისკუსია საკითხოს მრავალ-
ფეროვნებით ხასიათდება. აქ არის თეორიული ხასიათის მსჯელობანი
როგორც დოგმატურ, ისე ლიტურგიკულ საკითხებზე. მათ შორის არცოუ
იშვიათად ჩართულია ისტორიული ცნობები, ფილოსოფიური ცნებების
განმარტებანი. პოლემიკის მეთოდოლოგია არის წმიდა წერილისა თუ
ეკლესიის მამათა შრომების ციტირება და განმარტება, მწვალებელთა
შეხედულებების მამხილებელ სწავლებათა დამოწმება.

ნიკიტა სტიოატის ხუთივე სიტყვა მიმართულია სომხური სამღვდე-
ლოების გამორჩეული წრის მიმართ: „ბრძენნო და უაღრესნო სხუათა
სომეხთანო!“ (256 v I), „შ ბრძენნო და ზესთა სხუათა სომეხთასა მსხდო-
მარენო“ (260 v I). შესაძლოა, ეს სიტყვები პასუხია სომეხთა რომელიდაც
პოლემიკურ თხზულებაზე.

მეთოდოლოგიურად სტიოატის სიტყვები შემდეგნაირად არის აგებუ-
ლი: ყოველი სიტყვის დასაწყისში, ძალზე მოკლედ, ავტორი ასახელებს
იმ საკითხს, რომლის შესახებაც პირებს პოლემიკას აღნიშნულ თავ-
ში. პირველი სიტყვის დასაწყისია: „შემრეველობითისა თრთა ბუნებათა

31 Троицкий 1875: 247-249.



ქრისტესთავსა მადიდებლობისა... ვინებე რა განქიქებად... სამართლად შევჰრაცხე თანამოქმედად... მოყვანებად ღმრთისმეტყულთა შორის დიდისაცა და წმაგანსმენილისა გრიგოლისი... მოვედ, ამიერიოგან და მაღლითა ქადაგებითა ვეოთ დაწყებად განქიქებისა მათისაი“ (256r I). მე-2 და მე-3 თავების დასაწყისში ავტორი აჯამებს იმას, რაზეც წინა თავებში იყო საუბარი და მიუთითებს ახალი ოქმის დაწყებას. მე-2 სიტყვის დასაწყისია: „პირველი სიტყვა აღგიწერეთ ოქუენ, მ ბრძენნო და უაღრესნო სხუათა სომეხთასა, რომელსა შინა... გამოვაჩინეთ, თუ ვითარი არს ქრისტეს ზედა, ღმრთისა ჩუენისა, მართლმადიდებელობითი სარწმუნოებად... ხოლო აწ... აწინდელისა მიერ სიტყვსა მეორესა ძეგლსა აღგიწერთ თქუენ, კუალადცა გულსმოდგინენი ჩუენებად... ვითარმედ სხუად ვიდრემე არს გარეშე დღესასწაულისა ნათელთავსა ქრისტეს შობისა დღესასწაული“ (258 r II). მე-3 სიტყვის დასაწყისია: „პირველი და მეორე, მ ბრძენნო და ზესთა სხუათა სომეხთასა მსხდომარენო, თქუენდამომართი სიტყვსგებად, აკა ეგერა, კუალა თრთა ქრისტეს ბუნებათათვეს... აწ კუალად, მესამესა სიტყვასა სამწმიდაობისათვეს ვჲყოფო თქუენდა მიმართ“ (260v I). მე-4 სიტყვის დასაწყისია: „მოვედიო უპუე და ზღვსკლდეობითისა საცოლეისა თქუენისა და წვალებისა... ვოქუათ რამე მცირედი და ესევცა თქუენი დაფარული და ზღვსკლდეობითი, დაფარულთა მაგათ და ზღვსკლდეთა განვაქიქო წვალებაი“ (261 r I). მე-5 სიტყვის დასაწყისია: „რომელთა უსიბრძნისმოყვარესი გაქუს მოქალაქობად სოფლებისა შორის სომეხთავსა და სხუათასა უმეტესი მოგიიერეს მეცნიერებად, ისმინეთ სიტყუად უცომოდსათვსცა მეხუთედ თავად ჩუენ მიერ წარმოცემული ესე თქუენდა“ (262v II).

ნიკიტა სტითატის სიტყვების ოქმატიკა მრავალფეროვანია.

1. პირველი სიტყვა, რომლის სათაურია: „ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა, სტითატისად, სიტყვა პირველი, განსაქიშებელი მგობრისა მის წვალებისა სომეხთავსად“ (256r I – 258r II), ეხება წმინდა დოგმატური საკითხის, ქრისტეს ორბუნებოვნების განხილვას. ძირითადი თეზა, რომლის ჭეშმარიტების მტკიცებას ცდილობს ავტორი, მდგომარეობს იმაში, რომ განხორციელების შემდეგ ქრისტეში ორი ბუნებაა შეერთებული: საღმრთო და კაცობრივი, შეზავებისა და შერწყმის გარეშე, და არა ერთი შეზავებული ბუნება, როგორც ამას ქადაგებს სომხური მონოფიზიტური აღმსარებლობა (I სიტყვა, მუხლები 4-12). ნიკიტა სტითატი საგანგებოდ გამოჟყოფს იმ ქრისტოლოგიურ საკითხებს, რომელთა გააზრებაში სომხური მონოფიზიტობა იზიარებს სხვადასხვა



ერესის თვალსაზრისს. ნიკიტას მიერ განხილულია გარკვეულ საკითხებში ვალენტინის, მანის, აპოლინარი ლაოდიკიელის, ნესტორის, ევტიქის, საბელიოსის შეხედულებებთან სომეხი მონოფიზიტების თვალსაზრისთა ერთიანობა. სომხებმა ევტიქის და საბელიოზის ერესების კვალად აღიარეს ქრისტეს ერთი შეზავებული ბუნება განხორციელების შემდეგ. წმიდა მამების გამონათქვამებისა და კლასიკური ფილოსოფიური აზროვნებიდან აღებული ცნებით-ტერმინოლოგიური არგუმენტების მოშველიებით, ნიკიტა სტიოატი ამტკიცებს, რომ თუ ქრისტეში ერთ შეზავებულ ბუნებას ვაღიარებთ, მაშინ იგი „არცადა მამისა, ბუნებით მარტივისა, თანაარს არს, არცა – დედისა. და ესრუთ არცა დმერთად იცნობების, არცა კაცად“.³²

სომეხ მონოფიზიტთა, ისევე როგორც სხვა ერესიარქების (სევეროსი, დიოსკორე, ნესტორი, თეოდორე მომცსუესტელი) ცდომილება ეყუმნება საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინების – ბუნების (fusciō) და გუამის (phoīstasiō) – მნიშვნელობათა არამართებულ გაგებას. ნიკიტა სტიოატის პოლემიკის სპეციფიკა სწორედ მტკიცებისა და არგუმენტირების ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ცოდნაში მდგომარეობს. პოლემიკის საბოლოო მიზანია, დაასაბუთოს, რომ ქრისტეში დვთაებრივისა და კაცობრივის არსებითი შეერთება ჭეშმარიტია და არა „საოცრებითი“ (მოზეგნებითი), როგორც ამას დოკუმენტთა ერესის მსგავსად იზიარებენ სომეხი მონოფიზიტები.

ქრისტეში ორი შეუზავებელი ბუნების არსებობას ავტორი ორი საუფლო დღესასწაულის – შობისა და ნათლისდების – სიმბოლოებს უკავშირებს. ნიკიტა სტიოატი ცდილობს, სომეხ მონოფიზიტებს დაუმტკიცოს ლიტურგიკული პრაქტიკის ბიზანტიური ტრადიციის მართებულობა: ქრისტეს შობისა და ნათლისდების დღესასწაულების სხვადასხვა დროს (25 დეკემბერს და 6 იანვარს) აღნიშნვის აუცილებლობა. ძირითადი წეარო ამ საკითხის ანალიზის დროს მისთვის არის კრიგოლ დვთისმეტყველის 38-ე პომილია (Or 38), რომლის თანახმად, „სხუა ყოფასა აჩუენებს ქრისტეს შობისა დღესასწაულისასა, დმრთის გამოჩინებად სახელისმდებელი მისი, და სხუა – ნათლისდებისასა, ნათლვად მწოდებელი მისი“³³ თითოეულ დღესასწაულს განსხვავებული აქვს წესი და ადგილი, დღე და პატივი, ჟამი და რიცხვი.

შობისა და ნათლისდების დღესასწაულების თარიღებთან დაკავ-

32 S 1463, 256r II.

33 S 1463, 257r I.



შირებით ნიკიტა სტიოთატის პოლემიკის წყარო, შესაძლებელია, გრიგოლ დვითისმეტყველის გარდა იყოს იუსტინიანე დიდის სახელით ცნობილი ეპისტოლე 560 წლისა, რომელშიც იმპერატორი ასახელებს ხარების, შობისა და ნათლისძების დღესასწაულების სხვადასხვა თარიღს. მისი სახელწოდებაა „საკითხავი, ოქუმული დღესასწაულთათვეს, რომელ-იგი მიიწერა იერუსალიმდ ისტკინიანცს მიერ, მეფისა მართლმორწმუნისა“.³⁴

ამ უარსებითესი ქრისტოლოგიური და ლიტურგიკული საკითხების შესახებ პოლემიკა ავტორის მიერ მოცემულია არა მხოლოდ დრმა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მსჯელობებით, არამედ დახვეწილი სტილისტურ-გამომხატველი ფორმებით.

2. მეორე სიტყვის სათაურია: „მისივე, დასამჯობელად მგმობრისა წვალებისა სომეხთავისა განსაქიქმდებული მეორე“ (258 r II – 260 v I). ამ სიტყვაში, ქრისტეს ორბუნებოვნების დოგმის შინაარსიდან გამომდინარე, კრისტიანობის განხილული ორი საუფლო დღესასწაულის – შობისა და ნათლისძების – საიდუმლოს არსი და ეკლესიის მიერ დაკანონებული მათი თარიღების სამართლიანობა. წმიდა წერილსა და საეკლესიო მოძღვრებაზე დაყრდნობით ნაჩვენებია, თუ რა თეორიულ-დოგმატური შეხედულებებით არის განპირობებული სომეხი მონოფიზიტების საეკლესიო პრაქტიკაში მიღებული თარიღები. აქაც გრიგოლ დვითისმეტყველის შრომებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ „სხუა არს ქრისტეს შობისა და სხუა – ნათლისძებისათ. მუნ ყრმათ იშვა, აქა სრულმან მამაკაცმან ნათელ-იღო... სხუა – დედობრივისა შობისა საიდუმლო და სხუა არს – ემბაზისად“.³⁵

საყურადღებოა, რომ საწესო ჩვეულებაზე საუბრისას ნიკიტა სტიოთატს შემოაქვს ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საკითხი პენტარქიის შესახებ. პენტარქიის შესახებ სწავლებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იუსტინიანეს ეპოქიდან მოყოლებული, განსაკუთრებულ აქტუალობას იგი იმენს IX ს-ში. სომეხ მონოფიზიტებს ხან ოთხი საპატრიარქო საყდრიდან განდგომას უკითხინებდნენ, ხან ხუთი საყდრის მიტოვებას. ნიკიტა სტიოთატის მიერ განხილულია კანონიკური სწავლება პენტარქიის შესახებ (მუხლები 17-24). იგი სომხების მიმართ პოლემიკისას პენტარქიის ხელახალ ფორმულირებას ახდენს. მისი სწავლებით,

34 ქართული თარგმანის ტექსტი დაცულია ორ უმველეს მრავალთავში: A 19, 54-57; A 95, 61-66. ტექსტი ორჯერ არის გამოქვეყნებული: კეკლიძე 1946: 64-71. აბულაძე 1982: 302-307.

35 S 1463, 258v II.



ხუთი საპატრიარქო საყდარი ასოცირდება ხუთ ფიზიკურ შეგრძნებასთან. როგორც სხეულს გააჩნია ხუთი მგრძნობელობა: სახედველი, სასმენელი, საყნოსელი, გემოდსხილვა და შეხება და ყველას წარმართავს თავი, ისე ხუთი საპატრიარქო საყდარი წარმოადგენს ქრისტეს სხეულს – ეკლესიას, რომელსაც განაგებს ერთი თავი – ქრისტე „ოქუენ... რომლისა ეპისკოპოსისა ანუ ეკლესისანი ხართ... ჰრომაელთავსანია ანუ ალექსანდრიელთავსანი, იერუსალემელთა ანუ ანტიოქელთავსანი, გინა კონსტანტინუპოლელთავსა მსოფლიოთა და სამოციქულოთა საყდართანი?“ – მიმართავს სომხებს ნიკიტა სტიოთატი და საყვედურობს: „არცა ერთისა ამათ ეკლესიათაგანისა იპოებით ოქუენ თანამოწამედ“.³⁶ ნიკიტა სტიოთატის სწავლებას პეტრეკიის შესახებ საფუძვლად უდევს ეკლესიის მამათა სწავლება ეკლესიის – ქრისტეს სხეულის შესახებ, რომლის ამოსავალი არის პავლე მოციქულის მოძღვრება ერთი სხეულისა და მრავალი ასოს შესახებ (I კორ. 12,12 sqq).

3. მესამე სიტყვა – „მისივე, განსაქიქებელი ლ (3) უმაღიდებლობისა სომეხთავსაღ, სამწმიდაობისათვე“ (260v I – 261r I) – ეხება მართლმადიდებლურ ლიტურგიკაში ცნობილი სამწმიდაობითი გალობის სახეცვლილებას სომხები მონოფიზიტების მიერ. ისაია წინასწარმეტყველთან სერაფიმების გალობა: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“ (ესაია 6,3) სამწმიდაობით გალობად გამოოქავა მორწმუნეთა ეკლესიამ: „წმიდაო დმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შემიწყალენ ჩუენ“. „წმიდაო დმერთოს“ მამის მიმართ ამბობს, „წმიდაო ძლიეროს“ ძის მიმართ ადავლენს და „წმიდაო უკუდავოს“ წმიდა სულს განუჩინებს. სომხები მონოფიზიტები დიდ წვალებაში ჩაცვივდნენ, როცა სამწმიდაობით გალობაში „წმიდაო უკუდავოს“ დაუმატეს პეტრე მკაწრვალის სიტყვები: „ჯუარცუმულო ჩუენთვკ“, ასე: „წმიდაო დმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, რომელი ჯუარს-ეცუ ჩუენთვკ.“ ამით სომეხმა მონოფიზიტებმა ქრისტესთან ერთად ჯვარცმულად გამოაცხადეს მამაც და სული წმიდაც, ჯვარცმულად და გნებულად გამოაცხადეს მთლიანად წმიდა სამება. ნიკიტა სტიოთატი ამხელს ამ საკითხში სომეხი მონოფიზიტების ერთიანობას პეტრე მკაწრვალისა და სირიელი იაკობიტების ერესთან.

4. მეოთხე სიტყვაში, რომლის სათაურია „მისივე, განსაქიქებელი მეოთხე წვალებისა სომეხთავსაღ“ (261r I – 262v II), ნიკიტა სტიოთატი მსჯელობს სომხები მონოფიზიტების მხრივ მართლმადიდებლური აღმ-



სარებლობიდან გადახვევის რამდენიმე ფაქტზე, რომელთაც იგი სომეხთა „ზღვსკლდეობით“ ანუ ზღვაში რიცივით დაფარულ წვალებას უწოდებს. რომელია „ზღვსკლდეობითი“ ანუ რიცივით დაფარული წვალებანი?

ა. პირველია სომეხი მონოფიზიტების ერეტიკული აზრი იმის შესახებ, თოთქოს ძემ, დვოის სიტყვამ, როგორც სოლინარში (მილში), ისე გაიარა ქალწულის წმიდა საშო (მუხლები 1, 3, 4, 18). ეს არის ვალენტინისა და ვასილიდი ეგვიპტელის ერესი. ამ ერესის მიხედვით, ქრისტეს შობის საიდუმლო არამართებულად, არასწორად არის გაგებული. მათი მოძღვრებით გამოდის, თოთქოს 5 იანვარს, ცისკარზე ქალწულმა გაბრიელ ანგელოზისგან მიიღო ხარება. იმავე დღის მიმწუხრზე დვოის სიტყვამ სოლინარივით გაიარა ქალწულის საშო და ქრისტე იშვა. მეორე დღეს, 6 იანვარს, მან ნათელ-იღო. ამრიგად, მონოფიზიტთა სწავლებაში დარღვეულია ქრისტეს შობისა და ნათლისდების დღესასწაულთა კანონიკური თარიღები. თოთქოს დვოის ძეს ცხრა თვე არ დაუყვია დედის წიაღში, თოთქოს ოცდაათი წლისას არ მიუღია ნათლისდება იორდანეში (მუხლი 3).

ბ. ქრისტე განხორციელდა საოცრებით (მოჩვენებითად) და არა ჭეშმარიტად. ეს დოკეტისტოა ერესია. სახარების სწავლებაზე დაყრდნობით, ნიკიტა სტითატი აჩვენებს სომეხ მონოფიზიტთა ცდომილებას ხარების, შობისა და ნათლისდების თარიღების აღნიშვნასთან დაკავშირებით. იგი უზვენებს მიხეზებს, რითაც გამოწვეულია მათ მიერ ამ დღესასწაულების ერთსა და იმავე დღეს აღნიშვნა (მუხლი 4.18).

გ. „ზღვსკლდეობითია“ სომეხ მონოფიზიტთა საწესო პრაქტიკაში მიღებული წესი ევქარისტიაში წყლით გაუზავებელი დვინისა და უმარილო და უცომო პურის გამოყენების შესახებ (მუხლები 9-12). უცომო პურის შესახებ ამ თავში მოკლე მსჯელობაა, უფრო ფართოდ იგი განხილულია ბოლო, მე-5 სიტყვაში.

დ. „ზღვსკლდეობითია“ სომხების მიერ მირონის ნაცვლად ქუნჯითის ზეთის ხმარება.

ე. ყოველდღიურ დვოისმსახურებაში ტოვებენ დვოისმშობლის გალობებს (მუხლები 5-7, 18).

ვ. იცავენ ფორმალურ და არაზომიურ, ყოველგვარ აზრს მოკლებულ ასკეტიზმს (მუხლი 19).

ზ. სომხები არ ცნობენ ქალის მიერ სამსხევრპლო პურის მოზელას (IV, 8).

გართლმადიდებელი ეკლესიის საწესრგეულებო პრაქტიკის დასაცა-



ვად ნიკიტა სტიოთატი მოციქულთა კანონებს იშველიებს. ამ ფარულ და „ზღვსკლდეობით“ წვალებათა გამო სომები მონოფიზიტები შედარებული არიან ანტიკურ მრავალთავიან პიდრასთან, რადგან მათი წვალება, სტიოთატის აზრით, სხვადასხვა წვალებებისგან (გალენტინის, მანის, ნესტორის, პავლე სამოსატელის, ოქოდოტიონის, არიოზის, აპოლინარის) „შენივთებულ“ ერესს წარმოადგენს. ავტორი ცალ-ცალკე ასახელებს იმ საკიონებს, რომლებიც საერთო აქვს სომხურ მონოფიზიტობას თითოეულ ამ ერესთან.

სომები მონოფიზიტოა წესები „ზღვსკლდეობითად“ ანუ დაფარულად არის სახელდებული ნიკიტა სტიოთატის მიერ, რადგან სომხები, მისი აზრით, ცხადად, სიტყვებით თითქოს მკაცრ მართლმორწმუნეობრივ ცხოვრებას ეწევან, ფარულად კი ხშირად იხრებიან ერესისკენ. მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ თანხვდება. ამასთან დაკავშირებით, ავტორი გამოოქვამს ძალზე საყურადღებო აზრს რწმენისა და საქმის ურთიერთშეთავსების შესახებ, რაც აუცილებელია ჰემმარიტი მორწმუნისათვის. რწმენისა და ცოდნის ერთიანობა, ყოველდღიური ცხოვრების ამ ერთიანობით წარმართვა, რაც ქრისტიანული მორალითა და შუასაუკუნეობრივი საგანმანათლებლო სისტემით არის ნაკარნახევი, შემდეგნაირად არის გამოხატული ნიკიტა სტიოთატის მიერ: „უკუეთუ წინა-აღუდგებოდის სიტყუად და სარწმუნოებად ცხორებასა, არარად საკმარ არიან, დადათუ საკურველუბათაცა მოქმედებად მიიწინენ, რამეთუ მკუდარ არიან, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ სარწმუნოებად თუნიერ საქმეთასა მკუდარ არს და საქმენი ეგრეთვე – თუნიერ სარწმუნოებისა“ (მუხლი 20).³⁷ ეს არის მაღალი სქოლასტიკის, განვითარებული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნების იმპერატივა.

იმავე სიტყვაში ნიკიტა სტიოთატი პასუხობს სომები მონოფიზიტების ბრალდებას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მართლმადიდებლები არ იცავენ მოციქულთა მიერ დაწესებულ მარხებს თოხშაბათსა და პარასკევს, თუ იმ დღეს ერთი ვინმე წმიდანის, ან მოციქულის, ან აღმსარებლის მოხსენიების დღეა, რომ ბერძნული ეკლესია პატივს მიაგებს ნიკოლას, „მწირ ანტიოქელს“, რომელიც უფლის მოციქულებმა გარკვეული მსახურებისთვის გამოირჩიეს და რომელიც მაღავა განუდგა მოციქულთა სწავლებას და საფუძველი დაუდო ნიკოლაელთა სექტას. ნიკიტა სტიოთატი პასუხობს, რომ ქრისტეს ეკლესია პატივს მიაგებს სხვა ნიკო-



ლას, გერმოდ, გრიგოლ სომხითარის [განმანათლებლის] თანამედროვეებ, ნიკოლა მირონელს (მუხლი 14 -17).

5. მეხუთე სიტყვა – „მისივე, განსაქიქებელი მეხუთე წვალებისა სომებთა ასავა და უცომისათუ“ (262v II- 264 v I), ესება ევქარისტიაში უცომი პურის გამოყენების სომები მონფიზიტების წესს. სამსხვერპლო პური საფუარის გარეშე ანუ უცომოს (აქსიონ) საკითხი ძალზე მწვავე საპოლებიკო საკითხი იყო ნიკიტა სტიოთის თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის. იგი ისევ და ისევ ქრისტეს ორბუნებოვნებას უკავშირდება. საფუარიანი პური არის სიმბოლო ქრისტეში საღმრთო და კაცობრივი ბუნების შეერთებისა. ცომიანი პური არის ქრისტეს სხეული, რომელსაც სიცოცხლეს ანიჭებს სული, წყალი და სისხლი, რაც დადასტურდა ჯვარცმისას, როდესაც ცხოველმყოფელი სისხლი და წყალი გადმოედინა მისი ლახვრით განგმირული გვერდიდან. ამიტომ პურის, ქრისტეს ხორცის, ჭამით, ჩვენც ცხოველ ვიქნებით სულიწმიდის მიერ. უცომო ცველაზე საცილობელი იყო ლათინებთან დისკუსიის დროს, რაც ასახულია კიდეც მრავალრიცხვან პოლემიკურ ლიტერატურაში. ნიკიტა სტიოთატიც, თავისი მოღვაწეობის დროის შესაფერისად, რაც ლათინებთან აღმოსავლეთის ეკლესიის სქიზმას ემთხვევა, ვრცლად მსჯელობს იმ ერეტიკული მნიშვნელობის შესახებ, რაც უცომოში დებს: „ზიარებათ უცომოსად ძუელისა მსხურპლისა ზიარებად არს და არა ახლისა აღთქუმისად“. იგი ვრცლად ესება ქრისტეს პასექსა და ებრაელთა პასექს შორის არსებულ სხვაობას. როცა ქრისტემ ხუთშაბათს, საიდუმლო სერობაზე, პური აკურთხა, განტეხა და თავის მოწაფეებს გაუნაწილა: „ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემიო“, ეს პური უცომო არ ყოფილა, რადგან ებრაელებმა მხოლოდ ამის შემდეგ, შაბათ დღეს, მოამზადეს უცომო თავიანთი პასექის დღესასწაულისათვის.

საფურადდებო სომხური მონფიზიტობის მიმართ ნიკიტა სტიოთატის მიერ წამოყენებული სხვა ბრალდებები, რომლებიც ეხება: 1. ნათლისდებისას მირონის ცხების აუცილებლობას; 2. წმინდა მირონის ნაცვლად ქუნჯითის ზეთის გამოყენებას; 3. უსისხლო მსხვერპლს; 4. ევქარისტიის პურში მარილის არ გამოყენებას; 5. ქალის მიერ მოზელილი ცომის მიუღებლობას.

სომებს მონფიზიტთა წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ ხუთ სიტყვაში ავტორი იცავს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას, თავისი დროის კულტურულ-სააზროვნო ტრადიციებს, რაც სადვოისმეტყველო და ფილოსოფიური აზროვნების შერწყმაში გამოიხატებოდა.



თუმცა მიუხედავად ეპოქაში მიმდინარე სააზროვნო პროცესებისა, იქნება ეს ფილოსოფიური თუ მისტიკური, ნიკიტა სტიოთატის შრომები უაღრესად ტრადიციულია. მის შრომებში, უპირველეს ყოვლისა, იკვეთება ერთგულება წმიდა წერილისა და ეკლესიის მამების სწავლების მიმართ. მათი ციტირება საკმაოდ ხშირია. ამავე დროს აშკარად იგრძნობა ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტელექტუალური სული, რომელიც რწმენისა და ცოდნის ერთიანობას აღიარებდა.

ნიკიტა სტიოთატის ანტიმონუფიზიტურ სიტყვებში მართლმადიდებლური სიწმიდეების და საიდუმლოთა უპირატესი პატივისცემისა და უსიტყვოდ აღიარების პარალელურად სახეზე გვაქვს ფილოსოფიური ცნებების და ისტორიული ფაქტების ანალიზის შემთხვევები. ამდენად, ისინი ოეოლოგიურ-პოლემიკურ მიზანდასახულებასთან ერთად უცილობლად ავლენენ XIX-ის ბიზანტიური ქრონიკების ისტორიულობისა და რიტორიკულ-ფილოსოფიური აზრების შერწყმის ტენდენციას.

ავტორის შეხედულებით, ადამიანი ოვის ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ემყარებოდეს სახარებასა და სამოციქულო სწავლებას. ავტორი განსაკუთრებულად ავითარებს აზრს საქმის, პრაქტიკული საქმიანობის რწმენასთან შეთავსების შესახებ. ეს აზრიც მოხმობილია მოციქულთა სწავლებიდან (იაპ. 2, 26), მაგრამ ავტორი მის ფართო ინტერპრეტაციას იძლევა. რწმენასთან საქმის, საქმიანობის შეთავსების აუცილებლობის აღიარებით ავტორი მეცნიერულ-ფილოსოფიური იდეებით გაჯერებულ დათისმეტყველებას წარმოგვიჩნენს.

ისტორიზმის მიმართ ავტორის ინტერესი – პენტარქიის საკითხი, ხუთი მსოფლიო ეპლესია და მათი პირველი ეპისკოპოსების ხელდასხმა (II, 18, 20, 23, 25)³⁸, სომხეთისა და სირიის საეპისკოპოსოების დასახელება (II, 18), კესარიელთა პროტოორონის მიერ გრიგოლ სომქეთა ეპისკოპოსის ხელდასხმა (II, 20); მოციქულთა განწესებისა და კლიმენტი რომაელის სახელით ცნობილი მოციქულთა 85 კანონის დამოწმება მდგდელმსახურებაში და წმიდა ჟამისწირვის, ნათლისდების, ხელდასხმის, მირონისა და სხვა ლოცვების შესახებ მონოფიზიტებთან კამათის დროს მათი მოშველიება (II, 12; IV, 14); გრიგოლ განმანათლებლის ძისა და თრდატ სომქეთა მეფის დასწრება I მსოფლიო კრებაზე ნიკეაში კონსტანტინე დიდის დროს (IV, 14) – ეს და ქრონიკალური ხასიათის სხვა ცნობები ნიკიტა სტიოთატის პოლემიკურ სიტყვებს იმდროინდელი ბიზანტიური სარწმუ-

38 მითითებულია ქართული თარგმანის ტექსტი. რომაული ციფრი აღნიშნავს თხულების შემადგენელ სიტყვას, არაბული – სიტყვის შიგნით პარაგრაფს.



ნოებრივი და ინტელექტუალური ცხოვრების მატიანის მნიშვნელობას ანიჭებს.

შინაარსობლივ მხარესთან ერთად საყურადღებოა ნიკიტა სტიოატის თხზულების ფორმალურ-სტილისტური მხარეც. იგი მკვეთრად განსხვავდება სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული სხვა ნაწარმოებისაგან, ჯერ ერთი იმით, რომ პოლემიკა მხოლოდ ემოციურ-რიტორიკული ტონალობით კი არ მიმდინარეობს, არამედ ფართო ხასიათის წერილობითი წყაროების – სასულიერო მოძღვრებისა თუ „გარეშეთა“ სწავლების – საფუძველზე, ლოგიკურ-ცნებით აზროვნებაზე დამყარებული მსჯელობებით. მეორე განსხვავება მდგომარეობს პოლემიკის გამართვის უაღრესად ზომიერ, გაწონასწორებულ სტილში. ადგილ-ადგილ მკაცრი კრიტიკული ტონი ხშირად იცვლება შემგორებლური მიმართვებით სომები მონოფიზიტების მიმართ, რომლებმშიც ცხადად იკვეთება ავტორის სურვილი, რომ სომებმა უარყონ თავიანთი ცდომილებები და შეუერთდნენ მართლმორწმუნე კათოლიკე (საყოველთაო) მართლმადიდებელ ეკლესიას. ასეთ შემთხვევაში, როგორც ნიკიტა სტიოატი შენიშნავს სომებს, „იქმნეთ, ვითარცა ქვანი პატიოსანნი შორის ეკლესიასა დმრთისასა“, ან კიდევ: „ვითარცა საბაზმაკენი მნოებიარენი იხილვებოდით დიდსა შინა სახლსა დმრთისასა“.³⁹ აშკარაა, რომ ავტორის კეთილგანწყობითი ტონალობა სპეციალურად შერჩეულია მეტი ეფექტურობისთვის, სომები მონოფიზიტების მართლმადიდებლურ სარწმუნოებრივ პოზიციაზე მოსაქცევად.

IV. ქართული თარგმანის ტექსტის შედგენილობა

ნიკიტა სტიოატის თხზულება ქართულ თარგმანში ხუთი სიტყვისაგან შედგება. ამით ქართული თარგმანი განსხვავდება ორიგინალის ბერძნულ ხელნაწერებში დადასტურებული ტექსტისაგან, სადაც, როგორც ზემოთ ითქვა, ნიკიტა სტიოატის თხზულება მხოლოდ ოთხ სიტყვას მოიცავს. ის ფაქტი, რომ ქართული თარგმანი ხუთი სიტყვისაგან შედგება, ძალზე მნიშვნელოვანია ბერძნული ორიგინალის ტექსტის პირვანდელი სახის აღსადგენად. ქართული თარგმანი სავსებით ადასტურებს ქავ



დარუზესის ვარაუდს, რომ იოსებ ჰერგენროეტერის მიერ გამოცემული ტექსტი სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული თხზულების მე-5 სიტყვა უნდა იყოსთ.⁴⁴ ქართულ თარგმანს შემონახული აქვს აგზორისეული ტექსტის ის შედგენილობა, რაც ბერძნულ ხელნაწერებში დღეისათვის გამოვლენილი არ არის.

გარდა მისა, რომ ორიგინალის ავტორისეული ტექსტის ხუთი სიტყვის მოცეულობით არსებობა დასტურდება ქართული თარგმანის მიხედვით, ამ ფაქტს მხარს უჭერს ქართული თარგმანის სხვა ტექსტობრივი მონაცემებიც.

1. ქართულ თარგმანში თითოეული სიტყვა, ბერძნულის მსგავსად, დანომრილია: 1. „სიტყუად პირველი“ – (256r I), 2. „განსაქიქებელი მეორე“ (259r II), 3. „განსაქიქებელი გ“ (260v I), 4. „განსაქიქებელი მეოთხე“ (261r I), და 5. „განსაქიქებელი მეხუთე“ (262v II), ე. ი. ბოლო სიტყვა, რომელიც ბერძნულ ხელნაწერებში დღეს პირველ თოხთან ერთად არ ჩანს, ხოლო იოსებ ჰერგენროეტერის მიერ დამოუკიდებლად არის გამოქვეყნებული, არსენის ქართულ თარგმანში წინა, თოხ სიტყვასთან ერთად, მეხუთე სიტყვად არის წარმოდგენილი.

2. მეხუთე სიტყვის დასაწყისში ტექსტში წერია, რომ ეს თავი არის მთლიანი თხზულების მეხუთე სიტყვა: „ისმინეთ სიტყუად უცომოდსათვსა მეხუთედ თავად ჩუქნ მიერ წარმოცემული ესე თქვენდა“ (262v II).

3. ნიკიტა სტიოთატის პოლემიკური თხზულება სომეხი მონოფიზიტების მიმართ ხუთი სიტყვისაგან რომ შედგებოდა, ამაზე მიუთითებს ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები გადამწერის ანდერძ-მინაწერი: „ლოცვა-ყავო, მამანო და ძმანო, არსენისთვის თარგმანისა და დავითისთვის პეტრიწონელისა, მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გარდამოუქართულებიან ე ესე თავი სომეხთა განმაქიქებელნი...“ (S 1463, 287 v I). ანდერძ-მინაწერის (ცნობის მიხედვით, ნიკიტას თხზულება „ე“ ანუ ხუთი სიტყვისაგან შედგება.

ამრიგად, ქართული თარგმანის ტექსტის მონაცემები სავსებით დამაჯერებლად მიუთითებენ ისეთ ბერძნულ ორიგინალზე, რომელშიც ნიკიტა სტიოთატის თხზულება ხუთი სიტყვით იყო წარმოდგენილი. ბერძნულ ხელნაწერებში კი ხუთისიტყვიანი მოდელი ჯერჯერობით არ ჩანს. ქართულ თარგმანს დაცული აქვს ნიკიტა სტიოთატის თხზულება იმ შედგენილობით, როგორითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა.



V. ქართული თარგმანის მიმართება ბერძნული ორიგინალის შემცველ ხელნაწერებთან

არსენ იყალთოელის მიერ ნიკიტა სტითატის თხზულების თარგმნა დიდი ხნით არ არის დაცილებული ავტორის მიერ თხზულების შექმნის დროს, რის გამოც მოსალოდნელია, რომ არსენის მიერ წყაროდ გამოყენებული ბერძნული ნუსხა დაზღვეული იქნებოდა შემდეგი ხანის გადამწერებისა და რედაქტორების ჩარევისაგან და მაქსიმალურად ახლოს იქნებოდა ავტორის ხელიდან გამოსულ არქეტიპთან. ორიგინალსა და თარგმანს შორის მცირე ქრონოლოგიური ზღვარის არსებობის გამო არსენის თარგმანს დიდი უპირატესობა გააჩნია ნიკიტა სტითატის ტექსტის ისტორიის წარმოსაჩენად, ბერძნული ტექსტის არქეტიპის დასადგენად. ეს უპირატესობა კიდევ უფრო იზრდება არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი პრინციპების გათვალისწინებით, რასაც შემდგომ შევეხებით.

ქართული თარგმანის ტექსტი შედარებულია ოთხ ბერძნულ ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტთან. შედარების შედეგების ოვალსაჩინოების მიზნით ვიმეორებოთ ბერძნული ხელნაწერების ლიტერებს:

M = მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის № 232(443) (XII ს.).

B = Vindobonensis, Teol.58 (XVII ს.).

V¹ = Vaticanus. gr. 1151 (XIII-XIV ს.).

V² = Vaticanus. gr. 1105 (1523 წ.).

ტექსტობრივი შედარების შედეგები, ბერძნულ ხელნაწერებთან არსენის თარგმანის მიმართების სურათი წარმოდგენილი გვაქვს ცხრილის სახით (საილუსტრაციოდ მოტანილი გვაქვს მხოლოდ პირველი სიტყვის მასალა). ცხრილში არ ვუთოთებოთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ქართული თარგმანის ტექსტი განსხვავდება ყველა ბერძნული ხელნაწერის წაკითხვებისაგან. ყველა ასეთი შემთხვევა, ქართული თარგმანის ბერძნული ტექსტისაგან განსხვავდული წაკითხვები, მითითებულია ტექსტზე დართულ კრიტიკულ აპარატში. ცხრილში ხაზგასმულია იმ ბერძნულ ხელნაწერთა წაკითხვები, რომელთაც იმურებს ქართული თარგმანი.



1. ოანამოქმედად sunponw MBV², sun ponw/V¹
1. და რამეთუ kai; gar B V¹V², gar kai; M
1. იტყვან legetai M V², legete B V¹
2. om. om. BV¹V², qeiwn M
2. ღმრთისმეტყუელისანი geolog/B M V¹, add. Grhgoriw/V²
3. ბრძენო sof oi; B V¹V², sof ot atoi M
3. ქრისტე tou`Cristou`M V¹V², om. B
3. ერთხა და მასვე შინა Eñ mia/kai; aut h/BV¹V², ejn mia/th/aut h/M
3. შეურევნელიად ajugcutw~ M, add. toutou BV¹V²
3. ქრისტეს Cristo~ BV¹V², om. M
4. სხუად eteron V¹V², add. gar M
4. ვითარცა gar M, om. BV¹V²
4. იცნობა ejrhmatisi M, ejschmatisi V¹ V², ejschmatisen B
5. **om.** kata; ta~ grafat B V¹V², om. M
5. არა ouj BV¹V², om. M
6. სრული to; eh BV¹V², om. M
7. ორითა ბუნებითა და გორცოა Ej duv fusewn M, duv fusewn kai; swmat o~ V², kai; f ugew~ tou` swmat oö BV¹
7. სხუად და სხუად kai; aj ll h; MV¹V², add. kai; aj ll h; B
8. ღმრთისა tou`qeou`MV¹V², add. tou`qeou`B
8. om. Cristof BV¹V², om. M
8. და kai; MV¹V², h/kata; M
8. და kai; BV¹, h/kata; M
8. სევეროს Sebhro~ oude; BV¹V², om. M
8. ოეოდორე Qeodwro~ M V¹V², Qeodwrhto~ B
8. გილირს ოქუენ რწმუნება... შე- dei fronein hmao... famen thn ehwsin M, om.B'V'V²
9. ერთებასა M, om. B'V'V²
9. წარვედ Apage M, All jaþage B V¹V²
10. ჯუარცუმელიად ejstaurwšqai BV¹V², st aurwqhnai M
10. ვითარ wšper kai; BV¹V² wšper M
10. არს wh MV¹, oh BV²
10. ქარგასა xarth BV², carti; V¹, cartioi~ M
10. ოანაგანმშქუალვა sugkaql wšai B V¹V², kaql wšai M
10. ვითარცა wl M, om. BV¹V²
10. ღმრთისა Qeou` BV¹V², om. M
10. ოანა-იცნო sumpeponqe BV¹V², peponqe M



10. გრიგორი
10. მოვლინება-ყოფად
10. ღმრთისწინააღმდგომობისა
10. თავისა თვისისა მიმცემელობადცა წერილ არს და ადღგა მამისა მიერ და ამაღლდა
11. იგონებ
11. შესძინებ
11. ჯუარცეული
11. ვითარცა
12. ჩუქნ
12. ერთსა შინა და მასვე
12. მამისა
12. შემრეველნი
13. ოშე-ოშეად
13 . ერთ დღე სასწავლა უდად
სრულყოფელობითა შეპრევო
13. ღმრთისმეტყველთა შორის
13. განარჩევ
14. ვითარცა
14. om.
14. ქალწელისაგან
14. კაცოა
14. ოქუმელ არს
14. განიხილე
14. არცა ერთსა რას
15. ოშეისა
15. საცხებელი
15. ქრისტე
15. om.
16. ვმა-ყო
16. რომელი
16. om.
16. om.
16. აწ
17. წესებ
17. om.
- Grhgorio~ BV¹V², om. M
Apostol hn eihai BV¹V², Apostol hn M
Antieo~ MV¹V², ajtitiqeo~ B
gegraptai... ajeil hf qai BV¹V², om. M
- logizh/BV¹V², logizei M
prostikh~ BV¹V², prostikei~ M
stauroumenon BV¹V², sust auroumenon M
wL MV¹V², om. B
hmin BV¹V², om. M
Eh mia/ kai; th/ aut h/ V¹V², ejn mia/ kai;
aut h/B, ejn mia/ th/ aut h/M
tou`te patro~ BV¹V² M- ზო არ იკო-
ობება
- sugceunte~ MV², sugceonta~ **B V¹**
dihrhmenw~ BV¹V², dihrhmena~ M
mianepitelounta~ panhgurinsugceente
BV¹V², om. M
- qeologio~ **M**, Qeologia BV¹V²
ejmafainei **M**, om. BV¹V²
wL M, om. BV¹V²
om. **M**, ejarkwqh kai; BV¹V²
Ek parqenou BV¹V², parqenou~ M
- Twn ajqrwpwn BV¹V², om. M
lelectai **M**, gegraptai BV¹V²
prosece BV¹V², prosecete M
oujen **M B V¹**, om. V²
- añtou B V¹V², om. M
- criisi~ **MBV²**, crhisi~ V¹
Cristor M V¹ V², om. B
- om. **B V¹V²**, ekeino~ aŋaggetei hmin
ekef wnhse B V¹V², aŋakekrage M
- ol B V¹V², om. M
- Metatouto M, om. B V¹V²
bref o~ wh B, om. M V¹V²
- Nuh B V¹V², om. M
Ta~ takei~ B V¹V², ta; ekh~ M
- ajdef hn B V¹V², om. M



17. om.	ebrh; B V ¹ V ² , <u>om. M</u>
17. და	<u>kai;</u> B V ¹ V ² , om. M
18. დაღათუ	EijM, eit oi B V ¹ V ²
18. რომლიოთა ცათა შინა ადგო- წერე	Di j hh ej~ oujanou~ egraf h M, di j hh~ (ou~ B V ¹) oujanou~ graf ei V ²
18. მიგაქცია	ejanhgagen B, ejanhgage M V ¹ V ²
19. და	<u>kai;</u> B V ¹ V ² , <u>om. M</u>
19. ეგრევვე	Out w~ M V ¹ , ou t w B V ²
19. წესითა და ადგილითა	tropw/kai; topw/B V ¹ V ² , ~ M
19. ადგილითა	tropw M, tropw kai; BV ¹ V ²
19. დღესა	<u>kairw/M</u> , kairw/kai; BV ¹ V ²
19. om.	Jhsou' BV ¹ V ² , <u>om. M</u>
20. ოცდაათისა წლისად	triakont a et h BV ¹ V ² , triakont et h M
20. მასვე დღესა და ჟამსა	aut w/ kairw/ kai; cronw/ BV ¹ V ² , aut w/ cronw/ kai; M
21. ჩუქნისა	<u>hha~ M B</u> , uha~ V ¹ V ²
22 ნაკლელევანი	leipomenoi MV ¹ V ² , leipomenou B
22 უპევუ	eij BV ¹ V ² , om. M
22. მართლკუუოელისა	ořqot omoušan BV ¹ V ² , ořqot omouňt ař M,
22. ნაკლელევანი	leipomenou B, leipomenoi MV ¹ V ²
22. სიტყვაგან	logou MV ¹ V ² , legw dh; B
22. უკუეთუ შეაერთოთ	eij episukayete BV ¹ V ² , episunayhte M
23. om.	Sun tw/ Patri; kai; tw/ agiw/ Pneumati, nuñ kai; ajei; kai; M, <u>om. B V¹V²</u>

ბერძნული ხელნაწერები ძირითადად ორ ჯგუფს ქმნიან: ერთია M ლიტერით აღნიშნული უძველესი ხელნაწერი და მეორეა BV¹V² ლიტერით აღნიშნული გვიანდელი ხელნაწერები. ცხრილში მოტანილი მასალიდან სრულიად თვალსაჩინოდ ჩანს, რომ ქართული თარგმანის ტაქსტი ხან ერთი ბერძნული ხელნაწერის წაკითხვას იმეორებს, ხან – მეორისას. რაოდენობრივად ქართულ თარგმანში თითქმის თანაბრად არის წარმოჩენილი ორივე დაჯგუფების ხელნაწერთა წაკითხვები, თუმცა შეინიშნება, რომ M ხელნაწერთან (ივირონის ხელნაწერთან) მეტი დამთხვევებია: ან მხოლოდ მისი წაკითხვა მეორდება ქართულ თარგმანში, ან ისეთი წაკითხვა, როცა M ხელნაწერი მეორე დაჯგუფების (BV¹V²) ხელნაწერთაგან რომელიმეს წაკითხვას იმეორებს. ირკვევა, რომ არსენის თარგმანის დედანს არც ერთი ზემოთ მითითებული ბერძნული ხელნაწერი არ



წარმოადგენს. როგორც ჩანს, არსენი სარგებლობდა ისეთი ბერძნული ნუსხით, რომელიც დღეისათვის ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

VI. ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ თრიგინალთან

ქართული თარგმანის ბერძნული თრიგინალის ტექსტთან მიმართების ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია წმ. არსენ იყალთოელის, როგორც მთარგმნელის, მთარგმნელობითი მეთოდით, სათარგმნი მასალის მიმართ მისი დამოკიდებულების ხასიათით. წმ. არსენ იყალთოელი გალათური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელია. მისი მთარგმნელობითი პრინციპები არის გამოვლენა იმ ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ორიენტაციისა, რაც წარმართავდა ამ სკოლის შემოქმედებით მოდვაწეობას და რაც მიზნად ისახავდა ელინოფილური ტენდენციების დანერგვას ქართულ კულტურულ-სააზროვნო და ლიტერატურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, ელინოფილური ტენდენციები ქართულ კულტურასა და მწერლობაში ზოგადად გამოიხატება ბიზანტიურ კულტურაზე ორიენტაციაში, კონკრეტულად მთარგმნელობით საქმიანობაში კი – ორიგინალის ტექსტთან ზედმიწევნით სიახლოებები და მაქსიმალურ შინაარსობლივ თუ ფორმობრივ სიზუსტეში. ნიკიტა სტიოატის სიტყვების არსენისეული თარგმანი ელინოფილური ტენდენციების შესაბამისად შესრულებული ზედმიწევნით ზუსტი თარგმანია.

ამ ფაქტზე მეტყველებს ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებითი ანალიზი. ამავე ფაქტს, გარდა ტექსტობრივი მონაცემებისა, ადასტურებს ერთი წერილობითი ცნობაც, რომელიც თარგმანის შემცველ ყველა ხელნაწერში სქოლიოს სახით არის მოღწეული და რომელიც გარკვეულად წმ. არსენის მთარგმნელობითი მეთოდის დახასიათებას შეიცავს. ეს ცნობა უნიკალურია წმ. არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი პრინციპების დასახასიათებელად.

ნიკიტა სტიოატის ორიგინალის ტექსტში ერთგან წერია:

ὅδε Μυσῆς κάλέσατε, εἰς τε, Ραγουήλ, ήνα φαγή/άρτον⁴¹. ქართულ ტექსტშია: „და მოსე, მოუწოდეთ, თქუა, რაგოელს, რათა ჭამოს პური“ (S





1463, 264 r) – მოსემ თქვა, დაუძახეთო რაგოელს, რომ პური ჭამოს.

ამ სიტყვების გასწვრივ, აშიაზე არის არსენის კომენტარი: „მოსესთვის თქუა პრაგუელ, ვითარ-იგი „გამოსლვათასა“ წერილ არს, ვითარმედ: „მოუწოდეთო, რამთა ჭამოს პური“. გარნა ამის წიგნისა დედასა ბერძულ-სა ესრეთ ეწერა, ვითარცა ესერა აქა დამიწერია. არათუ ანუ ბერძული ვერ გამიგონებია, ანუ წერილისა სიტყუად არა მშვივნებია. შემინდვეთ თავისა მართლებისათვის. არსენი“ (264 r). ძალზე საინტერესო განცხადებაა. წმ. არსენი შენიშვნავს, რომ სტიოთატის ორიგინალის ტექსტში, სა-დაც „გამოსლვათას“ წიგნის ციტატა არის მოხმობილი (გამოსლვათა 2, 20), უზუსტობაა. „გამოსლვათას“ მიხედვით, რაგოელმა შეიღებს მიმართა, დაუძახეთო მოსეს, რომ პური ჭამოს. სტიოთატის ორიგინალის ტექსტში კი პირუკუ წერია, თითქოს მოსემ მოუწოდა რაგოელს. მოსალოდნელია, რომ ბიბლიური ციტატა რომელიდაც ბერძნული ხელნაწერის, ალბათ, წმ. არსენის ხელო არსებული ხელნაწერის, გადამწერის მიერ იყო დამახ-ინჯებული. ამჯერად საყურადღებო ის არის, რომ არსენმა შესანიშნავად იცის, რომ მის ხელო არსებულ ბერძნულ დედანში უზუსტობაა, მან იცის ბიბლიის ამ ადგილის სწორი წაკითხვა. ამიტომ იბოდიშებს იგი ბიბლი-ური ტექსტის დამახინჯებისათვის, მაგრამ იმდენად ერთგულია ორიგ-ინალისა, რომ ეს ადგილი შესწორების გარეშე, ანუ ისევე გადმოაქვს ქართულად, როგორც მის ხელო არსებულ ბერძნულ დედანში წერია.

საინტერესოა, რომ AK ქართული ხელნაწერების გადამწერებს შეუმჩნ-ევიათ შეცდომა ბიბლიური ტექსტის ციტატაში და მიუხედავად წმ. არ-სენის სქლლიოს შენიშვნისა, ტექსტში შესწორება შეუტანიათ – სიტყვა „მოსე“ მიცემით ბრუნვაში დაუსვამთ: „და მოსეს მოუწოდეთო“, ოდონდ „რაგოელს“ არ შეუცვლიათ სახელობითი ბრუნვის ფორმით, რის შედ-ებადაც, ნაცვლად სწორი გამოთქმისა, ციტატა AK ნუსხებში მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდა გასწორებული: „და მოსეს მოუწოდეთო, თქუა რაგოელს“

წმ. არსენის ეს კომენტარი იშვიათ შესაძლებლობას იძლევა მისი მთარგმნელობითი მეთოდის და პრინციპების დასახასიათებლად, მისი, როგორც მთარგმნელის, თეორიულ-მთარგმნელობითი კრედოს გან-სასაზღვრავად. ბერძნული დედნისადმი ზედმიწევნითი ერთგულება და სიახლოვე განაპირობებს მისი თარგმანის სტილისტურ მხარეს, რასაც მეცნიერებაში დღეს მიღებული ტერმინოლოგის მიხედვით, ფორმალურ-ეპივალენტური თარგმანი ეწოდება.

ორიგინალთან ასეთი ზედმიწევნითი სიახლოვეით შესრულებული თა-



რგმანი ყოველმხრივ სანდო და ფასეულია ბერძნული კრიტიკული ტექსტის დასადგენად, მისი არქეტიპის აღსადგენად, რაც სრულიად ნათლად ვლინდება ნიკიტა სტიორატის ბერძნულ ტექსტთან ქართული თარგმანის შედარებით.

ქართული თარგმანის ბერძნული ტექსტის მიმართ ასეთი ერთგული, ზედმიწევნითი სიახლოესის ფონზე უადრესად მნიშვნელოვანია ის განსხვავებები, რომლებიც დასტურდება ქართულ თარგმანსა და ბერძნული ორიგინალის ტექსტებს შორის. ქართული თარგმანი ბერძნულთან შედარებით საკმაოდ ხშირად იძლევა განსხვავებულ ტექსტობრივ წაკითხვებს. ტექსტობრივი განსხვავებანი ტიპოლოგიურად სხვადასხვა ხასიათისაა: არის ტექსტობრივი მატებანი, ესა თუ ის სიტყვა ან ფრაზა მეტია ქართულში ბერძნულთან შედარებით, არის კლების შემთხვევებიც; არის განსხვავებები, რომლებიც ბერძნული სიტყვის მნიშვნელობის, სინტაქსური ერთეულის ნიუანსური ცვლილებებით გადმოტანაში გამოიხატება; ზოგიერთ განსხვავებას ქმნის ბერძნული სიტყვის ან ფრაზის არაპირდაპირი, არამედ კონტექსტს მორგებული მნიშვნელობით გადმოტანა.

ტექსტობრივ განსხვავებათა კვალიფიკაციისას უთუოდ გასაოვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზოგი მათგანი უნდა შეფასდეს როგორც წმ. არსენზე სავარაუდო ბერძნული წყაროს გავლენა, ზოგი კი როგორც მისი მთარგმნელობითი მეოთხეულება.

VI. 1 უცნობი ბერძნული დედნიდან გადმოყოლილი განსხვავებანი

ა. დღეს ცნობილ ბერძნულ ხელნაწერებში დაცული ტექსტისაგან განსხვავებით, ქართულ თარგმანში არის მთელი რიგი ტექსტობრივი მეტობები.

მეტობა ეხება ცალკეულ სიტყვას, ზოგჯერ მთელ ფრაზას.

II, 15: *μι' ήπιάς μορφωθήτι – „ჩუქოზე ხატქმნილისა მის და ნათელდებულისა“.* ქართულში მეტია სიტყვა „ნათელდებულისა“.

II,27: *Kai ὑψεῖς μετὰ τῶν Σύρων οὐμόνοι πλαινάσθε – „და ოქუენ ასურთა მარტო თითოა თანა არა ხოლო სცოვებით“.* ქართულში მეტია სიტყვები „თითოა“, რაც კონტექსტით აუცილებელი ჩანს: *οὐμόνοι* (არა მარტო) გულისხმობს დაპირისპირებას რაღაცასთან, რაც თხოულობს ამ შემთხვევაში.



კევაში „თითოთ თანა“-ს (**τακτύλοις**) ჩართვას. შესაძლოა, აქ იგულისხმება ის, რომ სომები მონოფიზიტები, სირიელი მონოფიზიტების მსგავსად, პირჯვარს ერთი თითოთ იწერდნენ. ამდენად, აზრი ასეთი ჩანს: ოქვენ სირიელებთან ერთად მხოლოდ თითოებთან დაკავშირებით არ ცდებით.

IV, 9: ἐν τῷ σταυρῷ ἔβενται ἐκ τῆς ἀχράντου...αὐτοῦ θεότητος – δερ-
ძულში მრავალწერტილით აღნიშნულია ნაკლებობა, რომელიც თარგმა-
ნში ხაზგასმული წინადაღებით არის წარმოდგენილი: „გუერდიოთ შისით
გარდამოკდეს ესენი განლებითა მისითა, ცხად არს, ვითარმედ ჯუარისმ-
ცუმელთა მისთაგან, რომლისათვესცა ღუნოვ ვიდრემე, ვითარცა ნაცვალ-
სახე სისხლისა მისისა, მოიღებვის ჩუენ მიერ კაცობრივისა ბუნებისა
მისისათვეს, ხოლო წყალი ეგრეთვე“. ეს საკმაოდ ვრცელი მსჯელობა,
რომელიც ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლიკას ქხება და რომელსაც ღრმა
საღვთისმეტყველო შინაარსი აქვს, ვყიქრობო, არსენის მიერ არ უნდა იყოს
შეგრანილი. მისი პრინციპებიდან გამომდინარე, იგი ასე თავისუფლად არ
ჩაერეოდა სათარგმნ ტექსტში.

V, V¹, V², V³: მე-5 სიტყვაში ქართულ თარგმანში არის საქმაოდ მოზ-
რდილი მონაკვეთი (S 1463, 262r), რომელიც ბერძნულ ტექსტში არ დას-
ტურდება. ქართულის „მეტი“ ტექსტი დანომრილია: V¹, V², V³. ეს მეტობა
შეიცავს პავლე მოციქულის სიტყვის კომენტარს ძველი ცომისაგან გან-
წმედის შესახებ. ამ მონაკვეთის პირველი ნახევარი ემთხვევა ნიკიტა
სტიოატის სხვა ნაწარმოებს, კერძოდ, ანტილათინურ სიტყვას,⁴² მეორე
ნახევარი კი მხოლოდ ქართულ ტექსტში დასტურდება. ის, რომ I ნაწილი
განსხვავებულ წყაროს ემთხვევა, მეტყველებს იმაზე, რომ ამ მონაკვე-
თის ბოლო ნაწილიც არ არის არსენის ინტერპოლაცია. მისი მთარგ-
მნელობითი პრინციპებიდან გამომდინარე, მას არ სწვევია თარგმანის
ინტერპოლირება. როგორც ჩანს, ეს მონაკვეთი მთლიანად დღეისათვის
უცნობი, წმ. არსენის ხელო არსებული ბერძნული დედნის კუთვნილება
იყო და იქიდან არის გადმოსული არსენის თარგმანში. აღნიშნული მე-
ტობა დღეს ცნობილ ბერძნულ ხელნაწერებში არ დასტურდება. ამდენად,
აუცილებელია მისი აღდგენა ნიკიტა სტიოატის თხზულების მეხუთე სი-
ტყვის ბერძნულ ტექსტში.

ბ. ქართულ თარგმანში, ბერძნულთან მიმართებით, შეინიშნება ნაკლე-
ბობაც. კლების შემთხვევები უფრო იშვიათია მეტობასთან შედარებით.
უფრო ხშირად აკლია მხოლოდ ერთი სიტყვა.

~~~~~



III, 2: h̄tou` trisagiū φωνή ūmnol ogia te kai; w̄dh; – „სამწმიდაობითისა ქებისმეტყუელებისა და გალობისაც“. თარგმანის ტექსტში, როგორც ვხედავთ, აკლია ḥwnhv(ხმა).j

IV,3: dia:tou` aiggetw ॥εαρπιτ॥ – „ანგელოზისა მიერ“. თარგმანს აკლია სახელი „გაბრიელ“.

I,19: hhwmēnaō metoi kata; aī̄ h̄peian ē̄p̄ aūt̄w̄/Xristw̄ – „შემოკრებულთა ურთიერთას ჭეშმარიტებით.“ თარგმანს აკლია ე̄p̄ aūt̄w̄ tw̄/Cristw̄ ამ შემოხვევაში კლება, შესაძლოა, გამეორების თავიდან აცილების მიზნით მოხდა, ვინაიდან წინა წინადაღებაში ლაპარაკია „ერთსა შინა შეზავებულსა გუამსა ქრისტესსა“-ს შესახებ.

ტექსტის კლებასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთგან დადასტურდა თარგმანში ისეთი ნაკლებობა, რომელიც გარკვეული ისტორიული რეალიების გათვალისწინებას მოითხოვს. ბერძნული ორიგინალის ტექსტში ლაპარაკია, რომ სომხეთისა და სირიის ეპისკოპოსები ზოგნი იერუსალიმის, ზოგნი ანტიოქიის, ზოგნი კონსტანტინოპოლის ეპარქიებს ემორჩილებიან: wh ai; men ūpo t̄hn ēparcian tel oūsin Ierosol̄umwn, aiJ de; ūpo; t̄hn ēparcian tel oūsin Antioceiā, aiJ de; ūpo t̄hn ēparcian tel oūsin K̄nstantinoupol̄ew̄ (II, 19). ქართულ თარგმანში კი სამი საპატრიარქოს ნაცვლად მხოლოდ ორია დასახელებული: „რომელნიმე ანტიოქიისა სამოავროსა ქუეშე არიან, ხოლო რომელნიმე – კონსტანტინუპოლისასა“ (259v II)..

თუ ამ ადგილას ქართულ თარგმანში მექანიკურ კლებას არ აქვს ადგილი, მაშინ საფიქრებელია, რომ საკეთები თრგანიზაციასთან, სომხური და სირიული ეპლესიების დაქვემდებარებასთან, დაკავშირებული გარკვეული ისტორიული ფაქტის სხვადასხვა გააზრებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

გ. ქართული თარგმანის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური დირექულებისა და მნიშვნელობის შეფასებისათვის ტექსტის მეტობასა და კლებასთან ერთად მნიშვნელოვანია ის განსხვავებები, რომლებიც თარგმანის ტექსტის ბერძნულთან მიმართებით აზრობრივ თუ ნიუანსურ განსხვავებებს წარმოადგენენ.

ტექსტობრივ განსხვავებათა ერთი ნაწილი უცნობი ბერძნული დედნის გავლენას უნდა მივაწეროთ.

I, 14: „τέλυμηλ არს“ - γέγραπται **B V<sup>1</sup> V<sup>2</sup>**, λέλεκται **M**. ქართული მიჟყვება ბერძნული **M** ნუსხის წაკითხვას.

IV,7: „ქმნილისა“ – λεγομένες. არსენის თარგმანის „ქმნილისა“ ბერ-



ძნული სიტყვის სრულიად მოუღოდნელი შესატყვისია. დედანში შეიძლება ყოფილიყო ჭიკიმა ზმინდან ნაწარმოები სიტყვა.

IV, 11: „სხუანიცა მრავალნი არიან საღმრთოდ სახელად მოხუმულნი, არსებით უცხონი მისგან“ – **ἄλλα Θεῖα πολλὰ..**

V, 10: „მოწამენი სამნი: მწიგნობარნი, შჯულისმეცნიერნი“ – **μάρτυρες δὲ τρεῖς ἀρχιερεῖς [καὶ] γραμματεῖς εἰναι πρεσβύτεροις καὶ νομικοῖς.<sup>43</sup>**

ნიკიტა სტითატის ბერძნულ ორიგინალში სამი მოწმეა დასახელებული: მდვდელმთავარნი, მწიგნობარნი ხუცესებთან ერთად და შჯულისმეცნიერნი. ტექსტის დათინურ თარგმანშიც არის: **pontifices, scribae cum presbyteris et legisperitis.** არსენის თარგმანში კი ორია დასახელებული: მწიგნობარნი და შჯულისმეცნიერნი, აკლია აწცiereiō-ის შესატყვისი სიტყვა. მოელი ფრაზა შემუშავდად არის თარგმნილი. მსგავსი ხასიათის ლაპუნა, შესაძლოა, სავარაუდო ბერძნული დედნიდან მომდინარეობდეს ან შემდგომ, ქართული ნუსხების გადამწერებს გამორჩათ იგი.

III, 3: „იტყვა“ – **έκλαμθάνεται.** ქართულში მნიშვნელობით სრულიად შეუსაბამო შესატყვისია. „იტყვა“ არ ფარავს ბერძნული **έκλαμθάνεται-**ს მნიშვნელობას. იქვე, იმავე ძირიდან ნაწარმოები ბერძნული სიტყვა სხვა შესატყვისით არის თარგმნილი: **έκλαμθάνουσα** – შემოხუმული. მოსალოდნელია, რომ სავარაუდო დედანში **legēiή** ძირიდან ნაწარმოები სიტყვა ყოფილიყო.

III, 3: „ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამავ, რომლისაგან ყოველი და ჩუენ მისგან, და ერთ უფალი იქსუ ქრისტე, რომლისა მიერ ყოველი და ჩუენ მის მიერ“. ბერძნული ორიგინალის ტექსტში კი იკითხება: **ἡμεῖς δὲ εἰς Θεὸς δὲ Πατὴρ ἐξ οὐ τὰ πάντα καὶ εἰς Κύριος Ἰησοῦς δι' οὐ τὰ πάντα καὶ εὑ Πνεῦμα Ἀγίον ἐπ φύτὰ πάντα.**

ვმ. არსენის თარგმანში პიბლიის კანონიკური ტექსტია გამეორებული, სადაც მხოლოდ მამა ღმერთსა და ძეზე არის ლაპარაკი, როგორც ამას ვკითხულობთ პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში: „ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამავ, რომლისაგან არს ყოველი, და ჩუენ მისა მიმართ, და ერთ არს უფალი იქსუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი და ჩუენ – მის მიერ“ (I კორ. 8,6).<sup>44</sup> შემდგომში, როგორც ცნობილია, ეს სწავლება წმ. გრიგორ დვოისმეტყველმა განავრცო სულიწმიდის ჩართვით. მისი სწავლება ასეთია: „ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამავ, რომლი-

43 Hergenröther 1869 : 148.

44 მოწენიძე, დანელია 1974: 119.



საგან არს ყოველი და ერთ – „უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი და ერთ – სული წმიდათ, რომლისა შორის – ყოველი“ (Or 39, XII, 50).<sup>45</sup> ბიბლიური ტექსტის წაკითხვის გარდა, არსენი იცნობს წმ. გრიგოლ დვთისმეტყველის სწავლებასაც. მის თარგმანში ორივე სწავლება (ბიბლიის კანონიკური ტექსტისა და წმ. გრიგოლ დვთისმეტყველისა) იკითხება. ნიკიტა სტიოთატის ორიგინალში არსებული სწავლების წაკითხვა წმიდა სულს შეიცავს, მაგრამ წმ. გრიგოლ დმრთისმეტყველის ხსენება არ არის, ეს სწავლება მიეწერება პავლე მოციქულს. ბერძნულ ტექსტში არც I კორინთელთას ამ მუხლის გამეორება (ბიბლიური და წმ. გრიგოლ დმრთისმეტყველის სწავლებანი) არ დასტურდება.

სრულიად აშკარაა, რომ წმ. არსენ იყალთოველის ქართულ თარგმანში უფრო ზუსტად და სრულყოფილად არის გაახრებული პავლე მოციქულის ეს სწავლება სულიწმიდის შესახებ მსჯელობის ჩართვით. წმ. არსენის თარგმანში მოცემულია ამ სწავლების შემდგომი შევსების ისტორია. წმ. არსენმა შენიშნა, რომ ბერძნულ ორიგინალში არსებული სწავლება წმ. სამების შესახებ ზედმიწენით არ შევსაბამებოდა საკუთრივ სამოციქულოს ტექსტს. ამდენად, მან მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული სწავლების მოტანა ისე, როგორც ის წმ. გრიგოლ დვთისმეტყველთან დასტურდება.

ამ ფაქტს შეიძლება ორგვარი ახსნა მიეცეს: პირველი – წმ. არსენმა შენიშნა ბერძნულ ორიგინალში არსებული სწავლების შეუსაბამობა ბიბლიურ ტექსტთან (ფორმულაში სულიწმიდის ჩასმა) და ტექსტის გავრცელების გზით დაასახელა ამ ჩამატების რეალური წყარო: წმ. გრიგოლ დვთისმეტყველი.

მეორე ვარაუდია, რომ წმ. გრიგოლ დვთისმეტყველის აღნიშნული სწავლება ამ სახით წმ. არსენს კი არ ეკუთვნის, არამედ ის დასტურდებოდა იმ ბერძნულ ნუსხაში, რომელიც წარმოადგენდა წმ. არსენის უშუალო წყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ვარაუდს არსებობის უფლება აქვს, ჩვენ მაინც უფრო მეორე ვარაუდისკენ ვიხრებით, რადგან ეს შემთხვევა ზუსტად ანალოგიურია იმისა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ (S 1463, 264r), როცა წმ. არსენმა შენიშნა ბერძნული ორიგინალის ტექსტში დაშვებული ბიბლიური ტექსტის უზუსტობა, მაგრამ იგი მაინც ორიგინალის ერთგული დარჩა და თავის თარგმანში გაიმუორა ეს უზუსტობა. წმ. არ-





სენ იყალთოელის მიერ ასეთი მთარგმნელობითი პრინციპის აღიარება გვაძლევს საფუძველს, პავლე მოციქულის ტექსტის ციტირების ფაქტიც ანალოგიურად ავხსნათ: ბიბლიური ტექსტის ციტირებაში არსებული განსხვავება წმ. არსენის მიერ დედნად გამოყენებული ბერძნული წყაროს კუთვნილება ჩანს.

## VI. 2 მთარგმნელობითი პრინციპებით განპირობებული განსხვავებანი

ა. ქართულ თარგმანში დასტურდება ისეთი ტექსტობრივი განსხვავებანი, რომელიც წმ. არსენ იყალთოელის შემოქმედებით-მთარგმნელობით ინიციატივას შეიძლება მივაკუთვნოთ. ის სერხები, რომელთაც მიმართავს წმ. არსენი თარგმნის პროცესში, მრავალფეროვანია. ძირითადად, ეს ვლინდება თარგმანის ტექსტის ენობრივ-ხტილისტურ მოდიფიკაციებში, ყოველი აზრის თუ ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის ქართული ენობრივი რეალიებისადმი მისადაგებაში, ზოგან კი ცალკეული აზრობრივი ნიუანსების გააქტიურებაში,

I,4: „იცნობა“ – *λέγετε γνωρισθήσεται*. ბერძნული იდიომატური გამოყენა „ამბობთ საცნობლად“ წმ. არსენს ერთი სიტყვით გადმოაქვს, რაც სავსებით ბუნებრივია ქართული ენობრივი ცნობიერების ოვალსაზრისით.

I, 11: „საღმრთომან გრიგოლი არავნებულებისათვის საღმრთოვსა ბუნებისა დმრთისმეტყველებით განცხადებულად წარმოაჩინნა“ – *Ταῦτα μὲν δίθεῖος Ερημόριος τεπὶ τοῦ μὴ ραθητῆν εἶναι τὴν θείαν φύσιν θεολογῶν*, προმჩήლაς ἀπέδειξεν. წმ. არსენის თარგმანში შეცვლილია წინადაღების წევრთა სინტაქსური კავშირები. ბერძნული θεολογῶν, რომელიც მსაზღვრელია *Ερημόριος*-ისთვის, აგარებს შემდეგ აზრს: საღმრთო გრიგოლმა, არავნებულებისათვის საღმრთოვსა ბუნებისა მეტყველმა, ცხადად აჩვენა. წმ. არსენმა θεολογῶν უბრალო დამატებად თარგმნა და მომდევნო სიტყვებს შეუერთა, რის შედეგად მივიღეთ შემდეგი: საღმრთო გრიგოლმა არა ვნებულებისათვის საღმრთოვსა ბუნებისა დმრთისმეტყველებით ცხადად აჩვენა.

I,14: „გამოუთქმელად განგრეციელდა და პორციელ იქმნა მიუთხოვდელად“ – *ἔπειτα καθη*. ერთი ბერძნული სიტყვა პენდიადისებით



(„განგორციელდა“ და „ტორციელ იქმნა“) არის თარგმნილი და, ამავე დროს, გავრცობილია განხორციელების აქტის სხვა ასპექტების გადმომცემი ცნებებით, როგორებიცაა: „გამოუთქმელად“ და „მიუთხობელად“. მთარგმნელის მიერ გატარებულ ცვლილებებს, უდავოდ, აზრის სრულყოფილად გაშლის მოტივაცია განაპირობებს.

I, 19: „განუყოფელი და შეურევნელი“ – ᄅსუჯნათ. ლაპარაკია ქრისტეს ორი ბუნების შესახებ. ერთ ბერძნულ სიტყვას ორი ეკვივალენტი აქს ქართულ თარგმანში. მათგან ერთი – „შეურევნელი“ – ბერძნული ᄅსუჯნათ-ის შესატყვისია. მეორე სიტყვის („განუყოფელი“) დამატებას ის მოტივაცია აქს, რომ ქრისტოლოგიური სწავლების მიხედვით, ქრისტეს ორი ბუნების შეერთება შეურევნელიც არის და განუყოფელიც. ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, წმ. არსენის მთარგმნელობითი პოზიცია (ოდნავ გაევრცო თრიგინალის ტექსტის წაკითხვა) ქრისტიანული დოგმატიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემის სრულყოფილად გადმოცემის მიზნით იქნა განპირობებული.

I, 22: „დიდსა შინა სახლსა დამრთისასა, ესე იგი არს, ეპლესიასა მორწმუნეთასა, იხილვებოდით ნათელსა... სიტყვოცა და ცხორებით მიმფენელნი ყოველთა შეილთა მისთანი“ – ეს *th/mega/h/tou` Qeou` oikia, hkon* ἐπιτῇ τῶν πιστῶν ἐκκλησίᾳ, ὥφθιτε φῶς ... μιὰ λόγου καὶ βίου πάσι τοῖς ἐπιτῇ წმ. არსენი თარგმანში ჩართავს სიტყვას „შვილთა“, რომელიც იგულისხმება მხოლოდ და არ არის ბერძნულ ტექსტში. იქ წერია: *τοῖς ἐπιτῇ* (მათ შორისთვი). ბერძნულ ტექსტში მხოლოდ ნაცვალსახელია, არ ჩანს, ვინ არიან ისინი. ქართულ თარგმანში ნაცვალსახელის ნაცვლად არის „შვილნი“, რითაც დაზუსტებულია, რომ ნათელი მიეფინება ეპლესიის შვილებს.

I, 14: „გორცქმნილი სიტყვად კაცად სრულად იშვა მისგან“ – ᄅιმპარის ტელიოς ἐξ αὐτῆς ἐπαρκώῃ καὶ ἐγενήθη. ბერძნულის ორი ზმნიდან (ἐξ σαρκώῃ καὶ ἐγενήθε) ერთი (ἐγενήθε) „იშვა“ ზმნით არის თარგმნილი, მეორე კი (εἰσαρκώε) მიმღეობად არის გააზრებული და „სიტყვის“ მსაზღვრელად არის წარმოჩენილი – „გორცქმნილი სიტყვად“. საყურადღებოა, რომ მოცემულ კონტექსტში εἰσαρκώε არ დასტურდება ბერძნულ **M** ნუსხაში, ამან შეიძლება წმ. არსენის თარგმანში არსებული განსხვავების წყაროდ უცნობი ბერძნული ნუსხა გვავარაუდებინოს. ერთი ბერძნული სიტყვა პენდიადისებით არის თარგმნილი:

I, 2 ᄅέρπτος – „შეურწყუმელი “ // „შეურევნელი“. ლაპარაკია ქრისტეს ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების შეურწყმელად არსებობის შესახებ.



II,23: ἀγόμενος – „ყვანებული“ // „ძღუანვილი“.

ĕ̄πιος – „წარმართი“ // „ნაოესავი“

I,21: πρόσηλου – „ცხად არს“ // „წინავსწარ ცხად არს“.

ბ. თარგმანში ადგილი აქვს საპირისპირო შემთხვევებსაც: სხვადასხვა ბერძნულ სიტყვას ერთი და იგივე შესატყვისი აქვს წმ. არსენის თარგმანში.

I,4: „იცნობა“ – eischmatise (schmatizw) I,5: „იცნობების“ – gnorisqh-setai (ეს ბერძნული სიტყვა „გარდამოცემის“ იმავე კონტექსტში, რომელიც წყაროდ გამოყენებული აქვს ნიკიტა სტიოატს, წმ. არსენისა და წმ. აფრემ მცირის მიერ თარგმნილია „სახელ-იდებოდის“ ზმიო).

I,5: „ცნობილი“ – olwmenoō; I,7: „იცნობა“ – ejcrhmatisen // crhmatizw „განცყოფილება“ – diafora // diairesis

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს წმ. არსენ იყალთოელის თარგმანის ენობრივი და სტილისტური თავისებურებების სრული და ამომწურავი ანალიზი. გამოვყოფთ რამდენიმე შემთხვევას, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია.

გ. თარგმანში არის კალკირებული ფორმები, რაც უფრო ხშირად სახელთა წარმოებაში იჩენს თავს. ასეთია:

II,13: „მართლპამომეტყუელებო-ა“ – ojqtomeite.

V,1: „პირველითგანისაებრ“ – kata thi | palaiān და ა. შ.

კალკები ზოგჯერ წინადადების კონსტრუქციაშიც შეიმჩნევა.

III,2: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, მეტყუელთავ, უფალი საბაოთ“ – ზმის ფუნქციის მქონე მიმდეობური ფორმა („მეტყუელთავ“) ბერძნულის გავლენით წინადადების შუაში გვევლინება. შდრ. ოგიოს, ოგიოს, ოგიოს, ლევითამ, კუპიოს სამარტი.

III, 4: „სცოებით თქუენ.., განთჟებით დამდებელნი ძისა დმრთისანი, რომელი-იგი არს გუამოანი ძალი მამისავ, და კუალად განთჟებულად – ჯუარცეულისანი, გითარმცა სხეუა იყო იგი ძლიერისაგან კიდე, გითარცა დმრთისმოძაგებულმან ნესტორ ქადაგა, ვნებულად აღმსაარებელნი წმიდისა სამებისანი“ – ამ წინადადების როული კონსტრუქცია ბერძნულ დედანში არსებული გითარების ზუსტი გამეორების შედეგია.

II,22: „ხოლო გუამსა შორის ძისა არა ასონი მრავალ არიან-ა?“ „არა“ უარყოფითი ნაწილაკის არაბუნებრივი ადგილი წინადადებაში განპირობებულია ბერძნული კონსტრუქციით. შდრ. ოთხ/თორთა მე: აუქის იუჯი მესა ჩოლლა ეიშ!

II, 16: „მოგედიო, გევადრები, და მოსწავლე-იქმენით კეთილმსახურები-



სა, მიითუალეთ სიტყუად მართალოთა შჯულთა ქრისტეს ეკლესიისათაც... რაოთა არა, გამოკუეთოლნი გუამისაგან ქრისტესისა..., უცხო იქმნეთ ძისა ღმრთისაგან“ – მენტე *παρακαλοῦμεν καὶ μεταμάθετε ἐμσέθειαν*. დეჯათხე ლიკი თუ ბრძოლი მიუმატოს თუს ეჭკლესიას ქრისტო... წა მუ, ართეთუმნი ბრძეთ *τοῦ ἐνώπιος Χριστοῦ...* ၈მალათრιამწით თუ/ *τοῦ Θεοῦ*. როულ წინადადებაში გვაქვს კავშირი „რაოთა არა“ ნაცვლად „უპუშოუ არა“ (რაც თანამედროვე გაგებით ატარებს აზრს „ოუ არა“, „წინააღმდეგ შემთხვევაში“. ხელოვნური ფორმა „რაოთა არა“ ბერძნული წა მუ-ს კალკირებული შესატყვისია).

მთლიანობაში კალკირებული კონსტრუქციები იშვიათია თარგმანში. წმ. არსენის მიერ წინადადებათა წყობა, სინტაქსური კავშირები ქართული ენის ნირმებით არის აგებული, რაც ქართული თარგმანის სტილისტურად და სინტაქსურად გამართულ და ბუნებრივ ტექსტში ვლინდება.

დ. წმ. არსენის თარგმანი ზომიერად შეიცავს ელინიზირებულ ფორმებს. ბერძნული მიმდევობა ჩვეულებრივ მიმდევობითვე არის გადმოტანილი თარგმანში, მაგ.: II,27: *αφοτηκεντοῦ = „გამოკუეთოლნი“, gnontēō = „მეცნიერებნილი“*. მაგრამ ხშირად მიმდევობა პიპოტაქსური წყობით ან სახელით არის შეცვლილი წმ. არსენის მიერ:

I,13: *baptizomenoi* – „ნაოელს-იღებდეთ რად“ .

II,21: *sumfwnouintēō* – „თანაერთვმობითა“.

II,16: *qeotogwn* – „ღმრთისმეტყუელებდეს რად“.

I,23: *sunarmol ogoumenon* – „შენაწევრებულებად“.

ე. წმ. არსენის თარგმანში საინტერესოა ამტი წინდებულიანი კომპოზიტების ეკვივალენტები:

III,6: *ajt ipoioumeno~* (შეჯიბრება, მისწრაფება) „თანამბრძოლება“.

IV,4: *ajt ipoiesqe* – „თანამოწამე“.

IV,11; V,2: *ajt it upon* – „ნაცვალსახე“.

*sunantil ambanomeno~* – „თანაშემწევა“.

IV,11: *ajt iresqe* – „შემწყნარებელი“.

*ajt idosi~* – „ურთიერთას მიმცემელობა“.

IV,7: *ajt ipoioumen* – „შემწეულია“.<sup>46</sup>

ერთი შემთხვევა დადასტურდა, როდესაც ბერძნული სიტყვა კონტექსტისთვის შეუსაბამო მნიშვნელობით არის თარგმნილი: III, 5: *ψύχρου* – „გრილი“, ცივი. კონტექსტი მოითხოვდა ამ ბერძნული სიტყვის მეორე

46 ნიკიტა სტითატის ტექსტში არსებული აჟთ: წინდებულიანი ფორმების თარგმნას წმ. არსენ იყალთოველის მიერ ცალკე წერილის სახით გამოვაქვეყნებოთ.



მნიშვნელობას: გულგრილი, მოჩვენებითი.

**II,14:** **თარასიაუზე** – „მორყენილ შესაკრებელი“. საყურადღებო შესატყვისობაა. **თარა**: წინდებულის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: გადახვევა, შეცვლა. წმ. არსებმა ამ მნიშვნელობით იხმარა სიტყვა „მორყუნილი“. „მორყუნილ შესაკრებელი“ ნიშნავს დამახინჯებულ, შეცვლილ საკრებულოს, იგი აზრობრივად ზუსტად გადმოსცემს **თარასიაუზე**-ს მნიშვნელობას. ამ სიტყვის შემცველ კონტექსტში ობზულების ავტორი, ნიკიტა სტიოთატი, მიმართავს სომექ მონოფიზიტებს, რომ ოქენე „არცა მართლმადიდებელ ანუ ქრისტეს ეკლესია ხართ, არამედ მორყუნილ შესაკრებელ და ერისკრება მრავალოვისა უთავოვსა წვალებისა“.

ვ. წმ. არსენის ოარგმანი გამორჩეულია რიტორიკული ფიგურების სიეხვით. შეკითხვები: I, 19: „ჰედავ-ა?“; „რასა იტყვა?“; „ისწავე-ა?“; „იხილე-ა?“ II, 10; III, 10: „ხედავ-ა?“

მიმართვები: I,21: „შ, ბრძენო სომეხთანო!“ II, 1: „შ ბრძენო და უაღრესნო სხუათა სომეხთანო!“ III,1: „შ ბრძენო და ზესთა სხუათა სომეხთასა მსხდომარენო!“ V,1: „რომელთა უსიბრძნისმოყვარესი გაქუს მოქალაქეობად სოფლებისა შორის სომეხთავსა... , ისმინეთ სიტყვად უცომოსათუსცა!“

შედარებები: I,22: „იქმნეთ, ვითარცა ქვანი პატიოსანნი შორის ეკლესიასა დმრთისასა... ვითარცა საბაზმაკენი მნოებიარენი... იხილვებოდით.“

მოწოდება: II,3: „უპუეთუ გნებავს, მოვედიოთ და მამისა და დმრთისმეტყუელისა გრიგოლისი... ფილოსოფოსობად ვისმინოთ“. II, 16: „უპუეთუ გნებავს, მოხედეთ სიტყუასა ჭეშმარიტებისასა“. II,21: „მომეციო მე, მკითხველსა, ჭეშმარიტი სიტყპსგებად“. II,23: „გულსმოდგინებით ისმინეთ, უკუეთუ გნებავს“. II,25: „გევედრები თქუენ, განაგდეთ ბოროტადმსახურებისა მაგის წვალებისა პყრობად თქუენ მიერ“. II,27: „ურცხვნელად მოუკედიოთ ეალესიასა მორწმუნეთასა“. III, 1: „გულისგმისყოფით ყურადიდეთ სიტყვად“. III, 4: „გარნა ევლტოდეთ, ვინავთგან ბრძენ ხართ, ესევითარსა ამასცა გმობასა“. III,6: „ამისთვის გლოცავთ, ინებეთ ყოვლისავე გმობისა-გან განწმედავ სარწმუნოებისა თქუენისად“.

კითხვითი მიმართვები: II,3: „რასა უკუე იტყვს, მედღესასწაულობდეს რად საღმრთოვ ესე კაცი?“ II, 10: „რასა ცხად-ჰყოფს ესე, ანუ არა ვითარმედ მოვედიოთ?“ II,13: „არა გრცხუენის-ა მათ ზედა, რომელთა ძლით ყოველთავე მართლმადიდებელთა მიერ საცინელქმნილ ხართ?“ II, 16:



„არა საცნაურ იქმნა-ა... არა წარმოგიდგინა-ა საღმრთომან გრიგოლი სხუა-ყოფად ამისი და სხუა-ყოფად მისი?“ II, 19: „ოქუენ რომლისა-მე მო-ციქულთაგანისა ეპისკოპოსისანი ხართ?“ II, 20: „რომლისა ეპისკოპო-სისა ანუ ეკლესიისანი ხართ, გვთხართ ჩუენ: პრომაძლთაისანი-ა ანუ ალექსანდრიელთაისანი, იერუსალიმელთა ანუ ანტიოქელთაისანი გინა კონსტანტინუპოლელთაისა მსოფლიოთა... საყდართანი?“ III, 1: „რომელი უკუე არს-ა დაფარული იგი წვალებავ თქუენი?“ III, 7: „ვალენტინეს ხოლო და უღმრთოსა მანის... თანასაონო-უყოფვით... ვითარ და რომლითა სახ-ითა-ა?“ IV, 13: „ვინ უკუე არა სტიროდის წარწყმედასა თქუენსა?“ IV, 20: „ანუ არა გასმიეს-ა დმრთისად ესაიათს მიერ მეტყუელებავ?“

## VI. 3 ბერძნული კრიტიკული ტექსტის დადგენა ქართული თარგმანის მიხედვით

წმ. არსენ იყალთოელის თარგმანის მნიშვნელობა, გარდა ქართული მწერლობისათვის მისი სააზროვნო-საღვთისმეტყველო და ლიტერა-ტურული დირექტულებისა, მდგომარეობს იმაში, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ბერძნული ორიგინალის ტექსტის დაზუსტება და შევსება. ბერძნულ ხელნაწერებთან შედარებით გაირკვა, რომ არსენის თარგმანი ცალსახად არც ერთ მათგანს არ მისდევს. ამდენად, როგორც აღვნიშნეთ, მის წყაროს წარმოადგენს ბერძნულ გამოცემაში გამოყე-ნებული ხელნაწერებისაგან განსხვავებული, დღესდღეობით უცნობი ნუსხა. ეს ფაქტი იმით არის საყურადღებო, რომ როგორც ტექსტობრივი შედარებით ირკვევა, ამ უცნობი ბერძნული ნუსხის მონაცემები და, ამდე-ნად, მის საფუძველზე შესრულებული ქართული თარგმანი შემთხვევა-თა უმრავლესობაში აზრობრივად და ფორმობრივად უფრო გამართულ წაგითხვებს იძლევა, ვიდრე წარმოდგენილ ბერძნულ ხელნაწერებში და მეხუთე სიტყვის იოსებ პერგენროიტერისეულ გამოცემაში არსებული ტექსტი.

როგორც ცნობილია, იოსებ პერგენროეტერს თავის გამოცემაში ტექს-ტის დადგენის მიზნით პარალელურ წყაროებად გამოყენებული აქვს სტითატის ანტილათინური, ასევე ფსევდო-ათანასესა და ფსევდო-დამას-კებლის თხზულებები, რომლებთანაც სტითატის ანტისომხურ თხზულე-



ბას მოელი რიგი ტექსტობრივი პარალელები გააჩნია.<sup>47</sup> ასეთ ვითარებაში, როდესაც სტითატის მეხუთე სიტყვის ტექსტის დასადგენად გამომცე- მელი პარალელურ წყაროებს იშველიებს, როცა პირველი ოთხი სიტყვის ტექსტი მოელი რიგი ლაკუნებითა და უზუსტობებით არის წარმოდგე- ნილი ბერძნულ ხელნაწერებში, წმ. არსენ იყალთოელის თარგმანს არ- სებითად საკონტროლო მნიშვნელობა ეძლევა თხზულების კრიტიკული ტექსტის დასადგენად. ქართული თარგმანის მიხედვით ბერძნული ორი- გინალის ტექსტის კორექტირების ფაქტები მითითებულია ტექსტის კრი- ტიკულ აპარატში.

რამდენიმე ნიმუშს დავასახელებო საილუსტრაციოდ:

I,8: „ვინავცა ძისა დმრთისა, განკორციელებულისა, შეერთებასა თრთა შინა სრულთა ბუნებათა ერთგუამოცნებით შეერთებულთა, ადსაარებამ გიგმს ოქუენ მისვე და ერთისა გუამისა ოქუმითა დმრთებისათვსცა და კაცებისა მისისა“. ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად ბერძნულ შია: ተወልድ ድምት – გპპმს ክუይნ. ዓቻሬዕስኩივად სቆዕርია ქართული თარგმანის „ოქუენ“, კონტექსტს შეეფერება მე-2 პირის ნაცვალსახელი და არა პირველი პირის „ჩუይნ“, ምოგორც ეს არის ბერძნულ ტექსტში. მოელ წინა მონ- აკვეთში მსჯელობა ეხება მთავარ ქრისტოლოგიურ საკითხს: ქრისტეს ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების, დვოაებრივისა და კაცობრივის, შეერთე- ბას, აქვე მოტანილია მწვალებელთა განსხვავებული შეხედულებები ორი ბუნების შეერთებასთან დაკავშირებით. საკითხის განსხვავებულ დეფინ- იციას მართლმადიდებელთა და მწვალებელთა მხრივ მოსდევს დასკვნი- თი მსჯელობა: ოქუენც გმართებო ერთსა და იმავე ჰიპოსტასში ორი სრული ბუნების, დვოაებრივისა და კაცობრივის, აღიარება. განხილუ- ლი ადგილის მომდევნო მონაკვეთშიც იგივე სურაო მეორდება: „ორთა ბუნებათაცა, ცხოვლად დაცვულთა მის შორის შემდგომად შეერთებისა, გილირს መქუენ რწმუნებად“ – ተወልድ ሁኔታ አይነት ተከተል ይዘውsin dei ተronein ካላ – (ხაზგასმული სიტყვები გამოცემაში ჩატანილია კრიტი- კულ აპარატში, ვინაიდან იგი დადასტურებულია მხოლოდ **M** ნუსხაში). ამ კონტექსტშიც არის მოწოდება სომეხი მონოფიზიტების მიმართ, ირწ- მუნონ ქრისტეს ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების შეერთება. კონტექსტის გააზრებიდან გამომდინარე, მოწოდების ადრესატებს მართებულად არის მისადაგებული ქართული თარგმანის „ოქუენ“ და არა ბერძნული ხელ- ნაწერების „ካላ“.







\* ἡ μᾶς τῆς μιᾶς ευθέτου φύσεως – და ოქუენებრ ქრისტეს სახელი ერთი შედგენილი პუნქტის იყოს. მაგრამ οὐj უარყოფითი ნაწილაკის არსებობა მიუთითებს, რომ ბერძნულ ხელნაწერებში ლაპუნაა, ამოვარდნილია მომ-დავნო დაპირისპირება [ouj th̄~ uþost asewe~ aujt oū, aþ l al]. მოსალოდნელია, რომ ბერძნული ორიგინალის ტექსტში ფრაზას ასეთი სახე ექნებოდა: *kai; ēstai tō Ἐκριστὸς ὅκομα καθ' jūmās οὐj [ τῆς ὑποστάτεως αὐτοῦ; ἀλλά]* τῆς μιᾶς ευთέτου φύსεως.

III, 2: „სამობითა სიწმიდისადთა სამთა ზესთაარსთადსა დმრთეებისა გუამთა მიჩუენებენ ჩუენ, კითარცა ათანასის, ბასილის და გრიგოლის დმ-რთისმეტყუელთა სათხო-უჩნს, ხოლო ერთობითა უფლებისადთა ერთსა დმერთმთავრობითისა სამებისა არსებასა და მეუფებასა გუაუწყებენ“ – Dia men th̄~ triss̄~ agiot hto~ ta~ trei~ th̄~ uþerousiþu qeothto~ uþ post asei~ h̄miñ uþemfainousin, w̄l ḥqanasiw, Basileiw te kai; Grhgoriow toi~ qeologoi~ dokei~ kai; dia; th̄~ mia~ kuriothto~ th̄n miān th̄~ **θεαρχικῆς** (**θεανδρικῆς** – ყველა ბერძნულ ხელნაწერში) triado~ oujiani te kai; basil- eian gnwritouusi. კონტექსტში საყურადღებოა სიტყვები: „დმერთმთავრობითისა სამებისა“ – **θεαρχικῆς Τριάδος**. ბერძნულ ხელნაწერებში წერია **θεανδρικῆς Τριάδος**, რაც სრულიად შეუსაბამოა წმიდა სამების მიმართ, რადგან იგი სამების მეორე პირის, მე დმერთის, განსაზღვრებაა. ამიტომ ბერძნული ორიგინალის გამოცემაში ხელნაწერების არამართებული წაკითხვა შესწორებულია **θεαρχικῆς** სიტყვით. ამ კონიექტურას მხარს უჭ- ერს ქართული ოარგმანი, სადაც წერია სწორი „დმერთმთავრობითისა.“

III, 4: ἔμρόστατον ὄκτα δύναμει τοῦ Πατρός – „რომელი-იგი ოს გუა- მთანი ძალი მამისაღ“. კონტექსტისთვის მართებული ფორმაა ქართულის „ძალი“. ეს ადგილი წარმოადგენს წმ. იოანე დამასკელის „გარდამოც- მის“ 47-ე თავის ერთი ადგილის ციტაციას. ნიკიტა სტიოატის სიტყვის შემცველი ხელნაწერის არასწორი წაკითხვა dunamesi გამომცემლის მიერ გასწორებულია წმ. იოანე დამასკელის თხზულების სათანადო ად- გილის გათვალისწინებით ანუ მართებული მუნამი ფორმით. ქართულ თარგმანში სწორედ ეს სწორი წაკითხვა გვაქვს.

IV, 13: μὴ πρὸς τὴν ὄρθιόδοξον... τῆς μιᾶς καθολικῆς καὶ ἀριστολικῆς ἐκκλησίας – არა მოქცევითა კეთილმრწმუნებელობით მართლმადიდებე- ლისა მომართ სარწმუნებისა ერთისა წმიდისა კათოლიკე და სამოცი- ქულო ეპლესისა“. ბერძნულ ორიგინალში ლაპუნაა. აქლია სიტყვა „არა მოქცევითა კეთილმრწმუნებელობით“. ქართული ოარგმანის მიხედვით შესაძლებელია ლაპუნის შევსება.



V,5: Νομοί τα στριώτων θεοφάνειας οι οποίες θεωρούνται από την ιεραρχία ότι πρέπει να γίνονται με την επιβολή της Αγίας Εκκλησίας. Οι θεοφάνειες που αναφέρονται στην Βίβλο είναι η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας. Η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας είναι η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας.

V, 5: Οι θεοφάνειες που αναφέρονται στην Βίβλο είναι η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας. Η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας είναι η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας.

V,5<sup>1</sup>,5<sup>2</sup>,5<sup>3</sup>: Η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας είναι η Απόφαση της Αγίας Εκκλησίας για την επιβολή της Αγίας Εκκλησίας στην Εκκλησία της Καθολικής Εκκλησίας.

48 Hergenröther 1869: 143.

49 Hergenröther 1869:143, Σεβομένα 7.



ქრისტეს მიმართ საღმრთოთაებრ შჯულთა მამათადსა“. დასასრულია: „ახალობე რამე იქმნენ ქრისტესა, ვითარცა ნათლისძებისა მიერ იქმნენ უცომო, ესე იგი არს, უცოდველ ყოვლისაგან ძუელისა ცომისა ცოდვათადსა განწმედილნი.“ ამ მონაკვეთში ლაპარაკია პავლე მოციქულის სიტყვებზე, რომლებიც ეხება ძველი ცომისაგან განწმედას. ამ „ზედმეტი“ მონაკვეთის პირველი ნახევარი ემთხვევა სტითატის ანტილათინურ თხეულებას,<sup>50</sup> მეორე ნახევარი კი მხოლოდ ქართულ ტექსტში გვაქვს. ქართული ტექსტის ე.წ. „მეტობა“ სავსებით ბუნებრივივად ზის აღნიშნულ კონტექსტში, ბერძნულ ტექსტში კი ლაკუნის გამო საკმაო ბუნდოვანებაა: ლაკუნის მომდევნო, მე-6 პარაგრაფი ბერძნულ ში იწყება კითხვითი წინადადებით: Ποιέν τον ψήνεισθε εκτεταί ποιεῖν την παραδοσιν? (= საიდან გაქვთ ამის ქმნის მითოება?). ეს წინადადება სრულიად გაუგებრად აგრძელებს წინა, მე-5 მუხლს. ეს გაუგებრობა იხსნება ქართული ტექსტის „მეტობის“ გათვალისწინებით. ცხადია, ქართულ ორგმანში არსებული ტექსტობრივი მეტობა წმ. არსენ იყალთოელის მიერ გამოყენებული ბერძნული დედნით არის განპირობებული. ამდენად, აუცილებელია ბერძნულ ორიგინალში ამ ლაკუნის შევსება ქართული ორგმანის მიხედვით.

მოტანილი რამდენიმე ნიმუში სრულ საფუძველს იძლევა შემდეგი დასკვნისათვის: წმ. არსენ იყალთოელის ქართული ორგმანი ყველა მონაცემით იმდენად ახლოს დგას ორიგინალის აგტორისეულ ტექსტთან, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია ბერძნული ორიგინალის ტექსტის არქეტიპის უფრო სრულყოფილად აღდგენა, ვიდრე იგი წარმოდგენილია გამოცემისთვის გამოყენებულ ბერძნულ ხელნაწერებში.

ქართული ორგმანის ბერძნულ ტექსტთან მიმართების ყველა ასპექტი: ტექსტის მეტობა, ნაკლებობა, განსხვავებული წაკითხვა და ა.შ. წინამდებარე გამოცემაში ნაჩვენებია ორგმანის ტექსტებზე დართულ კრიტიკულ აპარატში.

## VII. ბერძნული ორიგინალის დათარიღებისათვის ქართული თარგმანის ერთი ტექსტობრივი განსხვავების საფუძველზე

ქართული ორგმანის ბერძნული ორიგინალის ტექსტისაგან განსხვავებული ერთი წაკითხვა შეიძლება გამოდგეს ნიკიტა სტითატის ანტი-



მონოფიზიტური სიტყვების დასათარიღებლად. ბერძნული ორიგინალის-აგან ყველაზე საყურადღებო განსხვავება დასტურდება მეხუთე სიტყვის დასათარებაში. იოსებ პერგენროეტერის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტში პოლემიკის ადრესატად სომხებთან ერთად მოხსენებულნი არიან ლათინებიც: *Τοῦ Στήθατου Κυρίου Νικήτα τὴς μοιῆς τοῦ Στουδίτων κατὰ Ἀρμενίου καὶ Λατίνου (καὶ) περὶ ἐρζύμων καὶ ἀξύμων.*<sup>51</sup> ტექსტის დასაწყისშიც არის განსხვავება: ბერძნულში სომხების ქვეყანასოან ერთად ფრანგების ქვეყანაც სახელდება: *Εἰ γ φίλοισοφῶτεροι, ἔχόντες βίου ἐμ τῇ χώρᾳ/τῶν Φράγγων καὶ Ἀρμενίου* (p. 139). წმ. არსენის ქართულ თარგმანში, ბერძნულისაგან განსხვავებით, არც სათაურში იხსენიებიან ლათინები, არც ტექსტის დასაწყისში – ფრანგები. ქართულში ასეთი სათაურია: „მისივეგანსაქიქებელი მეხუთე წვალებისა სომებთავსავა და უცომოვსათვას“, ხოლო ტექსტის დასაწყისია: „რომელთა უსიბრძნისმოყეარესი გაქუს მოქალაქებავ სოფლებსა შორის სომებთავსა“ (S 1463, 263r).

ის ფაქტი, რომ ქართულ თარგმანში მეხუთე სიტყვა ეხება უცომოს ოქმას, მაგრამ ლათინების ხსენება არ არის, ძალიან მნიშვნელოვანი ჩანს. მეხუთე სიტყვა ნიკიტა სტიორატის მიერ თავიდანვე გამიზნული იყო უცომოს ოქმაზე პოლემიკისთვის. ამის შესახებ გაცხადებულია წინა, მეოთხე სიტყვაში, სადაც ავტორი წერს:

*\*Ἀψυχον γὰρ τὸ ἄξιμων καὶ νεκρὸν περὶ οὐ πλατύτερον ἐμ τῷ μετὰ ταῦτα λόγῳ φίλοισοφήσομεν* (IV, 11). თარგმანში იკითხება: „რამეთუ უსულო არს უცომო და მკუდარ, რომლისათვა უკრცელესად-რე ამის[ს]ა შემდგომსა სიტყუასა შინა ვიფილოსოფოსოთ“ (260r), ანუ: იმის შესახებ, რომ უცომო უსულო და მკვდარი, უფრო ვრცლად მომდევნო სიტყვაში ვილაპარაკება.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქართველმა მთარგმნელმა ამოაგდო ტექსტიდან ლათინები, ვინაიდან მათთან პოლემიკა არ იყო მისოვის აქტუალური პრობლემა. მაგრამ წმ. არსენის მთარგმნელობითი პრინციპების გათვალისწინებით, არც რა ჩაამატოს სათარგმნ ტექსტში, არც რა გამოაკლოს, ეს ვარა უდი საფუძველს მოკლებული ჩანს.

უფრო მოსალოდნელია, რომ ლათინების ხსენება არ იყო იმ ბერძნულ ნუსხაში, რომლითაც ისარგებლდა წმ. არსენმა. როგორც ჩანს, წმ. არსენის მიერ წყაროდ გამოყენებულ ბერძნულ ხელნაწერში მეხუთე სიტყვა წინა ოთხ სიტყვასთან ერთად მიმართული იყო მხოლოდ სომხების წინააღ-

51 Hergenröther 1869: 139.



მდეგ და არც სათაურში, არც ტექსტის დასაწყისში ლათინების ხსენება არ უნდა ყოფილიყო. ქართულ თარგმანში არსებული ვითარება შეიძლება გამოდგეს ნიკიტა სტიოატის მიერ ანტისომხური მონოფიზიტური სიტყვების შექმნის დროის დასადგენად.

ნიკიტა სტიოატის ანტისომხური მონოფიზიტური სიტყვების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით სტიოატის ოხულებათა გამომცემელს, ქავ დარუზეს, გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სომები მონოფიზიტების საწინააღმდეგო პოლემიკური სტატიები დაწერილი უნდა იყოს უფრო ადრე, ვიდრე ლათინების მიმართ სიტყვები. ანტილათინურ თხულებებს მკვლევარი 1054 წლით (კარდინალ ჰუმბერტის ლეგაციის წლით) ათარიდებს.<sup>52</sup> მკვლევარი პ. შვაინბურგი მიიჩნევს, რომ მე-5 სიტყვა დაწერილია 1054წ.-ის შემდეგ, როგორც ანტილათინური სიტყვების შემოკლებული ვარიანტი.<sup>53</sup> ზოგი მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს, რომ სომხების წინააღმდეგ მიმართული სიტყვის ორიგინალი შეიცავდა ლათინებთან ალუზიას და მათი მოხსენიება ინტერპოლაცია უნდა იყოს.<sup>54</sup>

ქართული თარგმანის მონაცემები საგვებით მხარს უჭერს ჟაკ დარუზესის მოსაზრებას. მეხუთე სიტყვაში სომხების მიმართ წაყენებულია ბრალდება უცომოს (άξυμον) რაობისა და ლიტურგიკულ პრაქტიკაში მისი გამოყენების შესახებ. ნიკიტას მხრივ ამ საკითხზე სომხებთან ვრცელი პოლემიკა მოსალოდნელი იყო მანამ, სანამ იგი ლათინების მიმართ უცომოს თაობაზე სპეციალურ პოლემიკურ შრომას შექმნიდა. ანტილათინური თხულების დაწერის შემდეგ სომები მონოფიზიტების საწინააღმდეგო თხულებაში უცომოს შესახებ ვრცელ პოლემიკას აზრი ადარ ექნებოდა. ამდენად, საფიქრებელია, რომ ეს საპოლემიკო საკითხი პირველად ანტისომხურ სიტყვებში იქნა განხილული, ხოლო შემდეგ სპეციალური თხულება შეიქმნა მასზე უავვა ლათინებთან პოლემიკის მიზნით.

აქედან გამომდინარე, სრულიად დასაშვებია, რომ სომები მონოფიზიტებთან პოლემიკის შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში ლათინების, ფრანკების მოხსენიება გვიანდებული ინტერპოლაცია იყოს. რომელიდაც ბერძნული ხელნაწერის გადამწერ-რედაქტორმა, ლათინებთან პოლემიკის ჩავლის შემდეგ, კერძოდ კი, კარდინალ ჰუმბერტის ლეგაციის დროს მომხდარი დრამატული ფაქტის (იმპერატორის ბრძანებით ნიკიტა სტიოატის მიერ

---

---

52 SC 81 : 9.

53 Schweinbourg 1934. მოგვაქვს ნიკიტა სტიოატის პირველი პოლემიკური სიტყვის იღვებ დოონისონ (შლეზენგის) გამოცემის მიხედვით: Преп. Никита Стифаг 2008: 40.

54 SC 81 : 12.



ანტილათინური ოხზულების დაწვა) გამოძახილის გავლენით, სომხებთან უცომოს თაობაზე პოლემიკაში ლათინებიც მოიხსენია, რადგან ძირითადი აქცენტი უცომოზე სწორედ მათი მხრიდან კეთდებოდა.

### **VIII. ნიკიტა სტიოთატის ანტიმონფიზიტური სიტყვების წყაროები: წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის პომილიები და წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“**

ნიკიტა სტიოთატი, როგორც ღრმად განსწავლული ღვთისმეტყველი და გაწაფული პოლემისტი, სარწმუნოებრივი საკითხების მართლმადიდებლური გაგებისა და მათი ჭეშმარიტების ჩვენების მიზნით ფართოდ მიმართავს წერილობით წყაროებს. წმიდა წერილის შემდეგ, დასაბუთებისა და არგუმენტაციისთვის იგი ცველაზე მეტად იქნებს თრი დიდი საეკლესიო მამის – წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა (IV ს.) და წმ. იოანე დამასკელის (VIII ს.) შრომებს.

#### **წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი**

ნიკიტა სტიოთატის მიერ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ოხზულებებით სარგებლობა იშვიათი ნიმუშია იმისა, თუ როგორ იქნა შეხამებული ადრეული ქრისტიანული საეკლესიო-სადვოისმეტყველო დებულებები გვიანი პერიოდის კონფესიონალურ შეხედულებებს. ცნობილია XI ს-ის ბიზანტიულ მწერლებზე (მაგ. მიქაელ ფსელოსი) წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის რიტორიკული ხელოვნების გავლენა.<sup>55</sup> საყურადღებოა იმავე პერიოდში იმავე ლიტერატურულ-საგანმანათლებლო წრეში მოღვაწე ნიკიტა სტიოთატზე მისი სადვოისმეტყველო მოძღვრების გავლენა. ეს გავლენა იგრძნობა როგორც კონცეპტუალურ-დოგმატურ საკითხებზე, ისე საეკლესიო-ლიტერატურგიკულ წესებზე კამათის დროს.

ნიკიტა სტიოთატი საყვედურობს სომეხ მონაფიზიტებს, რომ ისინი თავიანთ თავს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მოძღვრების მიმდევრებად

55 Любарский 1978: 142, 170. ბეზარაშვილი 2004.



აცხადებენ.<sup>56</sup> სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. ავტორი ცდილობს, გაა-ბათოლოს სომეხთა ცრუ რწმუნებები, წმ. გრიგოლ დვოისმეტყველის მო-ძღვრებით სპეციალისტება, რასაც შესანიშნავად ახერხებს თვით დვოის-მეტყველის თხზულებათა მოშველიებით.

ნიკიტა სტითატი სომეხი მონფიზიტების წინააღმდეგ პოლემიკის წარმოების მეთოდოლოგიურ საყრდენად წმ. გრიგოლ დვოისმეტყველს ასახელებს. ყოველი სიტყვის დასაწყისში ავტორი მკითხველს შეასევ-ნებს, რომ იგი დისკუსიას წარმართავს წმ. გრიგოლ დვოისმეტყველის შეხედულებებზე დაყრდნობით:

I სიტყვა: „შემრეველობითისა ორთა ბუნებათა ქრისტესთავსა მადი-დებლობისა, მგმობრისა მის წვალებისა სომეხთავსა, ვითარცა მძრვარი-სა რაოსმე სენისა, ვინებე რა განქიქებად, სამართლად შევსრაცხე თანა-მოქმედად ანუ ოანამბრძოლად სიტყვასა მიყვანებად ღმრთისმეტყველთა შორის დიდისაცა და ჭმაგანსმენილისა გრიგოლისი, დასამწობელად ესევითარისა მის უძმრთოვსა წვალებისა“ (256 r I).

II სიტყვა: „პირველი სიტყუად აღგიწერეთ ოქუენ, მ ბრძენნო და უაღ-რესნო სხუათა სომეხთანო, რომელსა შინა ღმრთისმეტყველისაცა და მამისა გრიგოლის თანამოსაჯულად ჟუმევითა გამოვაჩინეთ, თუ ვითარი არს ქრისტეს ზედა, ღმრთისა ჩუენისა, მართლმადიდებელობითი სარწ-მუნოებად... ხოლო აწ... აწინდელისა მიერ სიტყვასა მეორესა ძეგლსა აღ-გიწერო თქუენ, კუალადცა გულსმოდგინენი ჩუენებად ეგვითარისა მის ღმრთისულიერისა მამისა სიტყუათაგან, ვითარმედ სხუად ვიდრემე არს, გარეშე დღესასწაულისა ნათელთავსა, ქრისტეს შობისა დღესასწაული“ (258r II).

III სიტყვა: „აწ კუალად მესამესა სიტყუასა სამწმიდაობისათვს გვჰო-ფო თქუენდა მიმართ... ვითარცა იტყვს ღმრთისმეტყველთა შორის დიდი გრიგოლი“ (260v I).

IV სიტყვაც იწყება წმ. გრიგოლ ნაზიანზელის იმ გამონათქმამის პუ-რიფრაზირებით, რომელშიც ბიზანტიელი მწერალი სომეხ მონფიზიტთა არცოუ მთლად სახარბიელო დახასიათებას იძლევა და სადაც ისინი შედარებული არიან ზღვის რიფებს. ეს არის წმ. გრიგოლ დვოისმეტყვე-

56 სტითატის ეს მოსაზრება რომ უსაფუძღლო არ იყო და რეალურ მონაცემებზე იყო დაყრდნობილი, წერილობით დადასტურებულია ისეთი უძველესი ერქბულით (VIIს.), როგორიცაა ყაჩა ხალასუ, რომელიც სომხური მონფიზიტური მრწამსის გადმო-ცემას წარმოადგენს და რომელშიც სხვა, როგორც ბერძნი, ისე სომეხი, საეკლესიო მამების გვერდით ხშირად არის წარმოდგენილი და დამოწმებული ექსცერპტები წმ. გრიგოლ დვოისმეტყველის თხზულებებიდან.



լուս Or. 43-ին դադասքյուրյածով և մամեծո մանուցութիւններու մուսամարտուն նառյամո մշտագործ: Օսկ առևուն չենոս ընթետա տուն՝ Արքանուն, ալլա: կայ և առ կրուրուն ու կայ նֆալուն.<sup>57</sup> Տիրուաթիս IV և օքազա այս օվային: „մույսուն չյայ և ա նղջեկլուց բուտուատչե Տարուրուս ովայենուս և ա վաճառյածուս, րամյալու-օցու, զուարա զալյենքուուս և մանյենքուսուս մրժմյնյալուա, ցուպրոյե, շովյատ րամյե մշուրյածու և ա և յաւա ովյայնու դայարյալու և ա նղջեկլուց բուտու դայարյալուա մացատ և ա նղջեկլուց բուտու դանցայիշուա բանցայիշուա“ (261r).

Իմ. ցրուալ լազուսմյեթյալուս րա ունյալյածուու Տարցյալուան նոյնին Տիրուաթի՞ յայենուս մուսու լություրյայլու ձումուույն: Or. 38 „Շուտուսատչե չյալուս հյայենուս օյսյ յրուսթյեսու“, Or. 39 „նառլուսլյածուսատչե չյալուս հյայենուս օյսյ յրուսթյեսու“ և Or. 43 „ձասուլուս յանիթյան“.

Ռուգոր ոյյենյին նոյնին Տիրուաթի՞ յմ. ցրուալ լազուսմյեթյալուս ալ-նոմեյլ ձումուույն: Տայյուարու անրուս ցամուսաւյմած և ա մարտլմածու- յալյարու յրուալուս նառյալսայուցած նոյնին Տիրուաթի՞ նուցան յազալյալ ու ուղյին ցութաթիս լազուսմյեթյալուս ունյալյածուու, նուցան յու ցութաթիս ձյրութանուրյածուս, ռամցենիմյ ցութաթիս յամնուլացուս անցեն. ցարճա պուրածու ցութացուսա, ռամյե անրուս ցամույթմուսաս նուցան ուղյ նուցան ու ուղյալյած յմ. ցրուալ լազուսմյեթյալուս սանցալուս.

Սպորցալյասու Տայյուտիս, Ռումլուս Մյեսակյած Տիրուաթի՞ յամառյան Տամյի մանուցութիւններու, յեյին յրուսթյես որեյնյեծուույնյածուս լուցմաս. ամասուան արուս ձակացմուրյածու մյուրյ Տայյամառու Տայյուտիս – Տայյուլու լազուսմյալյածուս – մանարան և ա նառլուսլյածուս – մանարան և ա յալյենքուուս ցարյացա. ուրույ Տայյուտիս Տայյամառնյ մյթած մրջազ ոյտ XI և ուս ծոխանցուս մարտ- լմածուույնյարու յրույնուսուզուս. Տիրուաթի՞ յրուգորու մարտլմածուույնյածու, մեջալուս րա ամ յմրջազ Տայյուտիկնյ, մուցա տացուս արցյամենթացուս ացյին յմ. ցրուալ լազուսմյեթյալուս մոյր ցամույթյալ յյեյդյալյածունյ. Տիրուաթի՞ յթյուցենու, Տացաւու Տիրուաթի՞ յթյուցու ցամույթյունյածուսաս մուեա լուրտուսա և ա յացուս արա ուցենյածուու անյ մոիշյենյեծուու, արամյե յա յմարութիս, արայեն յա յմարութիս. յայ յայրույնուս անալու և Տայյուրույլուս յմրջա յմ. ցրուալ լազուսմյեթյալմա: „յեյ յայ անալու և ա մանույտյալյալու յյեյր- տյած և ա յյերյյամա լուրտուսմյեթյյալուսացա ցրուալուս և յայայրդա րա, ցանցյածրյածուու ովյա: „յ յյերյյամա անալու, յ յանացյած անցրյալու!“ (256 V I). յե արուս ցնածուու ցամունատյամու լազուսմյեթյալուսա, Ռումլուս մանու-



ფიზიტებმა გამოიყენეს ქრისტეში ერთი შეზავებული ბუნების საქადაგებლად. მათ საწინააღმდეგოდ, ნიკიტა სტიოთატი განმარტავს „შეზავებისა“ და „შერწყების“ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ გაგებას. მისი აზრით, წმ. გრიგოლ დვოისმეტყველის სიტყვები შემდევნაირად უნდა გავიგოთ: შეერთების შემდეგ ქრისტეში ორი ბუნებისგან ერთი შეზავებული ბუნება კი არ მივიღეთ, არამედ ერთ შეზავებულ ჰიპოსტასში მოხდა ორი ბუნების ჭეშმარიტად შეერთება ისე, რომ თითოეულმა ბუნებამ დაიცვა თვისი არსებითი ოვისებები და განსხვავებები.

ნიკიტა სტიოთატის ორი ბუნების, დვოაებრივისა და კაცობრივის, „ახალი“ და „საკურველი“ შეერთების წმ. გრიგოლ დვოისმეტყველისეული გაგება სჭირდება იმისთვის, რომ უარყოს მწვალებელთა აზრი, თითქოს ჯვარცმისას კაცობრივთან ერთად დვოაებრივი ბუნებაც უნიო. სტიოთატი საღვოო ბუნების უცნებელობის დამტკიცების მიზნით ციტატებს იშველიებს წმ. გრიგოლ დვოისმეტყველის Or. 38-დან.<sup>58</sup>

ქრისტეს შობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა სტიოთატის მიერ დვოისმეტყველის სიტყვების – „ქრისტე იშვების“ ინტეპრეტაცია: „დიდმან დმრთისმეტყუელმან გრიგოლი, „ქრისტე იშვებისო“ – ესე ხოლო ჭმამადლობით ჭმა-ყო შორის ეკლესიისა მორწმუნეთასა“ (257 r II). „ქრისტე იშვების“ – ამ სიტყვებით იწყება გრიგოლის Or. 38. სტიოთატი ოპონენტებს მიუთითებს, რომ ამ სიტყვაში მხოლოდ ქრისტეს შობის შესახებ დაპარაკობს დვოისმეტყველი და არა ნათლისდების შესახებ. ამის ხაზგასმა იმდენად სჭირდება ავტორს, რამდენადაც მას სურს, აჩვენოს განსხვავება შობასა და ნათლისდებას შორის. „აწინდელი ესე სიტყუა [Or.38] მხოლოდ ქრისტეს შობისათვის ოდენ აღწერა საღმრთომან გრიგოლი...., რამეთუ ჩუნებად შენი ჰნებავს, ვითარ-იგი სხუად არს ქრისტეს შობისა დღესასწაული, ვითარ-იგი არს ბუნებად კაცებისა მისისად, და სხუად – ნათლისდებისად, ვითარ-იგი სხუად არს ბუნებად დმრთებისა მისისად“ (257 V II).

წმ. გრიგოლ დვოისმეტყველის Or. 39 იწყება სიტყვებით: „კუალად იქსუ ჩემი“. ნიკიტა სტიოთატი თვის ოპონენტებს მიუთითებს, რომ დვოისმეტყველმა იქ (ანუ Or.38-ში) სიტყვებით: „ქრისტე იშვების“, კაცობრივისა ბუნებისა, განდმრთობილისა, შობად წარმოაჩინა. ხოლო აქა, ვითარმედ „კუალად იქსუ ჩემი და კუალად საიდუმლოვ“, ცხად არს, ვითარმედ

58 PG 36, col. 312-333; Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica III, Oratio XXXVIII 2001: 2-219.



ღმრთებისად ცხად-ყო საიდუმლოსა მიერ იქსოს ზედა წმიდისა და ოანაარსისა სულისა გარდამოსლვად და ყოვლისავე კაცებისა განწმედავ“ (259 r I), რადგანაც სხვაა ქრისტეს შობის საიდუმლო და სხვაა – ნათლისდებისა, მათი დღესასწაულიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პატივითა და ღირსებით სრულდება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელთან კაგშირში ნიკიტა სტიოატი იმოწმებს წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველს, ეხება ლიტურგიაში სამწმიდაობით გალობას. ავტორი აკრიტიკებს სომეხი მონოფიზიტების მიერ ამ გალობის გავრცელებას სიტყვებით „რომელი ჯუარს-ეცუ ჩუენთჲს“, რის გამოც ჯვარცმულად ცხადდება წმ. სამების ყველა პირი. იგი იმოწმებს წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის ცნობილ განსაზღვრებას წმ. სამებისა, რომელიც მოცემულია Or. 39 -ში.<sup>59</sup> ეს განსაზღვრება გამორიცხავს სამებაში მეოთხე წევრის შემოყვანას, ან მოელი სამების ჯვარცმულად გამოცხადებას.

მე-4 სიტყვაში ნიკიტა სტიოატი გმობს სომეხი მონოფიზიტების რამდენიმე წვალებას, რომელიც „ზღვსკლდეობითად“ არის სახელდებული მის მიერ. ეს სიტყვები პირდაპირ ასოცირდება წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის ცნობილ გამონათქვამთან, როცა Or. 43-ში მან სომეხი მონოფიზიტები ზღვაში დამალულ მეჩქებს შეადარა ანუ ზღვსკლდეობითად გამოაცხადა (Ouјc aþl ouն genoi euřiskw t out Ḣarmenišuð aյl a ; kai ; lian krupton ti kai; uþ al on).<sup>60</sup>

გარდა იმ შემოხვევებისა, როცა ნიკიტა სტიოატს წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის ციტატები ზუსტად გადმოაქვს, ან პერიფრაზირებას მიმართავს, იგი პოლემიკის დროს სისტემატურად იმოწმებს წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის სახელს (257r I; v II; 258 r II და სხვა).

ნიკიტა სტიოატის მიერ წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის დასახელებული პომილიებიდან აღებულ ციტატებს ყველას დაეძებნა სათანადო ადგილები გრიგოლის ტექსტებში. ერთადერთ შემოხვევაში კონტექსტი, რომელიც სტიოატის მიერ წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის სახელით არის მოხმობილი (257 r I-II), არ დადასტურდა არც «შობის», არც «ნათლისდების» პომილიაში. ეს კონტექსტი სრულ ასოციაციას იწვევს წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის „შობისა“ და „ნათლისდების“ პომილიების შინაარსან.

ვინაიდან კონტექსტი, რომელზეც ვსაუბრობთ, მრავალმხრივ არის

59 Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica, V, orationes XXXIX et X L , 2007 : 71.

60 PG 36, col. 517 B 5; Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica, IV, oratio XLIII, 2004 : 82.



საინტერესო თავისი შინაარსითაც და ფორმითაც, მოვიტანთ მას მოლიანად: „და უკუეთუ გნებავს, თუ ღმრთივთქუმულთა სიტყუათა მისთა მიერ [იგულისხმება გრიგოლ დვითისმეტყველი – მ. რ.] შევისწავოთ განყოფილებად ამათ დღესასწაულთათ, რამეთუ იტყვს: ხოლო აწ ღმრთის გამოჩინება – დღესასწაული, რამეთუ გამოუჩნდა ღმერთი კაცოა შობისა მიერ. კითხეუა: ვითარ უკუე გამოუჩნდა ღმერთი კაცოა შობისა მიერ, რომელი უცორცო არს და უნივორ? მიგებავ: ვინაოთგან საშოსა შინა ყოვლადუბიწოდსა ქალწულისა მარიამისსა სიტყუად ღმრთისად ჭმასა თანა მთავარანგელოზისა გაბრიელისა შევიდა და სულითა წმიდითა, ვითარცა ტყავსა ზედა ცხოვრისასა შეუმწინკულებელთა შინა და ყოვლისავე ბიწისაგან შეუხებელთა ჭორცო მისთა დაწერილი თითოთა ღმრთისა და მამისათა, გამოუთქუმელად განგორციელდა და ჭორციელიქმნა მიუთხობელად. და ჭორცქმნილი სიტყუად კაცად სრულად იშვა მისგან, რომელი-იგი სრული ღმერთი იყო, არასადა დაჯსნითა ქალწულებისა მისისა ბეჭედთავთა. და ერთად ორთაგან წინააღმდეგომთა გამოჩინებულმან გუამითა ქუეყანასა ზედა ქალწულისაგან შობისა მიერ, დაიკარვა ჩუენ შორის და კაცოა თანა აღიზარდა, ვითარცა წერილ არს. რომლისა-მე სახისათვს? ანუ თუ რაოთა შობადცა კაცოად პატივიცეს და ქალწულებადცა, ვითარცა თქუმულ არს: „რამეთუ უქმდა, იტყვს, შობისაცა პატივისცემად და ქალწულებისა წინაპატივისცემად“. გარნა განმკაცრებით განიხილე, თუ ვითარ ყოველთავე მიერ, რომელნიცა სიტყუასა ამას შინა მოიქსენნა, მხოლოდ ქრისტეს შობისათვს თდენ სიტყუამაღლობით ფილოსოფიოსობს“ (I, 13-14).

მოტანილი კონტექსტიდან მხოლოდ ხაზგასმული სიტყვები: „შობისაცა პატივისცემად და ქალწულებისა წინაპატივისცემად“ დადასტურდა წმ. ნაზიანზელის „შობის“ საკითხავში (Or 38, XIII). კონტექსტი კითხვა-მიგების ფორმით არის მოცემული, რაც ერთადერთი გამონაკლისია ნიკიტა სტიორატის სიტყვებში (მისი ყველა სიტყვა გაბმულ ტექსტად არის წარმოდგენილი როგორც ბერძნულ ორიგინალში, ისე ქართულ თარგმანში). ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძირითადი ხელნაწერის, S 1463 -ის აშიაზე ამ ადგილას მითითების მიზნით ტექსტის ხელით წერია: – „კითხვად“ და „მიგებად“. თუ ეს მარგინალია ხელნაწერის გადამწერს არ ეკუთვნის, მაშინ საფიქრებელია, რომ ამ ადგილას ნიკიტა სტიორატს გამოყენებული აქვს წმ. გრიგოლ დვითის-



მეტყველის სხვა ნაწარმოები, რომელიც კითხვა-მიგების ფორმით იყო შესრულებული. შესაძლოა, ეს წყარო იყოს რომელიმე კითხვა-მიგება, რომელიც, როგორც ცნობილია, ასახავდა დიალოგს წმ. გრიგოლ დვითის-მეტყველსა და წმ. ბასილი დიდს შორის.

ნიკიტა სტითატის პოლემიკურ თხზულებაში დადასტურებულ წმ. გრიგოლ დვითისმეტყველის ციტატებთან დაკავშირებით ჩნდება ერთი საკითხი, რომელიც საყურადღებოა დვითისმეტყველის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის ისტორიისათვის, კერძოდ: საინტერესოა, წმ. არსებ იყალთოელმა ნიკიტა სტითატის პოლემიკურ სიტყვებში არსებული წმ. გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა ექსცერპტები ამ უკანასკნელის ადრეული თარგმანებიდან აიღო, თუ თვითონ თარგმნა ისინი? როგორც ცნობილია, წმ. გრიგოლ დვითისმეტყველის შრომები თითქმის მთლიანად თარგმნილია სხვადასხვა ქართველი მოღვაწის მიერ.<sup>62</sup> ჩვენოვის საინტერესო პომილიები (Or.38 და Or.39) თვის დროზე თარგმნები წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა და წმ. ეფრემ მცირები<sup>63</sup>. ნიკიტა სტითატის სიტყვებში დადასტურებული წმ. გრიგოლ დვითისმეტყველის პომილიების ციტატების წმ. ეფთვიმესა და წმ. ეფრემის თარგმანებთან შედარების შედეგად გაირკვა, რომ წმ. არსებ იყალთოელის თარგმანი ზოგჯერ წმ. ეფთვიმეს წაკითხვას იმეორებს, ზოგჯერ წმ. ეფრემისას, მაგრამ უფრო ხშირად იგი ორიგინან სხვაობს. წმ. არსენის თარგმანის სხვა ქართულ თარგმანებთან მიმართებისას მხედველობაში გვაქვს როგორც ლექსიკა, ტერმინები, ისე ენობრივ-გრამატიკული ფორმები. ლექსიკის თვალსაზრისით, ტერმინოლოგიურად წმ. არსენის თარგმანი წმ. ეფრემის თარგმანს იმეორებს, ენობრივ-გრამატიკულად კი იგი სხვებთან შედარებით მეტად მიმართავს ბერძნულის კალკებს როგორც სიტყვათწარმოებაში, ისე სინტაქსურ კონსტუქციებში. ეს სურათი აბსოლუტური არ არის, რადგან გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა ლექსიკოთაც და გრამატიკული ფორმებითაც წმ. არსენის თარგმანი წმ. ეფთვიმეს წაკითხვებს იმეორებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის წაკითხვებია, როცა წმ. არსენის თარგმანი ყველა სხვა თარგმანისაგან სხვაობს. წმ. გრიგოლ დვითისმეტყველის პომილიების ექსცერპტების წმ. არსებ იყალთოელისეული თარგმანი ნათლად ავლენს მთარგმნელის შემოქმედებით პრინციპს, ზედმიწევნითი

61 ბრეგაძე 1988 : 41 - 43; GPG 37, col. 24-93.

62 ბრეგაძე 1988: 22-49. მათ შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა დაგროვდა საერთაშორისო პროგრამით მომუშავე ქართველ მეცნიერთა მიერ.

63 ბრეგაძე 1988: 34-39.



სიზუსტით გადმოსცეს ბერძნული სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა და დეტალური სიახლოვით გადმოიტანოს თარგმანში ბერძნული გრა-მატიკული ფორმა. ამასთანავე, გასათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ ქართველი მთარგმნელები წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის პომილიების შემცველი სხვადასხვა ბერძნული ნუსხით სარგებლობდნენ. წმ. არსენ იყალთოველის შემთხვევაში ამას ემატება ისიც, რომ უცნობია შეალე-დური რგოლის, ნიკიტა სტიოთატის, წყარო, მის მიერ გამოყენებული წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის პომილიების შემცველი ბერძნული ხელნაწ-ერები.

ასეა თუ ისე, ნიკიტა სტიოთატის პოლემიკურ სიტყვებში დაცული წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის ციტატების წმ. არსენ იყალთოველის თარგ-მანის სახით ხელთა გვაქვს დვოთისმეტყველის პომილიების ფრაგმენტების ახალი ქართული თარგმანი, რომელიც ქრონილოგიურად გაგრძელებაა წინარე თარგმანებისა, ხოლო თვისებრივად იმ მთარგმნელობითი ხაზის განვითარებაა, რომელიც დაიწყო წმ. ეფრემ მცირემ და საბოლოოდ დაგ-ვირგვინდა გელათის ლიტერატურული სკოლის მოდგაწერა მიერ.

### წმ. იოანე დამასკელი

მეორე ბიზანტიელი დვოთისმეტყველი, რომლის შრომები ნიკიტა სტი-ოთატის სიტყვების წყაროს წარმოადგენს, არის წმ. იოანე დამასკელი. ანტისომხური პოლემიკის პირველსავე სიტყვაში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი საეკლესიო დოგმატის, ქრისტეს ორბუნებოვნების საკითხს ეხება, გამოყენებულია წმ. დამასკელის „გარდამოცემის“ 47-ე თავი, რომ-ლის სახელწოდებაა „**Περὶ τῶν μέν φύσεων**“ – „ორისა ბუნებისათვის“.<sup>64</sup> ნიკიტა სტიოთატი ექსცერპტების სახით იმეორებს წმ. იოანე დამასკელის გამონათქვამებს განხორციელების შემდეგ ქრისტეს ერთ ჰიპოსტასში თრი ბუნების, საღმრთოსა და კაცობრივის, შეერთების შესახებ.

გამოყენებულ წყაროსთან ანუ წმ. იოანე დამასკელის «გარდამოცე-მასთან» მიმართებით ნიკიტა სტიოთატის სიტყვები ერთი სტილური თავ-ისებურებით გამოირჩევა. გარკვეული აზრით, სტილი არის ფუნქციის პროდუქტი. იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ატარებს ესა თუ ის ნაწარ-მოები, განისაზღვრება მისი სტილიც. რადგან წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ ფუნქციურად არის მართლმადიდებლური მოძღვრების,

64 PG 94, col. 888 B – 893 C. წმ. იოანე დამასკელი 2000: 152-156.



ქრისტიანული სარწმუნოების განმარტება, მისი თხრობის სტილი არის ანალიტიკურ-შემეცნებითი. რადგან ნიკიტა სტიოთატის თხზულების ფუნქცია არის პოლემიკა, მისი თხრობის სტილი არის განმკითხველი, პოლემიკური. ფუნქციონალური სიგაობა აისახა „გარდამოცემისა“ და ნიკიტა სტიოთატის თხზულებათა სტილში, რაც ამ ორ ნაწარმოებზე ერთი თვალის შევლებითაც აშკარად ჩანს.

„გარდამოცემის“ თითქმის ყოველი მსჯელობა, რომელიც დოგმატიკური საკითხების ანალიზისა და განმარტების აღწერითი სტილით არის მოცემული, ნიკიტას შრომაში მიმართვის ფორმის სახითაა გადატანილი. ეს არცაა გასაძვირი. ნიკიტას მსჯელობას ჰყავს კონკრეტული ადრესატი: სომები მონოფიზიტები. ამდენად, იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათ მიმართავს. რამდენიმე მაგალითი „გარდამოცემისა“ და ნიკიტა სტიოთატის პარალელური ტექსტებიდან:

„გარდამოცემა“: εἴποιεν (Kott. 112, 33)<sup>65</sup> – „ოქუან“ M A.<sup>66</sup>

Nik. St.: εἴπειτε – „იტყვთ“ (I, 6).

„გარდამოცემა“: δύμολογήσουσι (Kott. 112, 34) – „აღიარონ“ M A.

Nik. St: δύμολογεῖτε – „აღიარებოთ“ (I, 6).

„გარდამოცემა“: φαντασίαιν εἰσάχουσιν (Kott. 112, 34) – „საოცარ-ყონ“ M, „ოცნებად შემოიყვანონ“ A.

Nik. St.: φαντασίαιν εἰσάγετε – „საოცრად შეჭრაცხო“ (I, 6).

„გარდამოცემა“: μίαν φύται φαμέν (Kott. 112, 47) – „ერთსა გუამსა აღვიარებოთ დმრთისასა“ M A.

Nik. St. δύμολογεῖν ἡμᾶς χρήτην αὐτῆμι λέγοντας ὑπόστασιν – „აღსაარებად გიგმს თქუენ მისვე და ერთისა გუამისა თქუმითა“ (I, 8).

როგორც ვხედავთ, „გარდამოცემის“ თხრობა აღწერითი, ანალიტიკურია. წმ. დამასკელი განიხილავს ამა თუ იმ მართლმადიდებლურ ცნებას და მას უპირისპირებს განსხვავებულ შეხედულებას სიტყვებით: „მაოქბრ“, „მწვალებელთაებრ“, ნიკიტა სტიოთატი „მაოქბრ“, „მწვალებელთაებრ“ სიტყვებს ყოველთვის ცვლის მიმართვის ფორმით: „ოქუენებრ“.

„გარდამოცემა“: κατὰ τὸν αἰφετικὸν μιᾶς συμβέτου φύτεως δὲ Κριστὸς... ἐκρήματισεν (Kott. 111, 10-11) – „მწვალებელთაებრ ერთისა შეზავებულისა ბუნებისად გამოჩნდა ქრისტე“ A.

65 მთითებულია „გარდამოცემის“ ბერძნული ტექსტის ბონიფაციუს. კოტერის გამცემი (Kotter 1973).

66 მთითებულია: M ლიტერით „გარდამოცემის“ წმ. ეფრემ მცირის და A ლიტერით წმ. არსენ იქალთოვლის თარგმანები.



Nik. St. καθ' ἡμᾶς πιᾶς ευαγέτου φύσεως ὁ Χριστὸς... γέγονε – „οὐαγέτης δὲ τὸ ερωτόσα θεὸν εὔλογος αὐτὸν εἰπεν οὐαγέτης“ (I,5).

„გარდამოცემა“: ἦ τι εἰς ἀμυναρέσιαν χωρήσασθε μήτε ἐκ τῶν δύο πιᾶς γεγενημένες ευαγέτου φύσεως (Kott. 111, 4-5) – „ანუ ორამყოფობად მიწვნითა, არცა ორთაგანვე ეროისა შეზავებულისა ბუნებისა ქმნით“ A.

Nik. St. ἦ τι εἰς ἀμυναρέσιαν χωρήσασθε, ἦ τι ἐκ τῶν δύο ὥστερερος ὑψεῖς φατὲ πιᾶς γεγενημένες ευαγέτου φύσεως – „ანუ ორამყოფობად მიწვნითა ანუ ორთაგან, ვითარ ოქτυρ, ერო, შეზავებულ ბუნება ქმნით“ (I, 4).

„გარდამოცემა“: εἴσται το; Cristo; οὐ τὴν αὐτοτακέων αὐτού ὅφομα, αἱ λα; τὴν μίαν κατὰ τοὺς αὐτούς φυσέων (Kott. 111, 15 – 16) – „იყოს... მათგძრ“ A, om. M.

Nik. St. ἔσται τὸ Χριστὸς ὅφομα καθ' ἡμᾶς τὴν πιᾶς ευαγέτου φύσεως. – „იყოს სახელი ქრისტესი ოქτυρებრ არა გუამისა მისისა, არამედ ეროისა ბუნებისა მისისა საცნაურებად“ (I,5).

ამ ორი დიდი საეკლესიო მოძღვრის შრომებით სარგებლობისას უთუოდ აღსანიშნავია ერთი თავისებურება, რომელშიც ვლინდება ნიკიტა სტიორატის მიერ წმ. გრიგოლ დვოისმეტყველისა და წმ. იოანე დამასკელის თხზულებათა ციტირების ხასიათი. საქმე ისაა, რომ წმ. გრიგოლ დვოისმეტყველის პომილიების ციტირებისას ავტორი, ნიკიტა სტიორატი, აუცილებლად სახელდებით ასახელებს თავის წყაროს: „დიდი და კმაგანსმენილი გრიგოლი“ (I,1), „ღმრთისმეტყველი გრიგოლი“ (I,9, I,10), „დიდი ღმრთისმეტყველი გრიგოლი“ (I,16), „საღმრთო გრიგოლი“ (I,11; I,17; II,16), „მამავ გრიგოლი“ (II,11), „დიდი გრიგოლი“ (I,20), „ღმრთისმეტყველი და მამავ გრიგოლი“ (II,1), „მამავ და ღმრთისმეტყველი გრიგოლი“ (II,3), „დიდი ღმრთისმეტყველოა შორის გრიგოლი“ (I,13; III,2; III,3); ან სახელის გარეშე რაიმე ეპითეტით მოიხსენიებს: „წმიდავ მამავ ღმრთისმეტყველი“ (I,2), „საღმრთო ესე კაცი“ (II, 3), „ღმრთისმეტყველი მამავ“ (I,18; II,10), „საგარეველი მამავ“ (I,19), „ღმრთივსულიერი მამავ“ (II,1), „დიდი მამავ“ (II,12); ან ყოველგვარი მითითების გარეშე იმეორებს გრიგოლის შეხედულებებს. სრულიად განსხვავებული სურათია წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემით“ სარგებლობის შემთხვევაში. ნიკიტა სტიორატი არსად ასახელებს წყაროს, არც ავტორია მითითებული და არც მისი ნაწარმოები.

ამ ფაქტოან დაკავშირებით შესაძლებელია ორნაირი ვარაუდი დავუშვათ: ერთი, ნიკიტა სტიორატი წმ. გრიგოლ დვოისმეტყველს სახელდებით იხსენიებს, რადგან იგი მისი რამდენიმე პომილით სარგებლობს. წმ. იო-



ანე დამასკელის შემთხვევაში კი თითქოს არ ჩანს ატრიბუციის საჭიროება, რადგან ნიკიტა სტიოთატი ცალკეულ ექსცერპტებს კი არ იღებს მისი თხზულებებიდან, არამედ მოაქვს ერთი კონკრეტული მონაკვეთი (თავი 47) მისი „გარდამოცემიდან“, რომელსაც თითქმის სიტყვასიტყვით იმურობს თავის თხზულებაში. მეორე ვარაუდი, რომელიც, ვფიქრობთ, უფრო სარწმუნოა, ასეთია: რადგან სომეხი მონოფიზიტები წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის მოძღვრებას ეფარებოდნენ და მისი გამონათქვამების თავის სასარგებლო ინტერპრეტაციას იძლევდნენ, ნიკიტა სტიოთატმა სწორედ იმ იარაღით შეუტია, რასაც ისინი იშველიერდნენ. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სტიოთატის მიერ გაცხადებულია, თუ როგორ მცდარად არის გააზრებული სომეხი მონოფიზიტების მიერ წმ. გრიგოლ დვოთისმეტყველის გამონათქვამები და სინამდვილეში როგორია მისი მოძღვრების ჭეშმარიტი გაგება ქრისტეს ორბუნებოვნებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება წმ. იოანე დამასკელის სახელს, როგორც დიოფიზიტური მართლმადიდებლობის უდიდესი პატლოგეტისა, როგორც ჩანს, სომეხი მონოფიზიტების თვის იგი მაინცადამაინც სასურველი ავტორიტეტი არ იყო.

## **IX. ნიკიტა სტიოთატის ანტიმონფიზიტური სიტყვებისა და წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წმ. არსენ იყალთოელის თარგმანთა დათარიფებისათვის**

წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ 47-ე თავისა და ნიკიტა სტიოთატის ანტიმონურ-მონოფიზიტური პოლემიკური სიტყვების პარალელური მონაკვეთების შედარება საყურადღებო აღმოჩნდა წმ. არსენ იყალთოელის მიერ ამ ნაწარმოებების თარგმნის ქრონოლოგიის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წმ. ეფრემ მცირის თარგმანს ხელნაწერში ახლავს მთარგმნელის, წმ. ეფრემის, ანდერძ-მინაწერი შემდეგი შინაარსისა: „ლოცვა-ყავთ... გაბრიელისთვის, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდად ესე წიგნი, და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმაძლიერებელთა, ამას თანა მზრდელთა და მსახურთა არსენი იყალთოელისა, იოანე და იოანე ხუცესთა, სტეფანესთვის და კნინისა და უფროს ყოველთა ჩემ საწყალობელისა რეცა თარგმანისა ეფრემ



**მცირისათვე“<sup>67</sup>** ამ ანდერძ-მინაწერის მიხედვით ირკვევა, რომ წმ. იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაას“ („დიალექტიკისა“ და „გარდამოცე-მის“) თარგმნის პროცესში წმ. ეფრემ მცირეს გარკვეულ დასმარებას უწევდა წმ. არსენ იყალთოელი. მკვლევართა მიერ გამოიტქმულია მოსაზ-რება, რომ ეს უნდა მომხდარიყო XI ს-ის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა წმ. არსენ იყალთოელი შავ მთაზე მოღვაწეობდა.<sup>68</sup> შემდეგში, როგორც ცნობილია, წმ. არსენ იყალთოელმა ხელმეორედ თარგმნა „წყარო ცოდ-ნისაას“ იგივე ნაწილები („დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“). წმ. არ-სენის მიერ ხელმეორედ თარგმნის მიზეზებზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს მეცნიერთა შორის.<sup>69</sup> ნიკიტა სტიოატის სომხური მონოფიზ-იტობის საწინააღმდეგო სიტყვების მთარგმნელიც წმ. არსენ იყალთო-ელია, ე.ი. ჩვენ ხელთ გვაქვს წმ. არსენ იყალთოელის მიერ შესრულე-ბული ორი თარგმანი: ერთი, წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ დამოუკიდებული „გარდამოცემის“ 47-ე თავის თარგმანი. მათი ურთიერთშედარებისას ყურადღება მიიქცია რამდენიმე ტერმინის შესა-ტყვისებმა. ერთია ლოგიკური ტერმინი იმპოსიტი. წმ. არსენის ტერმინო-ქმნადობის წარმოჩენის მიზნით ვუთითებთ ამავე ტერმინის წმ. ეფრემ მცირის შესატყვისსაც.<sup>70</sup>

### „გარდამოცემა“

### ნიკიტა სტიოატი

|           |                  |                |                |
|-----------|------------------|----------------|----------------|
| ბერძნების | სახელმოდგამი A   | თანამოსახელე M | თანამოსახელე A |
|           | „_____“ A        | ერთსახელი M    | „_____“ A      |
|           | „_____“ A        | მოსახელე M     | „_____“ A      |
| ბერძნების | სახელმოდგამობა A | ერთსახელობა M  |                |
| სუმერების | თანამოსახელე A   | ერთმოსახელე M  |                |
|           |                  | ერთსახელი M    |                |

როგორც ვხედავთ, ბერძნული ტერმინი იმპოსიტი წმ. არსენ იყალ-თოელს სხვა შესატყვისით აქვს თარგმნილი ნიკიტა სტიოატის თხზულე-ბაში და სხვა შესატყვისით – „გარდამოცემაში“. ნიკიტას თხზულების

67 A 24, 137v.

68 ეპელიძე 1980: 259.

69 ეპელიძე 1980: 281, 297. ნუცუბიძე 1958: 150-152. რაფაელ 1965: 269; 192; იოანე დამ-ასელი 1976: 18. ლოლაშვილი 1978: 109.

70 არსენ იყალთოელის თარგმანს A ლიტერით აღნიშნავთ, ეფრემ მცირისას – M ლიტერით..



თარგმანში ტრანსლიფის შესატყვისად წმ. არსენი მიმართავს მხოლოდ „თანამოსახელე“ ტერმინს, ხოლო „გარდამოცემაში“ ტრანსლიფის გადმოცემული აქვს „სახელმოდგამი“ // „სახელმოდგამობად“ ტერმინებით. „თანამოსახელეს“ იგი ტრანსლიფის შესატყვისად ხმარობს „გარდამოცემაში“. წმ. ეფრემ მცირესთან კი სრულიად სხვადასხვა შესატყვისები დასტურდება: ოსურუმიტ = „თანამოსახელე“ // „ერთსახელი“// „მოსახელე“, ხოლო სუსტურუმიტ = „ერთმოსახელე“ // „ერთსახელი“. წმ. ეფრემის ტერმინებთან შედარება იმით არის საყურადღებო, რომ წმ. არსენ იყალთოელი ნიკიტა სტითატის შრომის თარგმანში იმავე ტერმინს („თანამოსახელე“) იყენებს, რასაც წმ. ეფრემ მცირე „გარდამოცემის“ თარგმანში, თუმცა ეს უკანასკნელი „ერთსახელ“ // „ერთსახელობად“ ტარმინებსაც იყენებს.

შედარებისთვის მოგვაქვს კიდევ რამდენიმე სიტყვა:

დიალექტიკა

ნიკიტა სტითატი

|                     |                                                                  |                                 |
|---------------------|------------------------------------------------------------------|---------------------------------|
| თემა                | გუამი <b>M</b> , სხეული <b>A</b>                                 | გუამი <b>A</b>                  |
| თემა                | გორცი <b>M</b> , სხეული <b>A</b>                                 | გორცი <b>A</b>                  |
| თბ; მენ ... თბ; მე; | ერთი იგი... ხოლო მეორე <b>M</b><br>რომელიმე... რომელიმე <b>A</b> | ერთი იგი... ხოლო მეორე <b>A</b> |
| Kata ომოტიმან       | პატივცემითად <b>M</b><br>დირსებით <b>A</b>                       | პატივისმცემელობით <b>A</b>      |
| Tautoθουλία         | ერთგანზრახვითად <b>M</b><br>განზრახვისა იგივეობა <b>A</b>        | განზრახვისა ერთობა <b>A</b>     |

როგორც ვხედავთ, ნიკიტა სტითატის თხზულების წმ. არსენისეული ტერმინები ემთხვევა წმ. ეფრემ მცირის ტერმინებს. ამ რამდენიმე მაგალითს, რასაკვირველია, საბოლოო დასკვნისთვის სრული სურათის წარმოჩნის პრეტენზია არა აქვს, მაგრამ მათ მიხედვით ნათელია, რომ წმ. არსენ იყალთოელი სხვა ტერმინს იყენებს „გარდამოცემის“ თარგმანში და სხვას – ნიკიტა სტითატის სიტყვის თარგმანში. ეს ფაქტი იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც ის ტერმინები, რომლებსაც იგი ხმარობს სტითატის თხზულების თარგმნისას, ემთხვევა „გარდამოცემის“ წმ. ეფრემ მცირის თარგმანის ტერმინებს. ეს ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ნიკიტა სტითატის სიტყვის წმ. არსენისეული თარგმანი წინ უსწრებს მის მიერ წმ. დამასკელის „გარდამოცემის“ თარგმნას. იგი შესრულებული უნდა იყოს დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც წმ. არსენ იყალთოელი, ზემოთ მოყვანილი ანდერძ-მინაწერის ცნობით, დახმარებას



---

უწევდა წმ. ეფრემ მცირეს „წყაროდ ცოდნისათვ“ თარგმნის პროცესში. წმ. არსენის მიერ სტიოატის პოლემიკური თხზულების თარგმნა უნდა მომხდარიყო 1083 წლის შემდეგ (ანუ პეტრიწონის მონასტრის დაარსების შემდეგ) (ამაზე მიანიშნებს ანდერძში დავით პეტრიწონელის მოხსენიება), დაახლოებით 1090 წლებამდე, როდესაც წმ. არსენმა ხელმეორედ თარგმნა „გარდამოცემა“: „გარდამოცემაში“ იგი უპვე სხვა ტერმინებს იყენებს. „გარდამოცემის“ წმ. არსენისეული თარგმანი აშკარად გამოირჩევა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის უფრო მდგრადი, სისტემურად დამუშავებული ხასიათით, ვიდრე ნიკიტას თხზულებათა მისეული თარგმანი.

წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ და ნიკიტა სტიოატის მიერ გამოყენებული „გარდამოცემის“ მონაკვეთების წმ. არსენ იყალთოელის თარგმანების შედარება უფრო ფართო მასალის საფუძველზე საყურადღებო იქნება წმ. არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ეტაპობრივად განხილვის ოვალსაზრისით.



## Summary

### Anti-Monophysite Speeches by Niketas Stethatos

In old Georgian literature are verified some polemic and theological works by Nicetas Stethatos – a prominent Byzantine theologian and writer of the 11<sup>th</sup> c. These works are translated by the great Georgian writer and interpreter of the 11<sup>th</sup> c. – Arsen of Ikaltho and are involved in the notable dogmatic-polemic collection “Dogmaticon” compiled by him.

The subject of our investigation is the first composition which represents a polemical text directed against Armenian monophysits. This work of Nicetas Stethatos was relatively popular in Byzantine theological-scholarly circles in the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc. The work was in use during famous discussions with the representatives of western church in the 11<sup>th</sup> c. It involves some thematic parallels to the work directed against Latins.<sup>71</sup>

The Greek original text of Nicetas Stethatos' work against Armenians monophysits' faith is being prepared for publication by Presbyter Dionysius (Shlenov). In 2008 he publicized the first “Speech” of the work.<sup>72</sup> In the publication prepared manuscripts text of the Greek original consists of four “Speeches” (185 – 190).<sup>73</sup> Various scientists revealed their assumption that the work published by J. Hergenrother might be associated with the anti-monophysit “Speech” of Nicetas Stethatos.<sup>74</sup> According to them, it could be the fifth “Speech” of the work composed against Armenians.<sup>75</sup>

Thus, the Greek manuscripts do not represent a complete composition of Nicetas Stethatos' anti-monophysit work. Is the Hergenrother publicized text a constituent of the anti-Armenian work, how is the author text reflected in Greek manuscripts, how much is it altered by the editor-scribes of the next periods? – a complete and authentic response to these and some other questions is given by the Georgian translation of Nicetas Stethatos' work carried out by Arsen of Ikaltho.

---

71 Michel 1930: B2.

72 Nicetas Stethatos 2008: 39- 91. (in Russian)

73 A Systematic Description of Moscow Synod (Patriarchate) Library Manuscripts by the Archimandrite of Vladimir. (in Russian).

74 Hergenrother 1869: 84-138.

75 Niketas Stethatos 1961: 56-515.



---

Georgian text of the polemical work of Nicetas Stethatos is preserved in 9 manuscripts of “Dogmaticon”: S 1463 (the 12<sup>th</sup> – 13<sup>th</sup> cc.), 256r – 264v; A65 (1188-1210), 114r – 137r; A 205 (the 13<sup>th</sup> c.), 162v – 185v; K23 (the 13<sup>th</sup> c.), 239v – 269r; K15 (the 17<sup>th</sup> c.); 215r; H 601 (1746), 188 -233; A 1086 (the 18<sup>th</sup> c.), 103v – 128r; Q 50 (1777), 87v – 115v; A 64 (1751), 114v – 137r.

In the “Dogmaticon” manuscripts, the Arsen accomplished Georgian translation is represented in five “Speeches”. Each “Speech” is numerated<sup>76</sup>:

The Georgian translation is interesting both for its composition and various text passages and all these are revealed in a number of differences and peculiarities from the Greek original. Previous to unveiling text comparison results to the Greek original, it is remarkable that the Georgian translation of Arsen of Ikaltho is almost contemporary to the Greek original of the work. Presumably, the translation is accomplished 4 or 5 decades later from the original creation. In Georgian manuscripts, the translation of Arsen of Ikaltho is applied by the colophon which informs that the order about interpreting five “Speeches” against Armenian monophysits was given to Arsen of Ikaltho by Presbyter David of the Petritson Monastery. The ordering the translation of work against Armenian monophysitism by David of Petritson turns to be really considerable fact from various viewpoints.

The subjects of Nicetas Stethatos’ “Speeches” are linked with the questions which were essential in the discussion carried out between the Byzantine orthodox and the Armenian monophysit creeds in the middle of the 11<sup>th</sup> c.

First of all, we have to note that the work of Nicetas Stethatos is a pattern of the highest ranked professionalism to carry out polemics and represents a product of the developed scholastic thought. Markedly, the epoch (the 11<sup>th</sup> c.) of Nicetas Stethatos was full of aggressive and insulting manner of making polemics. The concrete matter and reasonable discussions over dogmatic and ecclesiastical questions were altered by cynical and pamphlet typed accusations.<sup>77</sup> On the background of such pamphlets and accusations, the polemical issues are revealed in extremely balanced tone and academic culture in the five “Speeches” of Nicetas Stethatos. Style of the author is critical, evaluation of the Armenian heresy made by him is exaggerated in some occasions, but the tone of discussion never goes out of the ethical frames and turns into insulting one. Tolerance goes throughout all the five “Speeches” of Nicetas Stethatos.

The fields of interest of Nicetas Stethatos’ “Speeches” are multiple according to

---

76 Indication according to the manuscript S 1463.

77 Troitsky 1875: 247-249. (in Russian)



the themes. Here are available the discussions of theoretic character on both dogmatic and liturgical religious rite questions. Monotonic character of such discussions is closed down by involving historical, philosophical and liturgical passages. Methodology of the polemics often brings quotes from the Bible and the holy fathers' works, providing argumentation against heretics for eradicating their thoughts. Nicetas Stethatos, a gifted theologian and skillful polemist, widely uses writing sources for the orthodox understanding of religious questions and for proving their authenticity. After the Bible, he uses the works of two great church fathers for argumentation most of all, those of Gregory the Nazianzus (4<sup>th</sup> c.) and sent John of Damascus (8<sup>th</sup> c.).

The subject matter of Nicetas Stethatos' "Speech" is diverse:

1. The first "Speech" (256r I – 258r II) is related to a purely dogmatic issue – confirmation of two natures of Christ and unity of divine and human natures without a mixture (paragraphs 4-12). Nicetas discusses resemblance of the viewpoints of Armenian monophysits to those of Valentinus, Mann, Apolinarius of Laodicea, Nestor, Eutychius and Sabelios.

2. The second "Speech" (258r II – 260v I), coming out of the dogma essence on Christ's two nature, converses in detail a core of the mystery of two divine feasts – the Nativity and the Epiphany and the properness of the feasts' dating established by the church. On basis of the Bible and the church doctrine, here are revealed the theoretic-dogmatic viewpoints according to which the Armenian monophysit dates of the church practice were determined. Noticeably, when talking on religious rite, Nicetas Stethatos introduces a significant question on pentarchy for the history of church. According to his teaching, the five patriarchates are associated with the five physical senses. Like the human body have five senses: sight, hearing, smell, taste and touch and all of them are controlled by the head, the five patriarchates represent the body of Christ – the holy church which is governed by Christ himself.

3. The third "Speech" (260v I – 261r I) is about the trisagion transformed by Armenian monophysits' and recognized the orthodox liturgy. The Armenian monophysits found themselves in dissent when they added to "the Holy one" the "Speech" of Peter Fullo "crucified for us". With this, the Armenian monophysits declared God the Father and the Holy Spirit crucified along with Christ and acknowledged the whole trinity to have been crucified and suffered. Nicetas Stethatos unmasks resemblance among Armenian monophysits and the heresies of Peter Fullo and the Syrian Jacobites into this direction.

4. In the fourth "Speech" (261r I – 262v II) Nicetas Stethatos argues on some facts of Armenian monophysits' separation from the orthodox creed and calls these facts



---

the heresies covered like reefs in the sea. The “reef” heresies are: A. Judgment of the Armenians that God the Son or the Logos passed in sacred vagina of the Virgin like in the pipe (paragraphs 1, 3, 4, 18). This is a heresy of Valentinus. B. Christ was incarnated in miraculously (delusively) and not in real. It is the heresy of Theopaschits. C. The Armenian monophysits’ religious rite established rule on using unmixed wine and the bread without salt and yeast in the Eucharist is a “reef” heresy (paragraphs 9-12). D. Using the sesame oil instead of chrism is also a “reef” heresy. E. Missing the Virgin chants in everyday divine service (paragraphs 5-7, 18). F. Formal, surpassed and unreasonable ascetic life (paragraph 19). G. Armenians do not recognize the kneading of dough from the side of the women (IV, 8).

Rules of the Armenian monophysits are called “reef” or covered by Nicetas Stethatos. He assumes that visibly Armenians live a strict orthodox life, but covertly they are often deflected to heresy. Their “Speech” and undertakings never coincide. Thereby the author introduces a worthwhile opinion on necessity of coincidence among the belief and knowledge and the daily deeds and activities dictated from the Christian moral and the medieval educational system. In the same “Speech”, Nicetas Stethatos responses to the Armenian monophysits’ accusation that the orthodox Christians do not keep the Wednesday and Friday fasts instituted by desciples (14-17).

5. The fifth “Speech” (262v II – 264v I) is related to the rule of Armenian monophysits on using unleavened bread during the Eucharist. The question of sacrificial bread without yeast or a unleavened bread (*ajzumwn*) was a very piquant and polemical issue in Nicetas Stethatos’ contemporary church life between the eastern and western churches. In accordance with epoch of his activities, which coincides with the period of schism between Latin and eastern churches, Nicetas Stethatos discusses the heretic essence of unleavened bread in detail.

In his five “Speeches” against Armenian monophysits, the author advocates traditions of the Byzantine cultural thought expressed in combining divine and philosophical concepts. Uppermost, Nicetas’ polemical “Speech” outlines their devotion to the Bible by frequent citations from the holy letter. Simultaneously, here is visible a characteristic intellectual spirit of the epoch, acknowledging unity of faith and cognition.

In structure, the Georgian translation of the work of Nicetas Stethatos comprises five “Speeches”. Thereby the Georgian translation varies from the original text attested in Greek manuscripts where as we have already mentioned Nicetas Stethatos’ work consists of four “Speeches” only. A five “Speeches” composition of the Georgian text is a crucial fact for restoring initial form of the text of Greek original. The Georgian



---

translation fully affirms J. Daruzes' supposition that the text publicized by Hergenrother might be the fifth "Speeches" of the work against Armenian monophysitism.<sup>78</sup> The Georgian translation keeps such composition of the author's text which is not evidenced in Greek manuscripts currently. Therefore, the textual data of Georgian version persuasively indicates on the Greek original in which Nicetas Stethatos' work was represented in five "Speeches". There are available no five- "Speeches" models in Greek manuscripts yet. The Georgian translation has preserved Nicetas Stethatos work in its initial composition.

As Arsen of Ikaltho translation of Nicetas Stethatos' work is not exceedingly distanced from its creation then the Greek original used as a source should have been secured from involvement of the next period scribes and maximally close to the author's archetype. For such short period division between the original and translation, Arsen's translation enjoys a great advantage of exposing history of Nicetas Stethatos' text and ascertaining the Greek text archetype. This advantage is even enhanced by the interpreting principles of Arsen of Ikaltho.

The text of Georgian translation is compared with texts represented in four Greek manuscripts. In some cases a Georgian version text provides reading similar to one Greek manuscript and in some cases – similar to the others... It turns out that the abovementioned Greek manuscripts are not the originals of Arsen of Ikaltho translation. Seemingly, Arsen employed the Greek list which has not been uncovered yet.

The Georgian translation interdependence character with the Greek original text is conditioned by Arsen of Ikaltho interpreting methodology as well as his attitude to the materials to be translated. The history of Gelati literary school begins with the literary activity of Arsen of Ikaltho. It is known that the general Hellenistic trend of Gelati literary school is exposed in its orientation on Byzantine culture while concretely in the field of interpreting activities – in its precise closeness in line with maximal formal and content accurateness to the text original. Arsen of Ikaltho translation of Nicetas Stethatos' "Speech" is a very version rendition accomplished in accordance with Hellenistic tendencies. This fact is asserted by the Georgian and Greek texts comparative analyses.. Such accurate original translation is completely trustworthy and valuable for ascertaining the Greek critical text and restoring its archetype so evidently visible on comparing the Georgian translation to Nicetas Stethatos' work.

On the background of Georgian translation proximity to the Greek text, the asserted differences between the Arsen rendition and the Greek original texts are extremely

---

78 Nicetas Stethatos 1961:11.



---

essential. The Georgian translation provides different textual readings from the Greek text. These variations are diverse in typology. There are some textual additions – unlike from the Greek text a particular “Speech” or phrase is involved in Georgian rendition. There are some cases of scarcities too. Here are provided variations expressed in Greek “Speech” representation with minimal syntax modifications. Some variations are made up by translating a Greek “Speech” or phrase not directly but according to the context. When qualifying the textual variations, we have to take into account that some of them should be estimated as the influence of supposed Greek source on Arsen and some – as an expression of Arsen’s interpreting methodology.

One part of textual differences is due to the influence of anonymous Greek original. The most important and attention-worthy variation is asserted in the fifth “Speech” title.<sup>79</sup> Unlike Greek text, Arsen of Ikaltho Georgian translation names neither Latins in the title, nor Franks in the text beginning (S 1463, 263r). Considering Arsen’s interpreting principles, we assume that Latins were not mentioned in the Arsen used Greek list. The Georgian translation conditions support ascertaining time of anti-Armenian “Speech” creation. The Georgian translation completely supports I. Daruzes’ supposition that the “Speech” against Armenians should have been written earlier than the “Speech” to the Latins.<sup>80</sup> Polemics on unleavened bread might have taken place from the side of Nicetas Stethatos before he created a special work to the Latins regarding the same issue. Since anti-Latin work has been composed a thorough polemic over unleavened bread should have been worthless in anti-Armenian work. Therefore, nominating Latins and Franks in the Greek manuscripts might be a later epoch interpolation. In the aftermath of polemic conclusion with Latins one of the Greek manuscript scribe-editors nominated Latins during conducting polemics with Armenians over unleavened bread as the main accent on unleavened bread was put by Latins.

Anonymous Greek original influence is asserted by other translation passages as well.

Except its theological and literary significance for Georgian literature, Arsen of Ikaltho translation is important for specifying and completing the Greek original text. Comparison with Greek manuscripts shows that Arsen’s rendition never goes completely after them. Therefore, the rendition source seems to have been a presently unknown list, absolutely diverse from the Greek publication used manuscripts. It is a very interesting fact from one point – a text comparison unveils that the unknown

---

79 Hergenroether 1869: 139.

80 SC 88, 91.



---

Greek list data and the list based Georgian translation provide more correct readings in their contents and forms than the texts of represented Greek manuscripts and the Hergenroether publication of the fifth “Speech”.

The comparison of parallel sections of “Expositio Fidei” 47<sup>th</sup> paragraph and Nicetas Stethatos polemic “Speeches” was important for Arsen of Ikaltho translation chronology of these creations. It appeared that Arsen of Ikaltho uses different terminologies in the renditions of “Expositio Fidei” and Nicetas Stethatos “Speeches”. The fact is worthy to give attention to the extant that Arsen of Ikaltho employed terms in Nicetas Stethatos “Speech” rendition go with Ephrem Mtsire provided terminology in his “Expositio Fidei” translation. Such circumstances give a base to the following assumption: Arsen of Ikaltho rendition of Nicetas Stethatos ‘Speeches’ is earlier to his translation of John of Damascus’s “Expositio Fidei”. It should have been completed about when Arsen of Ikaltho backed Ephrem Mtsire in translating “The Fountain of Wisdom”. For this reason Arsen of Ikaltho terminology of Nicetas Stethatos work coincides with Ephrem Mtsire terms while his late period translation of “Expositio Fidei” Arsen of Ikaltho employs absolutely different terminology. Arsen of Ikaltho rendition of “Expositio Fidei” is richer in solid and elaborated character of philosophical-divine terminology to Nicetas Stethatos work translation also accomplished by him.



## ტექსტისათვის

ნიკიტა სტითატის ხუთი პოლემიკური სიტყვის ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოყენებული ხელნაწერების ლიტერებია: A – S 1463 (XII-XIII ს.), B – A 205 (XIII ს.). C – H 601 (1746 წ.), D – A 65 (1210 წ.), K – ქუთ. 23 (XIII ს.). ძირითად ტექსტად აღებულია A ლიტერით აღნიშნული S 1463 ხელნაწერი. გამოცემის ტექსტში მითითებულია მხრლოდ ამ ნუსხის პაგინაცია.

ქართული ტექსტი ბერძნული ორიგინალის ტექსტის გამოცემების შესაბამისად დაყოფილია პარაგრაფებად. I სიტყვაში 22 პარაგრაფია, II – 27, III – 7, IV – 21, V – 14. პარაგრაფებად დაყოფა მხოლოდ გამოცემაშია გატარებული, ხელნაწერებში კი ხუთივე სიტყვა გაბმულ ტექსტად არის წარმოდგენილი.

ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი, რომელიც ოთხი განყოფილებისაგან შედგება:

პირველ განყოფილებაში მითითებულია ქართული ხელნაწერების ვარიანტები. ვარიანტები დანომრილია არაბული ციფრებით და ტექსტშიც სათანადო ადგილებსაც არაბული ციფრები უზის.

მეორე განყოფილებაში \* (ვარსკვლავით) აღნიშნულია ხელნაწერებში არსებული ანდერძ-მინაწერები და გამომცემლის შენიშვნები. ტექსტშიც სათანადო ადგილას იგივე ნიშანი ზის.

მესამე განყოფილებაში წარმოდგენილია ქართული თარგმანის ბერძნული ორიგინალის ტექსტთან შედარების შედეგები: ტექსტობრივი მატების, კლების, განსხვავებული წაკითხვების შემთხვევები. შედარებისთვის ვიყენებთ იღუმენ დიონისიონის (შლენვის) მიერ გამოქვეყნებული სამი (I, II და III) სიტყვისა და მის მიერვე გამოსაქვეყნებლად მომზადებული IV სიტყვის ბერძნულ ტექსტებს (იხ. გამოკვლევა გვ. 7, 8). V სიტყვისთვის ვიყენებთ იოსებ ჰერგენროებერის მიერ გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტს. ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებული წაკითხვები ტექსტში და აპარატშიც აღნიშნულია რომაული ციფრებით.

აპარატში add. აბრევიატურით აღნიშნულია მეტობა, იმ. აბრევიატურით – ნაკლებობა. ბერძნულ და ქართულ ტექსტებში სხვაგვარი განსხვავებების შემთხვევაში (სხვა მნიშვნელობის სიტყვა, სხვაგვარი წინადაღება და ა.შ.) ნაჩვენებია ბერძნული ორიგინალის წაკითხვა და პარალელური ქართული შესატყვისი.



---

მეოთხე განყოფილებაში მითითებულია ტექსტში გამოყენებული წყაროები, რომლებიც ტექსტსა და აპარატში <sup>0</sup> ნიშნით არის აღნიშნული. რამდენიმე წყაროს გამოყენების დროს ეს ნიშანი დანომრილია: <sup>01, 02, 03</sup> და ა.შ.

აპარატი ახლავს თითოეული სიტყვის შიგნით ყოველ პარაგრაფს ცალკე, ამნაირად: სიტყვა 1: 1, 1, 2, 3 ( ნიშნავს: პირველი სიტყვის პირველი პარაგრაფის ქართული 1, 2, 3 და ა.შ. ვარიანტები); 1. <sup>\*1, \*2</sup> (პირველ პარაგრაფში არსებული <sup>\*1, \*2</sup> და ა.შ. მინაწერები და გამომცემლის შენიშვნები); 1, I, II, III (პირველი პარაგრაფის ბერძნულისგან განსხვავებული I, II, III და ა.შ. წაკითხვები); 1, <sup>01, 02</sup> (პირველი პარაგრაფის <sup>01, 02</sup> და ა.შ. წყაროები).

ტექსტში დაცულია XI-XII სს-ის ქართული ენობრივ-ორთოგრაფიული ნორმები. პუნქტუაცია გამართულია თანამედროვე ნორმების მიხედვით. აპარატში არ ჩაგვიტანია С ხელნაწერისათვის ტიპიური ვ-ს მეტობანი და ნაკლებობანი.



[256 რ 1] I. ნიკიტა<sup>1</sup> მონაზონისა და ხუცისა, სტუდიელთა  
მონასტრისა სტითატისად სიტყუად პირველი განსაქიქებელი  
შემობრისა მის წვალებისა სომეხთავასად <sup>1</sup>

1. შემრეველობითისა ორთა ბუნებათა ქრისტესთავსა მადიდებლობისა, მგმობრისა<sup>1</sup> მის<sup>2</sup> წვალებისა სომეხთავსა, ვითარცა მძღვარისა რაც სმენენისა<sup>1</sup>, ვინებე რაც განქიქებად, სამართლად შეგჰრაცხე<sup>II</sup> თანამოქმედად<sup>III</sup> ანუ თანამბრძოლად<sup>IV</sup> სიტყვა მიყვანებად<sup>V</sup> დმრთისმეტყუელთა შორის დიდისაცა და ჭმაგანსმენილისა<sup>VI</sup> გრიგოლისი, დასამჭობელად<sup>VII</sup> ესევო-თარისა მის უდმრთოვსა წვალებისა, და რამეთუ ჩანან<sup>3</sup> საღმრთოვსა ამის კაცისა რეცათუ<sup>VIII</sup> შემწყნარებელად და ყოვლადბრძენთა სიტყუათა მისთა იწურთიან<sup>IX</sup> სომეხნი, ვითარცა თუ იტყვან,

2. რომლისათვეცა ორთა დღესასწაულთა ქრისტესთა: შობისასა, ვიზყვ, და ნათელთასა<sup>1</sup>, ვითარცა ორთა ბუნებათა მისთა, ეგრეოვე და ამათცა<sup>1</sup> შემრევენ, ვითარცა ერთობისა მქონებელთა, და არარას სახესა განყოფილებისასა თავთა<sup>2</sup> შორის თუ თავსთა მომგებელთა<sup>II</sup>, რომელთა ერთად სრულ-ჰყოფენ ერთბამად უგუნურებით მედდესასწაულენი და თავად დღესასწაულისა<sup>III</sup> მცუმეველნი მამისა ამის დმრთისმეტყუელისანი. ვითარმცა ერთგმა იყო იგი, ვითარცა იგინი ჰგონებენ, უგუნურებისა და დღესასწაულობისა მათისა?

ამისთვეს, რაოთა უჩუენოო მათ სიტყვა დმრთისა<sup>3</sup> ჭორციელისა განგებულებისა ბოროტადმადიდებლობად და საიდუმლოთა მისთა სიბოროტიო მედდესასწაულობად მათი, არა ამიერ ხოლო<sup>IV</sup>, არამედ მრავლიოთ კერძო, ვითარცა მრავალსახისა წვალებისა მიმართ განყოფილისა წვალებისა მქონებელთა, მოვედ ამიერიოგან და მაღლიოთა ქადაგებითა ვყოთ დაწყებად განქიქებისა<sup>V</sup> მათისად.

3. გიკმდა უკუე თქუენ, შ ბრძენნო სომეხთანო და უაღრესნო, თანაერ-თჯმობად<sup>1</sup> ერთისა კათოლიკე სამოციქულოვსა<sup>1</sup> ქრისტეს ეკლესიისა<sup>2</sup>, კიდიოთან სოფლისამო ვიდრე კიდედმდე<sup>3</sup> მისსა აღშენებულისაღ<sup>II</sup> და<sup>III</sup> ერთსა და მასვე შინა მადიდებლობასა სიტყვა [256r II] განგებულებისა და განკორციელებისასა თანაერთნებაყოფად მისი<sup>IV</sup> და ბუნებათა მსგავსებად მისსა<sup>4</sup> შეურევნელად აღსაარებად, დმრთებისა და კაცებისასა, და არცა განყოფილებითა განწვალებად მათი ურთიერთას<sup>6</sup>, არცა შეერთებითა შერევნად<sup>7</sup> ერთად, მსგავსად ევტექი<sup>8</sup> და საბელიოსისა<sup>9</sup>, არამედ ცნო-



ბად ქრისტესი<sup>V</sup>, ვითარცა სრულად დმერთად და სრულად კაცად, ეგრეთვე თრთა ბუნებათა მოქმედებითთა შემდგომად შეერთებისა მქონებელად.

4.<sup>vi</sup> რამეთუ უქცეველად და უცვალებელად შეიერთნეს ბუნებანი მისი ურთიერთას<sup>1</sup>, არცა ერთისა მათგანისაგან დატევებითა თუსისა თუთებისათა<sup>2</sup> ანუ არამყოფობად მიწევნითა ანუ ორთაგან, ვითარცა ოქუენიტყვოთ, ერთ, შეზავებულ, ბუნება ქმნითა.<sup>\*1</sup> რამეთუ შეზავებული ბუნება, ვითარცა საღმრთოთა მამათა შორის დმრთისმეტყუელნი იტყვანი<sup>1</sup>, არცა ერთისა, რომელთაგან შეზავებულ იქმნა<sup>ii</sup>, შესაძლებელ არს თანაარს ყოფად, ვითარცა<sup>iii</sup> სხუათაგან სხუად შესრულებული, ვითარ-იგი გუამიცა, თოხთა ნივთთაგან შეზავებული, სხუათაგან<sup>3</sup> სხუად იცნობა<sup>iv</sup> ჩუენ კაცთად.

5. რამეთუ უკუეთუ თქუენებრ ერთისა შეზავებულისა ბუნებისად იქმნა ქრისტე შემდგომად შეერთებისა, სიმარტივისაგან ბუნებისა იქცა შეზავებულად. და არცადა მამისა, ბუნებით მარტივისა, თანაარს არს, არცა დედისა, და ესრეთ<sup>1</sup> არცა დმერთად იცნობების, არცა – კაცად, ვითარცა არა თანაარსად მათდა ცნობილი<sup>i</sup> ბუნებით, არამედ ქრისტედ ოდენ. და იყოს სახელი ქრისტესი თქუენებრ არა გუამისა მისისა, არამედ ერთისა ბუნებისა მისისა საცნაურებად<sup>2</sup> <sup>ii</sup>. რამეთუ უკუეთუ თანაარს არს<sup>\*1</sup> მამისა ქრისტე ერთითა მით შეზავებულითა ბუნებითა, მამაცა საღმე შეზავებულვე იყოს და თანაარს ჭორცთა, რომლისა-ესე მხოლოდ მოგონებადცა უწესოება<sup>iii</sup> არს და აღსავსე ყოვლითავე გმობითა<sup>\*2</sup>.

6. რამეთუ ვითარ შესაძლებელ არს მისვე ბუნებისად ერთბამად აგებულცა და აუგებელ ყოფად, მოკუდავ და უკუდაგ, გარეშეწერილ და გარეშეწერელ? ხოლო უკუეთუ ერთბუნებაობისა მეტყუელნი ქრისტესთვეს, მარტივად<sup>i</sup> იტყვოთ მას, უეჭუელად ანუ შიშულად<sup>\*1</sup> დმერთად<sup>ii</sup> აღიარებოთ და საოცრად შეჰრაცხო განკაცებასა, ანუ ლიტონად კაცად, ცნობავნებულისა ნესტორისებრ. და სადადა იცნობოს<sup>iii</sup> სრული დმრთებითა და სრული კაცებითა<sup>iv</sup>?

7. ანუ ოდესდა სოქუნეთ ორნი ბუნებანი ქრისტესნი ერთისა შეზავებულისა ბუნებისა! შემდგომად შეერთებისა მეტყუელთა? და<sup>ii</sup> ვითარმედ უწინარეს შეერთებისა ერთითა ბუნებითა იყო ქრისტე, ყოვლით კერძო ცხად არს. ხოლო შემდგომად შეერთებისა თრითა ბუნებითა იცნობა<sup>iii</sup> და<sup>iv</sup> ერთითა გუამითა. გარნა ბუნებად და გუამი არა იგივე არიან, რამეთუ სხუა არს<sup>v</sup> ბუნებად და სხუა<sup>1</sup> – გუამი<sup>2</sup>.

რამეთუ ბუნებასა კაცოასა ერთად ვიტყვთ: სულისაგან და ჭორცთა შეზავებულსა, ხოლო გუამთა მათთა – მრავლად. რამეთუ დადათუ ერთი-



სა ბუნებისა, სულისაგან და ჭორცოა შეზავებულისანი, არიან პეტრე და პავლე, ვითარცა ოქემულ არს, არამედ სხუად და სხუად არს<sup>3</sup> გუამი. რამ-ეთუ სხუად არს პირი პეტრესი და სხუად – პავლესი და<sup>VI</sup> განყოფილებასა შინა გუამოვნებათასა [256v I] ზოგადობითა<sup>4</sup> სახისა მათისათა ერთისა ბუნებისა მქონებელად იხილვებიან.

8. ორთა უკუ ბუნებათა ქრისტეს ზედა ღმრთისა ჩუენისა<sup>1</sup> ოქემად და აღსაარებად გვპშს ჩუენ და ერთისა გუამსა. რამეთუ არა შესაძლებელ არს<sup>I</sup> სახოგადოვსა სახისა ესევითარსა შეერთებასა ზედა მოღებად<sup>2</sup>, ვინათოგან სხუად ქრისტე არცა არს, არცა ქმნილ არს, არცა ოდეს იქმნეს სხუად, ღმრთებისაგან და კაცებისა, რამეთუ ღმრთებასა შინა და კაცებასა ღმერთი სრული არს იგივე და კაცი სრული<sup>3</sup>.

და არა საოქემელ არს ერთი ბუნებად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ზედა, რამეთუ ორთა სრულთა ბუნებათაგან, საღმრთოვსა და კაცობრივისა, იქმნა მისშორისი<sup>4</sup> შეერთებად, არა შერწყუმით ანუ შერევნით, ანუ აღზავებით<sup>5</sup>, ვითარცა დიოსკორის და სევერის<sup>6</sup> წარპრევები<sup>II</sup>, არცა პირებით და<sup>III</sup> თვებით ანუ პატივისმცემელობით<sup>7</sup> და განზრახვისა ერთობით ანუ თანამოპატივეობით<sup>8</sup> და თანამოსახელეობით<sup>9</sup> და<sup>IV</sup> საონო-ყოფით, ვითარცა ღმრთივმოძაგებულმან თქეა ნესტორ, დიოდორე და თეოდორე მომფსუესტელმან<sup>10</sup>, არამედ შეერთებით, ესე იგი არს, ერთგუამოვნებით<sup>V</sup>, უქცეველად, შეურევნელად, უცვალებელად, განუყოფელად და განუწვალებელად. ვინავცა ძისა ღმრთისა<sup>I</sup>, განკორციელებულისა<sup>VI</sup>, შეერთებასა თრთა შინა სრულთა ბუნებათა ერთგუამოვნებით შეერთებულთა, აღსაარებად<sup>II</sup> გიგმს თქეენ მისვე და ერთისა გუამისა თქემითა ღმრთებისათვის და კაცებისა მისისა.

არა ამისი ხოლო, არამედ ორთა ბუნებათაცა, ცხოვლად<sup>12</sup> დაცვულთა მის შორის შემდგომად შეერთებისა, გილირს თქეუნ<sup>VII</sup> რწმუნებად, არა თვსაგან და განყოფილებით<sup>VIII</sup> დასხმულთა თითოეულად, არამედ ურთიერთას შეერთებულთა ერთისა შინა<sup>13</sup> შეზავებულსა გუამსა მისსა. რამ-ეთუ არსებითსა ვიტყვთ შეერთებასა, ესე იგი არს, ჭეშმარიტსა და არა ოცნებითსა<sup>14</sup>. ხოლო არსებითად არა ვითარცა ორთა ბუნებათა ერთისა შეზავებულისა ბუნებისა შემასრულებელთა ვიტყვთ<sup>IX</sup>, არამედ ვითარცა ურთიერთას საკრეველად და<sup>X</sup> ჭეშმარიტებით<sup>15</sup> შეერთებულთა<sup>16</sup> ერთისა შინა შეზავებულსა გუამსა ძისა ღმრთისასა და შეურევნელად დამცველთა არსებითოა თვთებათა და განყოფილებათა მათოასა.

9. ესე უკუ ახალი და გამოუთქმელი შეერთებად და შერწყუმად ღმრთისმეტყველსაცა გრიგოლის<sup>1</sup> დაუკარდა რა, განცპბრებით<sup>2</sup> თქეა:



„შ, შერწყუმავ ახალი! შ, შეზავებავ საგვარელი<sup>1</sup> რამეოუ<sup>1</sup> ახალი და საგვარელი სახელ-სდვა მას, ვითარცა შეურევნელსა. ვინავოგან არა ვითარ-იგი დანისა და წყლისა ურთიერთას<sup>3</sup> შეზავებითა შეირევიან ბუნებანი მათნი, ეგრევვე იქმნა საღმრთოსაცა ზედა შეერთებასა სიტყვსასა. წარვედ! არამედ თითოეული ბუნებავ საგვარელსა შინა და ახალსა შერწყუმასა განყოფილებისა თანა თვთებისაცა და [256 v III] მმარხველიქმნა.

ვინავცა აგებული ეგო აგებულად და აუგებულად – აუგებულად, მოკუდავი – მოკუდავად და უკუდავი – უკუდავად<sup>4</sup>, გარეშეწერილი – გარეშეწერილად და გარეშეწერელი – გარეშეწერელად<sup>5</sup>, ხილული – ხილულად და უხილავი – უხილავად. რომლისათვისცა ერთი იგი გამოაბრწყინვებდა საგვარელებათა, ხოლო მეორე თავს-ისხმიდა გინებათა.

10. ამიერ უპუჟ უფალიცა დიდებისად ითქემის<sup>1</sup> ჯუარცუმულად<sup>6</sup>, არა ვნებითა მისისა<sup>2</sup>, ვითარ თქუენ პგონებო, საღმრთოსა და უვნებელისა ბუნებისათა. რამეოუ ვითარ<sup>\*1</sup> ვნებულცა<sup>3</sup> იყოს დმერთი!, ვინავოგან უკორცო არს?

რამეოუ უკუეთუ ვის ძალ-უც მზისა<sup>4</sup>, ნერგსა ზედა მიფენილისავ, ნერგსავე<sup>II</sup> თანა განკუეთავ,<sup>\*2</sup> ანუ თუ<sup>5</sup> დაწერილისა სიტყვსა<sup>6</sup> ქარტასა თანაგანმშტუალვად,<sup>7,\*3</sup> თანა-განმშტუალოს<sup>8</sup> ვინმე ყოვლადუხრწნელთა ჭორცოა შინა<sup>9</sup> დმრთისმშობელისათა დაწერილიცა სიტყუად დმრთისავ, ვითარცა ტყავსა ზედა ცხოვრისასა და განგუმიროს<sup>10</sup> საღმრთო ბუნებავ, შეერთებული კაცობრივისად? რამეოუ უკუეთუ<sup>III</sup> შესაძლებელ არს ნერგისა თანა განკუეთავ<sup>IV</sup> მზეებრთა შარავანდედოავ, შესაძლებელ არს<sup>V</sup> უვნებელისაცა ვნებულად გამოჩინებავ, არამედ მოისპენ<sup>II</sup> გმობავ!

რამეოუ უვნებელ არს დმერთი<sup>VI</sup> და არა თანა-ევნო ჭორცოა თვსთა<sup>VII</sup>. ხოლო ევნო, არამედ ვითარცა კაცსა, რამეოუ მრჩინებლი იყო, ვითარცა იტყვს დმრთისმეტყუელიცა გრიგოლი<sup>2</sup>, ვინავოგან დაშურაცა და მოემშია და მოეწყურა და იურვოდა და ცრემლოოდა შჯულითა ჭორცოათა. და მოივლინა, ვითარცა კაცი<sup>12 VIII</sup>, ხოლო უკუეთუ ვითარცა დმერთიცა, რავ ესე? სათხო-ყოფავ მამისად<sup>13</sup> მოვლინება-ყოფად პგონე, რომლისა მიმართ აღავლენს თვსთა<sup>3</sup> და ვითარცა დასაბამსა პატივ-სცემს უჟამოსა და არა საგონებელ-ყოფისათვს დმრთისწინააღმდგომობისა<sup>14</sup>, ვინავოგან მიცემავცა ითქემის, არამედ თავისა თვსისა მიმცემელობადცა წერილ არს. და აღდგა მამისა მიერ და ამაღლდა, არამედ თავისა თვსისა აღმაღგინებელობადცა<sup>15</sup> და აღმამაღლებელობავ კუალად, იგინი – საონოყოფისანი, ესენი – გელმწიფებისანი.



11. და ვითარმედ<sup>1</sup> ივნო ვიდრემე, იგონებ<sup>1</sup> შენ, ხოლო ვითარმედ<sup>2</sup> ნებ-სიო<sup>3</sup>, არა შესძინები<sup>1</sup>. და შემდგომად მცირედისა, და მიცემული იხილო<sup>2</sup> და ჯუარცუმული<sup>4</sup> და ოანაჯუარისმცუმელი ჩემისა ცოდვისად, ვითარცა კრავი მიყვანებული<sup>5</sup> და ვითარცა მდღელი მიმყვანებული<sup>6</sup>, ვითარცა კაცი დაფლული და ვითარცა ღმერთი აღდგომილი, მერმე აღმაგალიცა და მო-მაგალი დიდებითა თუსითა. და ესენი<sup>7</sup> უკუე საღმრთომან გრიგოლი არა გნებულებისათვეს საღმრთოვსა ბუნებისა ღმრთისმეტყუელებით განცხა-დებულად წარმოაჩინნა<sup>8</sup>.

12. ხოლო ჩუენ, ვითარცა ერთსა გუამსა მისსა ვიცნობთ, ეგრეთვე ბუ-ნებათა არსებითი განყოფილებად დაც [ 257 რ I ] ვულად უწყით. გარნა ვითარ დაცვულ იქმნეს<sup>1</sup> განყოფილებად არა<sup>2</sup> დაცვისა შინა ურთიერთას განყოფილებისა მქონებელთასა, რამეთუ განყოფილებად<sup>3</sup> განყოფილთა არს განყოფა? ვინავცა ოანაარს არს იგივე ღმრთებით ვიდრემე მამისა და სულისა, ხოლო კაცებით – დედისა და ჩუენ<sup>1</sup> კოველთა<sup>4</sup> კაცთა, რამ-ეთუ შეიყოფვიან ბუნებანი მისნი ერთსა შინა და მასვე გუამსა, რომლითა განიყოფვის მამისაგან და სულისა, დედისაგან და ჩუენ კაცთა<sup>5</sup>. <sup>9</sup> და ვინავოგან ესრეთ არიან ესენი, გან-სამე-ვრდომილ ხართ მართლისაგან შჯულისა მორწმუნეთა ეკლესიისა<sup>6</sup> ერთისა ბუნებისა ქრისტეს ზედა შემდგომად<sup>7</sup> შეერთებისა უგუნურებით მეტყუელნი<sup>8</sup> და ბუნებათა მისთა შემრეველნი.

13. რამეთუ ესრეთვე უაჭუელად ორთა მათცა დღესასწაულთა ქრისტ-ესთა, თუს-თუსად<sup>1</sup> აღსრულებულთა ყოვლისა მიერ ეკლესიისა<sup>1</sup> მორწ-მუნეთავსა, ვიტყვ უკუე შობისა მისისა და ნათლისდებისასა<sup>2</sup>, ვითარცა ორთა ბუნებათა მისთა, ეგრეთვე და ამათცა ერთ დღესასწაულად სრულ-მყოფელობითა შეპრევო<sup>2</sup> ერთყოფისა ორთავსავე და არა ორობისა მე-ტყელნი, ვითარცა არა მეცნიერნი, თუ რასა იტყვთ, არცა თუ ვიეთოგს დაამტკიცებთ.

გარნა უკუეთუ სათნო გიჩნს სმენა ჭეშმარიტებისად, მე ამისთვესცა გამოგაჩინნე თქუენ უგულისგმოებით მოქმედად. და რამეთუ ორთა ამათ აწ<sup>1</sup> მოგსენებულთა დღესასწაულთათვეს დიდი ღმრთისმეტყუელთა შო-რის გრიგოლი ფილოსოფოსობდეს რად გულისგმიერებით, კეთილშეუენი-ერად და მაღალბრწყინვალედ განარჩევს სიტყუასა თითოეულისასა და სხუაყოფასა აჩუენებს ქრისტეს შობისა დღესასწაულისასა, ღმრთისგა-მოჩინებად სახელისმდებელი მისი, და სხუა – ნათლისდებისასა, ნათლ-ვად მწოდებელი მისი.

და უკუეთუ გნებავს, თუ ღმრთივთქუმულთა<sup>3</sup> სიტყუათა მისთა მიერ



შევისწავოთ განყოფილებად ამათ დღესასწაულთად, რამეთუ იტყვს:

14. ხოლო აწ ღმრთის გამოჩინება – დღესასწაული, რამეთუ გამოუჩნდა ღმერთი კაცოა შობისა მიერ,<sup>01</sup> კითხუად<sup>1</sup>: ვითარ უპუჟ გამოუჩნდა ღმერთი კაცოა შობისა მიერ, რომელი უკორცო არს და უნივორი<sup>2</sup> მიგებად<sup>2</sup>: ვინავთგან საშოსა შინა ყოვლადუბიწოდისა ქალწულისა მარიამის-სა<sup>3</sup> სიტყუად ღმრთისად ჭმასა თანა მთავარანგელოზისა გაბრიელისესა<sup>4</sup> შევიდა და სულითა წმიდითა<sup>5</sup>, ვითარცა ტყავსა ზედა ცხოვრისასა, <sup>6</sup> შეუმწინკულებელოდა<sup>7</sup> შინა და ყოვლისავე ბიწისაგან შეუხებელოდა ჭორცოა მისთა დაწერილი თითოთა ღმრთისა და მამისავთა, გამოუთქმელად განკორციელდა და ჭორციელ-იქმნა მიუთხორბელად<sup>8</sup>. და ჭორცქმნილი სიტყუად<sup>9</sup> კაცად სრულად იშვა მისგან, რომელი-იგი სრული ღმერთი იყო, არასადა დაკსნითა ქალწულებისა მისისა ბეჭდოთავთა. და ერთად ორთაგან წინააღმდეგომთა გამოჩინებულმან გუამითა ქუეყანასა ზედა ქალწულისაგან შობისა მიერ დაიკარვა [257r III] ჩუქ შორის და კაცოა თანა აღიზარდა,<sup>8</sup> ვითარცა წერილ არს. რომლისა-მე სახისათვს? ანუ თუ რაოთა შობადცა კაცოად<sup>10</sup> პატივ-იცეს<sup>9</sup> და ქალწულებადცა<sup>10</sup>, ვითარცა თქუმულ არს<sup>11</sup>. რამეთუ უკმდა, იტყვს, შობისაცა პატივისცემად და ქალწულებისა წინაპატივისცემად.<sup>12</sup>

გარნა განმკაცრებით განიხილებ<sup>13</sup>, თუ ვითარ ყოველთავე მიერ, რომელნიცა სიტყუასა ამას შინა მოიგსენნა, მხოლოდ ქრისტეს შობისათვს<sup>14</sup> თდენ სიტყუამაღლობით ფილოსოფოსობს და არცა ერთსა რას რაოთურ-თით<sup>15</sup> მოიგსენებს ნათლისღებისათვს, იტყოდის რად<sup>16</sup>: უკორცოდ ჭორ-ციელ იქმნების, სიტყუად განზრქელდების, უხილავი იხილვების, განუხილველი განიხილვის<sup>17</sup> <sup>18</sup>.

15. რომლისათვცა დამწყებელმან სიტყვსამან „ქრისტე იშვებისო“ – ესე ხოლო ჭმა-ყო ჭმამაღლობით და არა ესეცა, თუ „ნათელს-იღებს“. ქრისტე იშვების, არა მერმეცა იესუ, არა მაცხოვარი, არა ღმერთი, არამედ მხოლოდ ქრისტე თდენ! რამეთუ თანად ორთავე სახელისა მიერ ქრისტე-სისა და<sup>19</sup> ორთა ბუნებათა უფლისათა ცხად-ჰყოფდა, ღმრთებისა მისისა და კაცებისასა. ვითარ-იგი თუ მან სცხო თავსა თუსსა, ვითარცა ღმერ-თმან, მცხებელმან ჭორცოამან თვისისა<sup>20</sup> ღმრთებისამან და ცხებულმან, ვითარცა კაცმან, რამეთუ მისი არს ესეცა და იგი. ხოლო საცხებელ კაცებისა ღმრთებიად<sup>21</sup>, ვითარცა იტყვს საღმრთოდ დავით: „ამისთვს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან, საცხებელი სიხარულისად უმეტეს მოყვასთა შენთა“.<sup>22</sup>

ხოლო სახელმან ამან ქრისტესმან პირგველთა სადმე ჟამთაგან საწ-



ინავსწარმეტყუელოვსა სიტყუსა მიერ მიიღო დასაბამი და<sup>1</sup> ქუელისა მოცემისაგან, რამეთუ ესრეთ წერილ არს ძუელსა შინა აღოქუმასა, ვითარმედ: „ქრისტე ოდეს მოვიდეს, არავინ უწყოდის, ვინავ მოვიდა“<sup>2</sup>. და კუალად,, „ქრისტე რაჟამს მოვიდეს, გითხრას თქუები<sup>3</sup> ყოველი“<sup>4</sup>. და იერებიას შინა: „სული პირისა ჩუენისავ უფალი ქრისტე“<sup>5</sup> ვინავცა ამათ მიერ განსწავლული სამარიტელი უყლისა მიმართ იტყოდა: „უწყი, ვითარმედ მესია მოვალს, რომელსა ჰრქპან ქრისტე“<sup>6</sup>.

16. ესრეთ უკუე ამიერვე ქრინებულმან ამისმან დიდმან ღმრთისმეტყუელმან გრიგოლი „ქრისტე იშვებისო“ – ესე ხოლო ჭმამადლობით ჯმა-ყო შორის ეკლესიისა<sup>1</sup> მორწმუნეთავისა. რავსაოუს-ა? რავთა ასწავოს არა ხოლო მორწმუნეთა, არამედ ჰურიათაცა, ვითარმედ რომლისა-იგი<sup>2</sup> მოსლვავ წინავსწარმეტყუელთა<sup>1</sup> წინავსწარ თქუეს, დღეს მე შობილად ვქადაგებ მას, ამას ქრისტესა, არღასადა წინადაცუეთილებისა მიერ მიმდებელსა იესუე<sup>3</sup> სახელისდებისასა, რომელი შემდგომად რვისა დღისა შობისა მისისა მიიღო; მას ქრისტესა, რომლისა საიდუმლოვ ნათლის-დებისა მისისავ ყოფადთა ქამთა,<sup>11</sup> შემდგომად რვადდიოთისა<sup>4</sup> მის წინადაცუეთისა და ოცდაათოა წელიწადთა დმერომამაკაცებრითა ჰასაკითა წარვლისა,<sup>11</sup> სრულ-იქმნების<sup>11</sup>. რამეთუ არა შობისა და მერვისა დღისა წინადაცუეთისა მისისა შემდგომად, ვიდრე იგი ჯერეთ ჩჩულდა იყო, მაშინ ნათელ-იღო ქრისტემან, ვითარ-ესე ჩუენ მიერ იდღესასწაულების<sup>11</sup> აწ მიზეზისაოუს და საჭირობისა საონადოვსა, არამედ შემდგომად ოცდაათოა წელთა გარდასლვისა<sup>11</sup>, ვითარცა ითქვა, და შემდგომად სრულად მამაკაცად და სავსებად თუსსა<sup>11</sup> აღწევნისა მისისა<sup>11</sup>.

